

219
1938 /2

პროლეტარების კვეთა ქვეყნისა, მეცნიერებების და კულტურის
განვითარებისათვის

საქართველოს სსრ აირსახამაი

საქართველოს სახელმწიფო
სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის

ა მ ა მ ა ე

ВЕСТИК

ГРУЗИНСКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА

№ 1 (5)

ლ: პ. ბერიას სახელმწიფის

საქართველოს სახელმწიფო სას.-სამ. ინსტიტუტის გამოცემლობა

თბილისი — 1938 წ.

63(05) 
საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამუშაოო ინსტიტუტი

214
1938/2

საქართველოს
სამუშაო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ა მ ა მ ხ ე

3522

№ 1 (5)



სასოფლო-სამუშაოო ინსტიტუტის გამოცემაბაზა

ტბილისი — 1938

მოწინავე აგრძნომიული გაცნიარება და „მოახვე“

ორი სტალინური ხეთწლედის გადაჭარბებით შესრულების შედეგად სსრ კავშირი გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობა ათასეული საბჭოთა მეურნეობებით, მტს-ბით და კოლმეურნეობებით მსოფლიოში ყველაზე მსხვილი, მაშინიშიჩერებული, განვითარებულ სამანქანო ტექნიკაზე დამყარებული სოფლის მეურნეობაა.

საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ და შემოუბრუნებლად გაიმარჯვა. ნაცელად წვრილი და უწვრილესი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისა წარმოშენენ და განმტკიცდნენ მსხვილი კოლექტიური მეურნეობანი, რომლებსაც მტკიცდ, უსასყიდლოთ, სამუდამო სარგებლობაში აქვთ დასამუშავებლად ვარგისი მილიონებით ჰექტარი მიწები და რომლებიც ამ მიწებს მსხვილი მანქანებით—ტრაქტორებით, კომბაინებით და სხვა რთული მანქანებით ამუშავებენ. მეფის რუსეთი კავის ქვეყანა იყო. სსრ კავშირი გადაიქცა ტრაქტორებისა და კომბაინების ქვეყნად.

სსრ კავშირის სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში დაინერგა და განვითარდა მთელი რიგი ახალი კულტურები და დარგები. სტახანოვური მოძრაობის მასობრივად დანერგვით კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა სარეკორდო მაჩვნეობლებს მიაღწიეს. სასაქონლო პროდუქციის მომცემ მთავარ წყაროდ კოლმეურნეობები გადაიკცნენ. საკოლმეურნეო სოფლებზე სტალინური ზრუნვის შედეგად კოლმეურნეობები ბოლშევკიურ კოლმეურნეობებად გადაიქცნენ, ხოლო კოლმეურნეები შეძლებულები გახდნენ.

შრომა სოც. სოფლის მეურნეობაში ლირსების, სიმამაცის, სახელისა და გმირობის საქმედ გადაიქცა. შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპის გატარებამ მუშავდისა და კოლმეურნეობათა საწარმოო ენტუზიაზმის კოლოსალური ზრდა მოვალე. ნაყოფიერი და პატიოსანი მუშაობით მათი ცხოვერება საამური, სახალისო გახდა და ისინი ნამდვილ კულტურულ ცხოვერებას ეწევიან.

ორდენისან საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე უდიდესი ამოცნები სდგას. საქართველომ ძირითადად უნდა უზრუნველქის სსრ კავშირის მოთხოვნილება ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, ძვირფასი ეთერზეობისა და სხვა კულტურების პროდუქციით.

საქართველოს სოფლის მეურნეობას სპეციფიკურობა ახასიათებს. აქ წარმოდგენილია მრავალი კულტურა და დარგი. საკ. კ. პ. კ-ის და პირადად ამხანაგი სტალინის მითითებების განუხრელი გატარებით საბჭოთა საქარ-



თველომ საუკეთესო სტალინელის ამხანაგი ლ. პ. ბერიას ყოველდღიური მენეჯმენტი მძღვანელობით „სწორად განსაზღვრა თავისი სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზი, რასაც ჰავის და ნიადაგის პირობები უყარნახებონ და გადაიქცა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ მხარედ, რომელიც სამრეწველო ოდენობით ამხადებს მთელს საბჭოთა კავშირისათვის ისეთ უცილებელ პროდუქციას, როგორც არის ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთხოხალი, მაღალხარისხიანი საექსპორტო თამბაქო, იშვიათი ჯიშის ხეები (ტუნგო, კეთილშობილი დაფნა, ეველიპტი და მრავალი სხვა). ეს სპეციალური და ტექნიკური კულტურების საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებას შეაღენს“ (ლ. ბერია).

საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა ჩატარეს სუბტრობიკული და ძეირფასი ტექნიკური კულტურების—ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, შაქრის ჭარხალი, თამბაქო, ხეხილის კულტურების, ვენახი და სხვ.—დანერგვა-განვითარებისათვის. 1938 წლის მაისისათვის ჩაის პლანტაციას 43,743 ჰექტარი ეყირა, ციტრუსებს—9,951 ჰექტარი, ვენახებს—42,771 ჰექტარი, ხეხილის კულტურებს 59,951 ჰექტარი.

გაიზარდა მარცვლეული კულტურების ნაოცები. ახლა მარცვლეული კულტურების ნაოცებს 867 ათასი ჰექტარი უჭირავს. საქართველოს კოლმეურნეობები მტკიცედ ანხორციელებენ სტალინურ დავალებას, და შეუპოვრად იბრძვიან 7—8 მილიარდი ფურისათვის.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული ბოლშევიკური მუშაობის შედეგად გაიზარდა კულტურების მოსავალი. 1937 წელს საქართველოში დამზადებული იქნა 27.001.300 კგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 1937 წელს 2115 კგრამი იყო. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალის სარეკორდო მაჩვნებლები მოგვცეს და მნიშვნელოვნად გადაიზარებს ჩაის მხრივ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მოსავალის დონეს. 1937 წელს კორომილოვის სახ. (ქობულეთის რ.) კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 4574 კგრამი მოგვცა, ამავე რაიონის მოლოოვის სახ. კოლმეურნეობამ ჰექტარზე 7828 კგრამი, კოლმეურნეობამ „გზა სოციალიზმისაკენ“ (მახარაძის რაიონი) ჰექტარზე 4.120 კგრამი მოგვცა. საქართველოს კოლმეურნეობები მტკიცედ ანხორციელებენ ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითებებს 1940 წლისათვის ჩაის სრულმოსავლიან პლანტაციის 1 ჰექტარზე სულ მცირე 2,5—3 ათასი კგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფის შესახებ.

ასეთივე დიდი მაჩვნებლებით ხაისიათდება საქართველოს სოფლის მეურნეობა მარცვლეულის, ციტრუსების, ხეხილის, თამბაქოს, შაქრის ჭარბლისა და სხვ. კულტურების მოსავლიანობის გადიდების დარღვში.

საქართველოს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტკიცები მითითხულენ საქართველოში არსებულ სოფლის მეურნეობის ხაზით მომუშავე სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტებისაგან და უმაღლეს სასწავლებლებისაგან მთელი რიგი ახალი პრობლემების ოფორიულ და პრაქტიკულ დამუშავებას. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაინერგა და განმტკიცდა სტანციური მომრაობა. მუშაობის სტანციური მეთოდების ფართო დანერგვით სოციალისტურ მეურნეობებში დაგროვდა უდიდესი გამოცდილებანი. ამ გა-



მოცდილებათ შესწავლა, განხოგადოება, ახალი მეცნიერულ-პრაქტიკული მუსიკული კითხების დამუშავება და დამამარება სოფლის მეურნეობის სტაბინოელთაზე მოწინავე აგრძონომიულ მეცნიერებას ვვალება. საჭიროა აგრძონომიული მეცნიერება მტკიცდ უნდა იყოს დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან—პრაქტიკასთან. „მეცნიერება, რომელსაც გაუშევეტნია კაშირი პრაქტიკასთან, გამოცდილებასთან—ეს რალ მეცნიერებაა? მეცნიერება, რომ ისეთი იყოს, როგორც მას ზოგიერთი ჩვენი კონსერვატორიული ამხანგი გვისახეს, მაშინ იგი დიდი ხანი დაიღუპებოდა კაცობრიობასთვის. მეცნიერებას სწორედ იმიტომ ეწოდება მეცნიერება, რომ იგი არ სკონბს ფეტიშებს, მას არ ეშინია ილმართოს ხელი დრომოშმულის, ძველის წირალმდევ, და გულისხმიერად უგდებს ურს გამოცდილების, პრაქტიკის ხმას“ (სტალინი).

მეცნიერებას სსრ კავშირში უდიდესა გასაძანი და დაფასება აქვთ. კაბი-
ტალისტურ ქვეყნებში მეცნიერება გამოუვალ ჩიხშია მომწყედეული და მხოლოდ
ერთი მუქა გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურება. გამარჯვებული
სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერება ეს მოწინავე მეცნიერებაა, იგი სოციალიზმის
საქმეს ემსახურება და „ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან ზორს კი არ უჭი-
რავს თავი, არამედ შზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპო-
ვარნი, რომელიც მომსახურეობას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნება-
ყოფლობით, ხალცით“ (სტალინი).

საბჭოთა მოწინავე აგრძნონმიული მეცნიერება მტკიცედ შეიქმნა კოლეგურნობათა, მტს-ბის და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში. მოწინავე აგრძნონმიული მეცნიერების კუველა ახალი მეცნიერული გამოკვლევანი და აღმოჩენები ფართო გაფრცლებას პოულობენ სოც. სოფ. მეურნ. წარმოებაში მასობრივი მასშტაბით.

სოციალისტურ მიწათმოქმედებაში საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად იზრდება და ვითარდება აგრონომიული მეცნიერება. მის წინაშე ფრიად პასუხსავები ამოცანები სდგას, კულტურული, რაციონალური მიწათმოქმედების შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებით. აგრონომიული მეცნიერება არ უნდა ჩამორჩეს სოციალიზმის შენებლობის ტემპებს. ამისათვის შექმნილია ყველა პირობა. ეს პირობებია სოციალისტური მიწათმოქმედება — მსოფლიოში ყველაზე პროგრესიული მიწათმოქმედება და ამ მიწათმოქმედების შენებელი მილიონი ადამიანები, რომელიც მოწინავე აგრონომიული მეცნიერების და ტექნიკის გამოყენებით სას.-სამ. წარმოებებში სასწაულებს ახდენენ და მეცნიერებასაც გზას უსსინიან მთელი რიგი ახალი საკითხების გადასაწყვეტად.

ორგანიზაციულ-სამეცნიერო და პოლიტიკურად განვტკიცებულმა კოლმეცნიერნებმა შორს გადაისროლეს ცრუ აგრძონმიული მეცნიერება. ახლა ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებზე აღმოცენებულ ჰეშმარიტ მეცნიერებას მოითხოვენ და ასეთი მეცნიერების ფართო დანერგვისათვის საქართველოს სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტს, აგრძონიმიული მეცნიერების ამ კურსს საქართველოში, უდიდესი ამოცანები აკისრია საქართველოს სოფლის მეცნიერებაში მთელი რიგი ახალი პრობლემების გადასაჭრელად.

აი ეს გარემობა გაითვალისწინა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომისარად აუცილებელია გამოიტანა და დაგენილება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „მოაბის“ გამოცემის შესახებ.

ხალხის საზოგადო მტრები, ტრაკიისტულ-ბუხარინული ნაძირალები, ფაშისტური ქვეყნების პირისისხლიანი ქოფაები, რომლებიც მოკალათებულნი იყვნენ ინსტიტუტის ყოფილ ხელმძღვანელობაში, ყოველნაირად შლიდნენ სამეცნიერო მუშაობას და ხელს უშენიდნენ ინსტიტუტის მეცნიერულ მუშაკებს მეცნიერულ მუშაობაში.

საქ., სას.-სამ. ინსტიტუტის ახალი ხელმძღვანელობა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მრკიცედ შეუდგა მავნებლობის შეღების სასწრაო ორ ლაკურიდან ისას.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 29 კათედრაა, რომელშიაც გაერთიანებულია 147 მეცნიერული მუშაკი. ხელმძღვანელი სადირქექტოების დადგენილებით ინსტიტუტის პედაგოგიურ პერსონალს პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ევალება სამეცნ.-საგამოკვლევო მუშაობის წარმოება. 1938 წელს 140 საგამოკვლევო სამეცნიერო ოება მუშავდება. მეცნიერული მუშაკები მზრდისა და კავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებებთან — პრაქტიკასთან. დაყენებულია მოელი რიგი ცდები. სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობით გაიზრდება მუშაქთა ოეორიულ - პრაქტიკული მომზადების დონე, გაიზრდებიან ახალგაზრდა მეცნიერული მუშაკები, მეცნიერების კანთიდარები და დოკტორობი.

სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის „მოაბის“ მიზანია ხელი შეუწყოს ინ-
სტიტუტის მეცნიერულ მუშავთა მომზადების საქმეს, გააშუქოს მათი მუშაობის
შედეგები და ამავე დროს მისცეს კოლეგიურნობებს, მტკ-ებას და საბჭოთა მე-
ურნობებს მეცნიერული დასკვნები აქტუალურ საკითხებზე.

ამ ამოცანის პრატიკული განხორციელება ინსტიტუტის მეცნიერულ მუშაკთა მთელი კოლექტივის დაჭიმულ ენერგიას მოითხოვს. თვითეული მცნიერელი მუშაკი უნდა გაიძისჭალოს იმის ღრმა შეგნებით, რომ საჭიროა ენერგიულ ბრძოლა მეცნიერების მწვერვალების დაუფლებისათვის. კველა მოწინავე მეცნიერულმა მუშაკმა თავის მეცნიერულ მუშაობაში უნდა აიღოს მაგალითი უდიდეს მეცნიერთაგან—ლენინისა და სტალინისაგან და გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

„მომბეგ“ თავის ფურცლებშე, გარდა ინსტიტუტის მეცნიერულ მუშაქების წერილებისა, ფართო ადგილს დაუთმობს საქართველოში არსებულ სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების, ფილიალების და სადგურების მუშაქთა წერილებს და სტანდარტებს გამოცდილებათა განზიარებას. ამისათვის „მომბეგის“ რედაქცია მიმართავს კველა მეცნიერულ მუშაქს და პრაქტიკოს - სტანდარტელ მონაშილეობას მიიღოს „მომბეგის“ მუშაქობაში.

მინერალური და ორგანული სასუაჟის გავლენა ცუნგოს ხის ზრდასა და მოსავლიანობაზე

ერთერთ მორიგეა და უმნიშვნელოვანეს პრობლემას დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების სოციალისტურ მეურნეობაში მესამე ხუციშედში წარმოადგენს ტუნგოს მოსავლიანობის გადიდების პრობლემას, რაც უსაკელია დამოკიდებულია არა მარტო ჩემში გავრცელებულ ტუნგოს ორივე სახეობის — *Aleurites Fordii* და *Al. cordata* — ყველაზე ნაყოფიერი ფორმების შერჩევაზე, არამედ მთელ რიგ აგროტექნიკურ ხერხებზეც და პირველ რიგში — სასუქებზე.

მიუხედავად ტუნგოს ხის (*Al. Fordii*) კულტურის საუკუნობრივი სიძველისა ცნოტრალურ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში და აგრეთვე მისი მინიშვნელოვანი ბუნებრივი, ხოლო უკანასკნელ ხანებში კულტურული გავრცელებისა ტუნგოს ზეთის მწარმოებელ (უმთავრესად საექსპორტოდ) ძირითად პროვინციების უმტერესობაში (სიჩუანი, გუიჩიუ, ხუნანი, ხუბეი, გუანსი), ცნობები ტუნგოს პლანტაციების გაპოხილებაზე არ მოიპოვა.

ტუნგოს ხის კულტურას აქ საქმაოდ პრიმიტულად აწარმოებენ, უმთავრესად მაღლობ წრაიონებში, გამოფიტულ ნიადაგებზე, და აქეს უმთავრესად ტყის ან იშვიათი გამონაკლისის გარდა ნახევრადტყის კულტურის ხასიათი, რის გამოც ტუნგოს ნარგაობანი ხასიათდებიან არა მარტო დაბალი მოსავლიანობით, არამედ სიცოცხლის ნაკლები ხანგრძლივობითაც.

თითქმის მის ანალოგიურ მდგომარეობას ვამჩნევთ იაპონიაშიაც და კუნძულ ფორმისას მაღლობ არაიონებშიც, სადაც გავრცელებულია *Al. Fordii* და უმნიშვნელო რაოდენობით *Al. cordata*. აქც სულ უკანასკნელ ხანებამდე სუბტროპიკული საცდელი სადგურები არ აქცევდნენ ყურადღებას ტუნგოს აგროტექნიკას და არავითარი ცნობები არც გაპოხილების მეთოდიების და არც ნაყოფთა მოსავლიანობაზე სასუქთა გავლენის შესახებ არ მოიპოვა.

ტუნგოს მეურნეობაში აშშ-ში, სადაც საწარმოო ნარგაობათა საერთო ფართობი მექსიკის მოსაზღვრე შტატებში (ფლორიდა, მისისიპი, ალაბამა, ლუიზიანა და სხ.) ამჟამად 35.000 ჰექტარამდე აღწევს, გაპოხილების საკითხებს უფრო სერიოზული ყურადღება ექცევა.

ფლორიდის უნივერსიტეტის საცდელი სადგურის (ქ. გეიისვილში) მუშაობით და აგრეთვე ზოგიერთი ტუნგოს მეურნეობის მიერ დადგენილია ტუნგოს ხის მაღალი მოთხოვნილება და მგრძნობიარობა საკვებ ნივთიერებათა მიმართ.

ყველაზე დიდ ეუკეტს ნაყოფთა ზრდისა და მოსავლიანობის შესწოდების
იღებენ სრული სასუქის ჟეტანის დროს, რომელიც ჟედგენილია სხვადასხვა სა-
სუქის ნარჩენებისაგან, რომელიც ჟეტანი N, P₂O₅ და K₂O.

მოსხენებულის საილუსტრაციოდ მოვცვავს სასაქებზე დაყენებული ცდის შედეგები, რომელიც მიღებული იყო დოქტრინა ა. კემპის მიერ 1934 წ. ტუნ-გოს ხის (Al. Fordii) 12-წლიანი ნარგაობის საკულტო ნაკვეთიზე.

ଓଡ଼ିଆ № 1

დანართის ნომერი	სი- გველუ- რი	კონცენტრა- ციატ-ჭიდ- ვა	ტრანსი- ციანური ფრეკუ- ნძი	კურივილი- ურის და- სახელი	სასუქის დასახელება და მისი დონები	შენიშვნა
1	4,56	6,6	20,3	4,40	გაორთქელილი ძვლის ფევილი + ბაზიტის კოპტონი თაბაბარი რაოდენო- ბით (3,62 კგრ. 1 სენტ).	
2	4,26	6,0	18,2	6,08	ნარევი 5—8—4, $\text{Ca}(\text{OH})_2$ -ის 1,8 კგრ დამატებით, 4-ჯერ შეტანილი 12 წლის გამნავლობაში. სასუქის შეტანა ამ დანაყოფზე დაიწყო 1930 წლიდან.	
3	4,53	6,72	20,0	5,52	ნარევი 5—8—4, 3,6 კგრ დამშვარი კირის შეტანით ერთჯერ დარგვის დროს.	
4	3,66	5,73	15,7	4,16	საკონტროლო, უსასუქოდ.	
5	4,32	6,39	19,4	6,20	ნარევი 5—8—4, ორმლის შემადგენ- ლობაში შეფორდა 2%, გვარჯულა, 1% ამინიმუმის სულფატი, 2% ბაზიტის კოპ- ტონი, 8% სუპერტრონფატატი, 4% ქლო- რიანი კალიუმი (3,6 კგრ რაოდენო- ბით 1 სენტ).	
6	3,99	6,03	16,8	5,76	ცხრის ნაკელი (16,3 კგრ 1 სენტ)	
7	5,71	6,66	19,2	6,90	ნარევი 5—8—4, ორმლის შემად- გენლობაშიც შეფორდა 30%, გვარჯულია, 2% ბაზიტის კოპტონი. 8% სუპერტრონ- ფატი, 4% ქლორიანი კალიუმი (3,6 კგრ. 1 სენტ).	
8	4,56	6,66	18,3	5,08	გაორთქელილი ძვლის ფევილი (3,6 კგრ 1 სენტ).	

მაგრამ, საღურის მონაცემთა მიხედვით, აზოტიანი სასუქის ძალიან დიდი დონების შეტანა ახალგაზრდა მცენარეების ქვეშ სახითოა, რადგანაც, სტი- მულირობს რა იგი მცენარის ზრდას და ვეგეტატური ორგანოების განვითარებას, ხელს უწყობს მის (მცენარის) არასაკმარის გამძლეობას ყინვებისა და ძლიერი ქარების წინააღმდეგ. უფრო სუსტი ყინვაგამძლეობა და უცდი გამ- ძლეობა ძლიერი ქარების მიმართ ტუნგოს გაძლიერებული ზრდის დროს, რო-

მელიც გამოწეულია აზოტიანი საკედას დიდი ღოზებით, დასტურდება ჰქონე-
თვე ბათუმის ბოტანიკური ბაღის ცდების მთელი რიგი მონაცემებით.

ფლორიდის უნივერსიტეტის საცდელი სადგურის მუშაობებით დადგენი-
ლია ტუნგოს ხის რიგთშორისებში კულტივირებული სასიდერაციო მცენარე-
ების (*Crotalaria spectabilis* და *C. striata*) და აგრეთვე სხვა ორგანული სა-
სუქების (კომპოსტი, გადამუშავებული ტორფი და სხ.) უზარმაზარი როლი;
აღნიშნულ სასუქები მნიშვნელოვნად აღიდებენ ნიადაგის ნაყოფიერებას ტუნ-
გოს ქვეშ.

გაუპოხიერებელ და ორგანული ნიერიერებებით ღარიბ ნიადაგებზე ტუნ-
გოს ხის მოსავლიანობა, როგორც წესი, იმდენად ეცემა, რომ ისეთი მოსავ-
ლიანი ფორმების კულტივირების შემთხვევაშიაც კი, როგორიცაა მტკენისებრ-
ნაყოფებიანი ფორმა, მცენარობა წამგებიანი ხდება.

იმ განსაკუთრებით დიდმა ყურადღებამ, რომელიც ტუნგოს ხეს ექცევა
დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ მიწათმოქმედებაში, აიძულა ბათუმის
სუბტროპიკული ბოტანიკური ბაღი შეეტანა თავის თემატიკურ გეგმაში რამო-
დენიმ მუშაობა მინერალური და ორგანული სასუქების გავლენის შესასწავლად
ამ ძეირფასი მცენარის ზრდასა და ნაყოფიერობაზე.

ბოტანიკური ბაღი აწარმოებდა მუშაობას სასუქთა შეტანის ვადების გან-
საზღვრაზე და აგრეთვე ნიადაგში კედების ძირითადი ელემენტების (აზოტის,
ფოსფორის, კალიუმის) დაგროვების დინამიკის შესწავლაზე სასუქთა შეტანის
სიხშირისაგან დამოკიდებით. დაფუნდებული იყო ცდები მინერალური სასუქების
ჭველაზე უფერტური დონების შესწავლაზე ტუნგოსათვეის. ტარდება მუშაობა
აგრეთვე მწვანე სასუქის გავლენის შესწავლაზე ტუნგოს ზრდასა და მოსავლია-
ნობაზე და ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე. ამავე დროს სწარმოებს
შესწავლა სასიდერაციო მცენარეების მოქმედებისა და შემდგომი მოქმედებისა
ნიადაგში საკედა ნიერიერებათა დაგროვებაზე და კერძოდ აზოტის მინერალი-
ზაციის სისწრავეზე. სწარმოებს აგრეთვე იმ საკითხების შესწავლა, თუ რა
გავლენას ახდენენ სასუქები ტუნგოს ზეთის პროდუქტებასა და ღირსებაზე.

თითქმის ყველა დასახელებული მუშაობა დაწყებულია დაახლოებით 4
წლის წინათ და ტარდება ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ჯიხაზურის ტუნ-
გოს მცენარობაში, უმთავრესად ტუნგოს სახეობა *Al. Fordii*-ზე. ამ წერილში
ჩვენ შევწერდებით მხოლოდ იმ წინასწარ ცდებზე, რომლებიც ჩატარებული
იყო სასუქთა გავლენის შესასწავლად იაპონურ ტუნგოს—*Al. cordata*-ს—განვი-
თარებასა და მოსავლიანობაზე და რომელიც ჩვენი ექვსი წლის მუშაობის შე-
დეგად არის მიღებული.

ტუნგოს ხის გაპოხიერებაზე საცდელი მუშაობის დაწეარების საკითხმა იმ
მიზნით, რომ საორიენტაციო მონაცემები მაინც ყოფილიყო მიღებული სასუქთა
მოქმედების ეფექტიანობის შესახებ, აიძულა ბათუმის ბოტანიკური ბაღის აგრო-
ტიქნიის განყოფილება დაწყო ეს მუშაობა 1932 წლის გაზაფხულზე *Al. cor-
data*-ს 6-წლიან პლანტაციაში, რომელიც შესდეგებიდა ტუნგოს ხის 220 ეგზემ-
პლაზიასგან და რომელიც ერთადერთი იყო იმ დროს ხნოვანებისა და ოდენო-
ბის მიხედვით დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ მცენარობაში.

მოგვყავს ნაკვეთისა და ჩატარებული ცდის მოკლე აღწერა.

ნაკვეთი მოთავსებულია ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, დაახლოებით 200 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ბალის იმ ნაწილში, რომელსაც „ფრიდე“ ეწოდება. ნაკვეთის დაქნება იღწევს 25°-მდე.

ნიადაგი — წითელმიწა, სხვადასხვა სიძლიერით გამოსახული ჰუმუსიანი ჰორიზონტით, რაც ნაკვეთის ტოპოგრაფიულ თავისებურებათაგან არის გამოწვეული*.

ერთწლიანი ნერგების დარგვა მუდმივ ადგილზე ჩატარდა კადრაკული წესით 1927 წ. განატულებაზე 80 სმ-ის სიფართისა და 45 სმ-ის სიღრმის ორმოქმდი.

სასუქები ხეების ქვეშ ჩვენ მიერ დაწყებულ ცდამდე შეტანილი არ ყოფილა; მხოლოდ მცენარეთა კვების გასაძლიერებლად პლანტაციის გაშენების დროს ორმოქმდი ჩაკვებული იყო მათ ირგვლივ მოთავსებული ჰუმუსიანი ჰორიზონტი.

კვების ფართობი 6 მ × 6 მ.

ნარგვაების მოვლა მისი არსებობის მთელი დროის განმავლობაში გამოიხატებოდა ყოველწლიურად სარეველ მცენარეთა სამჯერ გათიბვაში ვეგეტაციის პერიოდის განმავლობაში და ნიადაგის ორჯერ მსუბუქად გაფხვიერებაში (4—5 სმ-ის სიღრმემდე) მცენარეთა ირგვლივ დაახლოებით 80 სმ-ის რადიუსზე (პირველ 3 წლებში). შემდეგ წლებში მცენარეთა ირგვლივ ნიადაგის გაფხვიერების რადიუსი თანდათანობით დიდდებოდა და 1938 წლისათვის 1,5—2 მ მიაღწია.

პლანტაციის არსებობის მთელი დროის განმავლობაში ტუნგოს ამ ნაკვეთზე არც ერთხელ არ ყოფილა შემჩნეული ყინვებით დაზიანება.

ხეების მცირე პროცენტი შექანიერდ დაზიანდა 1931/32 წლის ზამთარში, რაც გამოწევული იყო მდლავერი თოვლის საფარით (1,7 მ-დე), რამაც ზოგიერთ მცენარეზე გამოიწვია ტოტების ნაწილის მოტეხა. შემჩნეული იყო იგრეთვე შტამბისა და ტოტების ქერქის დაზიანება ფიტოპათოლოგიური დაავადებებით.

პირველ ნაყოფიერობას ადგილი ჰქონდა მეოთხე წელს პლანტაციის გაშენების მომენტიდან; ამ წელს ნაყოფიერობდა მცენარეთა 35% მდე.

საჭიროა ალინიშნოს, რომ მეექვს წელს ნარგვების დაახლოებით 10% მამოსავალი არ მოგვერა.

სასუქების შეტანა ცდის დაწყების მომენტიდან აქამონდე სწარმოებდა ყოველწლიურად იდრე გაზაფხულზე. ცდის სქემა იყო ასეთი: საკონტროლო, ნაკველი, NKP, NP, NK, KP.

სასუქების ყოველი სახეობისათვის გამოყოფილი იყო ხეების რიგები, 10—12 ეგზემპლარის შემადგენლობით, ზევიდან ქვევით კენ ნაკვეთის დაქანებაზე.

* პროფ. დ. პ. გვდევანიშვილის მონაცემთა მიხედვით ამ ნაკვეთის ნიადაგი ხასიათდება წევალგამტარობით და ჰუმუსის შემადგენლობით 5-დან 8% მდე; P_H ზედა ჰორიზონტული უდრის 4,8-დან 6-მდე. უმაძლრობა სიღრმესთან ერთად მატულობს.



განმეორებათა რაოდენობა სამს უდრიდა. ალსარიცხი ხევბის საერთო რიცხვი ამ სქემის მიხედვით იყო სულ 210. მცენარეთა რიცხვის სიმცირის გამო მფარავი რიგები არ ყოფილა გამოყოფილი, მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანმა ინტერვალებმა ხევბს შორის და მცენარების შედარებით არადიდმა განვითარებამ ნაკვეთზე საშუალება მოგვცა აღვერიცხა შედეგები ცალკე ვარიანტების შიხედვით.

მინერალურ სასუქთა შეტანა სწარმოებდა შტამბის ირგვლივ წრებში, რაოდენობით 1,5—2 მ-ტრ, შედარებით მცირე სილირმეზე (5 სმ), ხოლო უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არა უღრმეს 6—8 სმ-ისა, რათა თავიდან აგვეცდინა ნიადაგის ზედაპირის მახლობლად განწყობილი ტუნგოს ფესვთა სისტემის დაზიანება.

ნაკველის ჩაკეთება სწარმოებდა 8—10 სმ-ის სილირმეზე.

სასუქთა ზეტანის ნორმები

სასუქის სახელშოდება	პირობითი აღნიშვნა	სასუქის რაოდენობა ერთ მცენარეზე კგრ-ში			სასუქთა რაოდენობა 1 ჰექტარზე ტრონი ბორბში (270 ხე)
		1932 და 1933	1934 წლიდან	1935 წ-შე ჩათვლით	
გოგირდმეუვა ამონიუმი 20%-იანი	N	1,2	1,8		0,32—0,49
სუპერფოსფატი 18% /ე-იანი . . .	P	1,3	2,0		0,35—0,54
კალიუმის მარილი 40% /ე-იანი . . .	K	0,6	0,9		0,16—0,24
ნაკველი	—	20,0	30,0		5,40—8,10

ყველა დაკვირვება, გაზომეა და ნაყოფთა მოსავლის ალრიცხვა ტარდებოდა ინდივიდუალურად ყოველ ხეზე. ცდაში ალირიცხებოდა შემდეგი მონაცემები: ფენოლოგია, მცენარეთა ზრდისა და განვითარების დინამიკა წლების შიხედვით, ყვავილობისა და ნაყოფიერობის ბიოლოგია და იგრეთვე ნაყოფთა მოსავლის რაოდენობა.

ფენოლოგიური დაკვირვებანი

	1932 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.
კვირტების გაბერგა	—	29.III	20.III	4.III
კვირტების გაშლა	—	8.IV	2.IV	16.III
პირველი ფოთოლების გამოჩენა	—	17.IV	7.IV	12.IV
პირველი ყვავილის გამოჩენა	22.V	16.V	25.V	7.V
მასობრივი ყვავილობის დასაწყისი . . .	—	21.V	2.VI	4.VI
სრული ყვავილობა	4.VI	2.VI	6.VI	10.VI
ყვავილობის დასასრული	23.VI	25.VI	29.VI	23.VI

ცდის გატარების მთელი პერიოდის განმავლობაში შემოდგომით ფოთლების შეფერვის დასაწყისი, როგორც საკონტროლო დანაყოფებზე, ისე KP-იან



დანაყოფებზეც, მოდიოდა სექტემბრის პირველ ნახევარში; დანარჩენ ჰქონდა უკეთესობა უებზე სექტემბრის ბოლოში ან ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

ფოთლების ჩამოცვენის მაქსიმუმი პირველ ორ დანაყოფზე მოდიოდა ნოემბრის ბოლო რიცხვებზე, დანარჩენებზე—დეკემბრის მეორე დეკადაზე.

ფოთლების ჩამოცვენის დასასრული პირველი ორი ვარიანტის (საკონტროლო, KP) მცენარეებში მოდიოდა დეკემბრის შუა რიცხვებზე, დანარჩენი ვარიანტის მცენარეებში—დეკემბრის ბოლო რიცხვებზე.

ნაყოფთა დაწიფებას საენტროლო დანაყოფებზე და აგრეთვე KP-თი და ნაკელით გაპონიერებულებზე (უკანასკენელ შემთხვევაში 1935 წლამდე), როგორც წესი, ადგილი ჰქონდა სექტემბრის შუა რიცხვებში, ე. ი. ერთი კვირით ან დეკადით უფრო ძირე, კიდრე დანარჩენ დანაყოფებზე, რისათანა NPK, NP და NK-თი გაპონიერებულ მცენარეზე ნაყოფთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღების (მოკრეფის) მომენტისათვის მწვანედ იყო შეფერილი, წინააღმდეგ დანარჩენ ვარიანტთა მცენარეების ნაყოფებისა, რომელიც უმეტესად ცვითლად ან ყვითლად წვანედ ანტოციანით იყვნენ შეფერილი.

Al. cordata-ს ნაყოფიერობის მთელი დროის განმავლობაში ნაყოფთა მოკრეფა და მოსაელის აღრიცხვა ტარდებოდა სექტემბრის მესამე დეკადაში, ჩვეულებრივად 1—1,5 დეკადით ძირე, ვიდრე სრულხნოვანი ნარგაობებიდან.

ყოველწლიურად ჩატარებულ დაკირვებათა და ნაყოფთა მოსაელის აღრიცხვის შედეგად ტუნგოს საცდელი ნარგაობის ყოველ მცენარეზე ჩვენ მიერ გამოყოფილი იქნა სამი სექსობრივი ფორმა, რომლებიც განსხვავდებოდნენ ურთიერთისაგან როგორც მთელი რიგი მორფოლოგიური თვეის ბურჯებებით, ისე მოსაელიანობის მიხედვითაც.

94% ეკუთვნოდა ერთსახლიან ფორმას, საადრეოს, უხვადმოყვავილეს; 3%—ორსახლიან ფორმას, მდედრობითს, გვაიანმოყვავილეს, რომელიც ხასიათდებოდა უფრო მსხვილი ნაყოფებითა და მეტი მოსაელიანობით; 3%—ორსახლიან ფორმას, მამრობითს, უხვად მოყვავილეს, რომელიც ხასიათდებოდა ან სრული უნაყოფობით, ან ფრიად დაბალი მოსაელიანობით. უკანასკენელი ორი ჯგუფის კველა მცენარე გამორიცხულ იქნა ცდის ცალკე ვარიანტების მიხედვით ნაყოფთა მოსაელის განვარიშების დროს.

ტუნგოს ზრდისა და განვითარების დინამიკის და აგრეთვე ცვავილობისა და ნაყოფიერობის ბიოლოგიის მონაცემები, შესასწავლი ფაქტორებისაგან დამკიდებით, შეჯამებულია ტაბულა № 2 და № 3-ში.

ტაბულა № (№ 2) მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, რომ ყველაზე უდიდესი გაელენა მცენარის მეტებისა და კრონის მატებაზე იქნია სრულმა მინერალურმა სასუქმა და აზოტისა და ფოსფორის კომბინაციაში. ფოსფორითა და კალიუმით გაპონიერებული დანაყოფები კი ძალიან მცირდე განსხვავდებოდნენ საკონტროლო დანაყოფისაგან და ახასიათებდათ სუსტი ზრდა და განვითარება.

ტაბულა № 3-ის ციფრობრივი მონაცემების შედარებიდან იმ დასკვნამდე მივღიერთ, რომ იმ მცენარეებზე, რომლებმაც ერთსა და იმავე დროს მიიღეს აზოტიანი და ფოსფორმეტა სასუქმა, ადგილი იქნეს ყვავილედთა გაძლიერებულ განვითარებას და სასარგებლო ნასკვების აბსოლუტური რაოდენობის გადიდებას, აგრეთვე ნაყოფთა რაოდენობის გადიდებასაც.

ALEURITES CORDATA-ც
ცალკეული მონაცემები

სასუქის სახეობა	ხევბის სიმაღლე მეტრებში 1 იანვრისათვის							მ- მ- მ- მ- მ-	შრამის დიამეტრი ფურქსთან სმ-ში 1 იანვრისათვის						
	1932	1933	1934	1935	1936	1937	1938		1932	1933	1934	1935	1936	1937	1938
საკონტრ.	3,4	3,9	4,2	4,8	5,5	5,5	6,0	2,6	5,2	6,4	7,4	9,0	9,7	11,8	13,6
ნაკელი	3,4	3,8	4,0	4,7	5,4	5,7	6,4	3,0	5,2	6,5	7,5	9,8	10,9	13,4	15,3
NPK	3,4	4,0	4,7	5,4	6,0	6,3	7,0	3,6	5,4	7,3	9,3	13,2	14,8	17,0	18,8
NP	3,4	4,1	4,7	5,4	5,8	6,3	6,9	3,5	5,3	7,1	9,2	11,9	13,3	17,0	19,1
NK	3,2	3,7	4,1	4,8	5,4	5,5	6,2	3,0	4,8	6,6	8,1	10,6	11,3	14,3	15,8
PK	3,2	3,8	3,9	4,5	4,9	5,2	5,9	2,7	5,0	6,2	7,0	9,0	9,6	12,5	14,7

ALEURITES CORDATA-ს ზვავილობისა

სასუქის სახეობა	შვავილედთა რიცხვი 1 მცნა- რებე (საშუალოდ)						შვავილედთა რიცხვი, რომელმ- ნები ნაყოფები გამოინასკვა (საშუალოდ 1 მცნარებე)					
	1932	1933	1934	1935	1936	1937	1932	1933	1934	1935	1936	1937
საკონტროლო	6,3	8,0	20,7	35,0	39,0	56	4,2	5,9	15,4	24,0	25,3	31
ნაკელი	6,4	9,1	22,9	54,1	61,3	92	4,5	6,0	15,8	36,0	44,1	55
NPK	6,3	20,8	44,8	93,9	131,3	178	4,0	13,1	33,6	45,2	81,4	68
NP	5,3	15,4	44,5	108,5	135,0	161	3,7	13,3	35,0	43,2	60,0	80
NK	4,2	14,9	27,3	55,8	64,0	54	3,0	11,1	19,8	27,3	40,0	27
KP	4,7	9,5	16,8	29,3	45,7	60	3,5	6,7	14,0	22,9	33,0	31

სასუქის სახეობა	ნაყოფთა მოსავალი 1 მცნარებე კგრ-ში						ნაყოფთა მოსავალი საცდელ დანაყოფებები კგრ-ში					
	1932	1933	1934	1935	1936	1937	1932	1933	1934	1935	1936	1937
საკონტროლო	0,36	0,52	2,5	3,7	3,9	4,2	12,6	18,2	87,5	129,5	136,5	147,0
ნაკელი	0,39	0,81	3,1	6,5	7,0	9,2	13,6	28,3	108,5	227,5	245,0	322,0
NPK	0,47	1,90	6,2	7,0	9,7	12,7	16,4	66,5	217,0	245,0	339,5	444,5
NP	0,35	1,75	5,5	6,3	7,4	11,8	12,2	61,2	192,5	220,5	259,0	413,0
NK	0,27	1,35	2,2	3,2	4,1	3,6	9,4	47,2	77,0	112,0	143,5	126,0
KP	0,30	0,91	2,1	3,7	4,2	6,4	10,5	31,8	73,5	129,5	147,0	224,0

ზედის დინამიკა ფლების მიხედვით

წ. წელი და წელი	შტამპის დიამეტრი მეტრის სიმაღლეზე სმ-ში 1 იანვრი- სათვეს						წ. წელი და წელი	კრონის დიამეტრი მეტრებში 1 იანვრისათვეს					წ. წელი და წელი		
	1932	1933	1934	1935	1936	1937	1938	1933	1934	1935	1936	1937	1938		
8,4	3,9	4,5	5,3	6,8	7,6	8,5	10,0	6,1	2,0	2,2	3,0	3,5	3,7	5,1	3,1
10,1	3,8	4,7	5,5	7,5	8,3	9,7	11,1	7,3	2,0	2,4	3,5	4,3	4,4	5,8	3,8
13,4	4,0	5,2	6,6	8,6	9,9	12,4	13,3	9,3	2,1	2,7	4,2	4,9	5,4	6,5	4,4
13,8	4,1	5,3	6,8	9,3	10,5	12,2	14,0	9,9	2,1	2,8	4,1	4,9	5,3	6,4	4,3
11,0	3,7	4,7	5,7	7,7	8,4	9,9	12,1	8,4	1,9	2,7	3,6	4,4	4,2	5,8	3,9
9,7	3,8	4,4	5,0	6,6	7,3	8,8	10,9	7,1	1,8	2,0	3,1	3,5	4,0	5,3	3,5

და ნაყოფის გამოყენების გამოლობის გარეშე

ტაბულა № 3

შვავილედთა %-ის რომელსეც ნაყოფები გამოინასკვა						ნაყოფთა რაოდენობა 1 მცენარეზე (საშუალოდ)					
1932	1933	1934	1935	1936	1937	1932	1933	1934	1935	1936	1937
66,7	73,8	74,3	68,5	64,8	55,4	46	90	257	420	462	
70,3	65,9	69,0	66,5	72,0	59,8	50	72	325	829	784	
63,5	62,9	75,0	48,2	62,0	43,8	53	206	294	949	1096	
69,7	86,4	78,5	39,3	44,4	49,7	43	204	642	822	900	
71,4	74,5	72,5	48,9	62,5	50,0	34	157	428	497	482	
74,5	70,5	83,2	71,6	72,2	51,7	38	101	293	471	469	

ტაბულა № 4

ნაყოფთა მოსავალი 1 ჰექტარზე გადაყვანით (270 ბგ) ტონებში						ერთი ნაყოფის წონა გრ-ში			ნაყოფის მო- სავლის გადა- მეტების %/ შესასწოვლი ფაქტორისა- გან დონეზე დებიტ 1937წ.		
მე-6 წელს	მე-7 წელს	მე-8 წელს	მე-9 წელს	მე-10-ე წელს	მე-11-ე წელს	1932	1935	1936	1932	1935	1936
1932	1933	1934	1935	1936	1937	1932	1935	1936	1932	1935	1936
0,097	0,14	0,67	1,00	1,05	1,13	7,8	8,8	8,4			
0,105	0,22	0,84	1,76	1,89	2,48	7,8	7,8	8,9			119,2
0,127	0,51	1,67	1,89	2,62	3,43	8,9	7,4	8,9			203,0
0,094	0,47	1,48	1,70	2,00	3,19	8,1	7,7	8,2			182,2
0,073	0,36	0,59	0,86	1,10	0,97	8,0	6,5	8,5			-14,2
0,081	0,25	0,57	1,00	1,13	1,73	7,9	8,0	8,9			53,0



6 წლის გამშავლობაში წარმოებული ცდის ძირითადი საკითხის შესახებ რეაქციები სახელდობრ ტუნგოს ნაყოფიერობაზე სასუქთა გავლენის შესწავლის შესახებ, ჩვენ მოგვეპოება შემდეგი მონაცემები, რომელიც მოყვანილია ტაბულა № 4-ში.

იაპონურ ტუნგოს ნაყოფთ მოსავლიანობაზე სასუქთა გავლენის შესწავლასთან ერთდროულად ბორტანიური ბალის მცნარეული ქიმიის სექტორის მიერ ტარდებოდა მუშაობა სასუქების გავლენის გამოსარკვევად ზეთის გამოსავლის პროცენტზე და აგრეთვე ზეთის ძირითად ქიმიურ კანსტანტებზე. ზეთის გამოსავლის პროცენტის განსაზღვრის შედეგები, მც. მუშავის ვ. პ. ლინიჩევის მონაცემთა მიხედვით, მოგვყავს ტაბულა № 5.

ტაბულა № 5

	საკონტ- როლო ნორი	ნკე	NKP	NP	NK	KP	შენიშვნა
თესლის გულიდან (აბსოლ. შშრალი ზეთის გამოსავა- ლის პროცენტი (საჭუალო სამი წლის მონაცემებიდან)	69,67	72,56	65,70	67,56	68,18	68,48	თესლის გულში ზე- თის პროცენტის გან- საზღვრა ტარდებო- და სოსლების მე- თოდით ეჭვრაჟ- ცით

ტაბულაში მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, რომ ზეთის უდიდესი გამოსავალი აბსოლუტურად შშრალი თესლების გულიდან მოგვცა იმ დანაყოფთა ნა-
ყოფებშია, რომლებიც ნაკელით იყვნენ გამოხიერებული და აგრეთვე საკონტრო-
ლო დანაყოფებმა. ეს, როგორც ჩანს, აზოტის გავლენით შეიძლება აიხსნას.

მიუხედავად ზეთის უფრო მცირე შემადგენლობისა NKP და NP-თი გა-
პოხილებულა დანაყოფებიდან მიღებულ თესლებში, ზეთის აბსოლუტური რა-
ოდენობის გამოსავალი ფართობის ერთეულიდან აქ მაინც გაცილებით მეტი
იყო, ვიდრე სხვა გარიანტებში.

ძირითად ქიმიურ კონსტანტებზე სასუქთა გავლენის დარგში ჩატარებულ
გამოკვლევათა შედეგები მოყვანილია ტაბულა № 6.

ტაბულა № 6

ცდის გარიანტები	იოდის რიცხვი (გრუბელით)		მეცნიერობის რიცხვი		გასაპრენის რიცხვი		ეთერის რიცხვი	
	1936 წ.	1937 წ.	1936 წ.	1937 წ.	1936 წ.	1937 წ.	1936 წ.	1937 წ.
საკონტროლო . . .	157,91	160,09	0,37	—	—	189,43	—	189,06
ნაკელი	164,42	163,63	0,65	—	193,92	192,87	193,53	192,22
NKP	162,54	162,05	0,53	—	185,96	191,63	185,31	191,10
NP	161,01	162,41	0,43	0,47	193,82	193,00	193,28	192,79
NK	159,97	161,54	0,53	0,50	192,93	192,96	192,34	192,43
KP	159,99	161,29	0,38	0,43	—	192,77	—	192,31



მოყვანილი მონაცემებიდან სასუქთა გავლენის შესახებ ტუნგოს ხელშეწყობისა, განვითარებასა და მოსავლიანობაზე ჩვენ შემდეგი ძირითადი დასკვნები გამოიყენა:

1. სასუქების გავლენა ნაყოფიერობის გადიდებაზე ცდის დაყენების პირველ წელს არ შეიძლებოდა მთლიანად გამომელავნებულიყო იმის გამო, რომ კეირტების დიფერენციალი უკვი იყო მომხდარი სასუქთა შეტანის ვადაზე აღრე.

შემდეგ წლებში კულტურული დიდი გავლენა მცენარეთა ზრდასა და განვითარებაზე, აგრეთვე ნაყოფიერობაზეც, მოახდინა: სრულმა მინერალურმა სასუქმა, აზოტის კომბინაციაშ ფოსფორთან და ნაკელმა, რომლებმაც ცდის დაწყებიდან შეექვსე წელს გაადიდეს ნაყოფთა მოსავალი საკონტროლო დანაყოფთან შედარებით $119,2\%$ -დან $203,0\%$ -მდე.

2. ორგანული სასუქის, ამ შემთხვევაში ნაკელის გავლენა პირველ წლებში გაცილებით უფრო სუსტად გამოვლინდა, რაც, როგორც ჩანს, უნდა აისწნას როგორც შეტანილი ნაკელის შედარებით მცირე დოზებით, რომელშიდაც მომქმედი საწყისი, განსაკუთრებით აზოტის მხრით, რამდენჯერმე უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მინერალურ სასუქებში, ისე მისი მოქმედების სინდრომი.

მისი შესამჩნევი გავლენა მოყოლებული მეოთხე წლიდან, განსაკუთრებით კი მეუქვე წელს, აისწნება, როგორც ჩანს, შეჯამებული ეფექტით, ე. ი. წინა წლების დოზების შემდგომი მოქმედებით და აგრეთვე უკანასკნელ წელს შეტანილი დოზების მოქმედებით.

3. ცდის აზოტ-კალიუმიან ვარიანტში მცენარეთა მოსავლიანობის შემცირება შეიძლება აბსინილი იქნას, როგორც ჩანს, ნიადაგის სსნარში ალუმინის თავისუფალი იონის არსებობით, რომელმაც მავნე გაელენა მოახდინა მცენარეზე.

4. ტუნგოს ხე მიეკუთვნება ისეთ მცენარეების რიცხვს, რომლებიც ძლიერ რეაგირობენ სასუქებზე და კერძოდ მინერალურ სასუქებზე.

სასუქთა ფორმების, დოზირების და შეტანის ვადების საკითხები შემდგომ გალრმავებულ დამუშავებას საჭიროებენ.

Влияние минеральных и органических удобрений на рост и урожайность тунгового дерева

Выводы

Из приведенных данных по изучению влияния удобрений на рост, развитие и урожайность тунгового дерева, мы делаем следующие выводы:

1. Влияние удобрений на увеличение плодоношения в первый год закладки опыта не могло проявиться в полной мере в силу того, что дифференциация почек происходила ранее срока внесения удобрений.

В дальнейшем наибольшее влияние на рост и развитие растений, а равным образом, на плодоношение оказали: полное минеральное удобрение, комбинации азота с фосфором и навозное удобрение, повысившие на 6-м году от начала опыта урожай плодов по сравнению с контрольными делянками от 119,2% до 203,0%.

2. Влияние органического удобрения, в данном случае навоза, в первые годы проявилось значительно слабее, что, повидимому, объясняется как сравнительно малыми дозами внесения, в которых действующих начал, особенно в отношении азота, было в несколько раз меньше, чем в минеральных удобрениях, так и медленностью его действия.

Заметное влияние его с четвертого года, особенно на шестом году об'ясняется, повидимому, суммарными эффектами, т. е. последействием доз прошлых лет, а также действием внесенного в последний год.

3. В варианте опыта азот-калий снижение урожайности растений можно об'яснить, повидимому, наличием в почвенном растворе свободного иона алюминия, который оказал вредное действие на растения.

4. Тунговое дерево относится к растениям сильно реагирующим на удобрения и в частности на минеральные.

Вопросы форм удобрений, дозировок и сроков внесения их требуют дальнейшей углубленной проработки.

INFLUENCE OF MINERAL AND ORGANIC MANURING ON THE GROWTH AND PRODUCTIVITY OF THE TUNG—TREE.

D e d u c t i o n s

The given data about the influence of manuring on the growth, development and productivity of the tung-tree, allows us to make the following deductions.

1. The influence of manuring on the growth of fruitbearing, in the first year of the experiment, could not manifest itself entirely, because the differentiation of the buds happened before the manuring had been used.

Later, a full mineral fertilization, the a combination of nitrogen with phosphorus and manuring, raising the crop of fruit on the 6-th year, after the beginning of the experiment, from 119,2% to 203,0%, as compared to the control allotment, has the greatest influence on the growth and development of the plants as well as on fruitbearing.

2. The influence of organic manuring in this case, manifested itself much weaker in the first years, which evidently can be explained by the comparatively small doses brought in when the active basis was several times less, regarding nitrogen especially, than in mineral manuring, as well as by the slowness of its action.


Its noticeable influence since the 4-th year, especially on the 6-th, can be evidently explained by summary effects, that is by the results of the doses of preceeding years and also by the action of what was brought in during the last years.

3. In the variation of the nitrogen—potassium experiment, the lowering of the productivity of plants can be evidently explained by the presence of a free ion of aluminium in the soil solution, which had a bad influence on the plants.

4. The tung-tree belongs to the plants having a strong reaction on manuring and on mineral manuring in particular.

The forms of manuring, the doses and the terms in which they are brought in, demand to be worked out more deeply in the future.

— — —



მუნიციპალიტეტის მასალის დაღვის ხანგრძლივობის განსაზღვრა

ამეამად შევენახეობაში ერთერთ აქტუალურ საკითხს სარგავი მასალის დაშოადება წარმოადგენს. უკანასკნელი საწარმოო ხასიათის თათბირები ნათელ-ჰყოფენ იმ გარემოებას, რომ ვენახების გაშენების გეგმის შესრულება ძირითადად სარგავი მასალის სათანადო რაოდენობით დამზადებაზეა დამოკიდებული. ჩენში ფილოქსერის მასობრივად გავრცელების გამო, ვენახების გაშენება ხდება ნამყენების საშუალებით; მყნობის წარმოება ართულებს და აძნელებს სარგავი მასალის დამზადებას; განსაკუთრებით აღსანიშნავია მყნობის შემდეგ ვარგისი სარგავი მასალის გამოსავლის დაბალი პროცენტი. წარმოების მთავარი ყურადღება ამეამად მიქცეულია ნამყენის გამოსავლის % -ის გადიდებაზე. ამ გარემოებამ უკარნახა კელევით დაწესებულებებსაც, რომ აგროტექნიკური ლონისმიერების გამომწვავების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სარგავი მასალის დამზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ნამყენის გამოსავლის % -ის გადიდება დამოკიდებულია მყნობასთან დაკავშირებული ოკითეული ლონისმიერის ზესრულებაზე. სანამ დასარგავიდ გამოსაყენებელ ნამყენ ნერგს მივიღებდეთ, საჭიროა წინასწარ ჩატარებულ იქნას ლონისმიერიათა მთელი კომპლექტი; ერთი რომელიმე მათგანის არაწესიერი შესრულება უფლებეროდ ხდის დანარჩენ კარგად შესრულებულ ლონისმიერებასაც.

მაგალითად, როკორ კარგადაც არ უნდა ჩავტაროთ მყნობის ტექნიკა და სათბურიდან გამოყვანა, თუ შემდეგ სანერგეში ჩასატარებელი ლონისმიერები ზესტად არ იქნა შესრულებული, შედეგი მაინც არასასურველი იქნება. პირიქით, თუ მყნობის ტექნიკა არაწესიერად არის შესრულებული, შემდეგ სათბურში და სანერგეში ჩასატარებელ კველა ლონისმიერებათა წესიერი შესრულებაც საქმეს მოლიანდ მაინც კვერ გამოასწორებს.

საძირე მასალის დალბობა უშუალოდ წინ უძღვის მყნობის ოპერაციას. ერთი შეხედვით ეს მეტად პატარა საკითხია, მაგრამ როდესაც ამ ლონისმიერია გულდასმით უკვირდებით, ჯერ ამ მხრივ კიდევ ზევრი რამ არის შესასწავლი და დასაზუსტებელი.

პრაქტიკაში მიღებულია, რომ ლერწს მყნობისათვის საჭმაო სინესტე აქვს მაშინ, როდესაც მის გადანაკერზე წყლის წყვეტის დაიწყებს გამოყოფას. არის უმომხვევა, როდესაც სიმყნობი მასალა, არაწესიერი შენახვის გამო, ან შორს შანდილზე გადატანის დროს, ბევრ სინესტეს ჰქარგავს. გამომშრალი ლერწის



შემოწმებისათვის პრაქტიკულად სხვადასხვა წესს მიმართავენ: 1) რამოდენომეტე
რქაზე გაკეთებენ ანათლებს და თუ კანქეშ მდებარე ქსოვილი მწვანე ფერის
აღმოჩნდება, მაშინ ამბობენ, რომ მასალა მყნობისათვის ვარგისია; 2) თუ
რქის გადანაცერზე დაწოლით (დანით) წყალი დაიწყებს გამოქონვას, მასალას
ვარგისად სთვლიან; 3) რამოდენომეტე რქის მოათვესებენ წყლის ქილოში და
დადგამენ თბილ ადგილას კვირტების გასაღვიერებლად, რომლის საფუძველზე
აკეთებენ დასკვნას სამყნობი მასალის ვარგისიანობის შესახებ. აღნიშნული წე-
სები მხოლოდ გარეგნული ნიშნების საფუძველზე განსაზღვრავენ მასალის ვარ-
გისიანობას. იმის განსაზღვრა კი, თუ რა ცვლილება განიცადა კაბინალურმა
ქსოვილმა გამოშრობის შედეგად, რასაც ძირითად მნიშვნელობა აქვს ნამყნის
შეხორცებაში, ძნელია. ხშირად გამომშრალი სამყნობი მასალის გამოყენება და
მის მიერ დაკარგული სინესტრის ოდღენის შესძლებლობა ავროტექნიკური შე-
მოწმების შედეგად საკეცო ხდება. ამასთან ერთად არ ვიცით, რა დრომ სა-
კირო სამყნობი მასალის დალბობისათვის, რომ დაკარგული წყალი აღიდგინოს.
მყნობის წინ მასალის დალბობის ხანგრძლივობის შესახებ აჩვებობს მხოლოდ
ტრაფარეტული მოსაზრებანი, შეცნიერულ საფუძველს მოკლებული, რომელიც
ერთი ნაშრომიდან გადადის მეორეში ყოველგვარი კონტროლის გაწევის გა-
რეშე. წყალში სამყნობი მასალის ზედმეტად გაჩერება დასალბობად არ არის
სასურველი, რადგან კანი დაიწყებს დასკერობას და შემოკლას, ამასთან ერთად
სამყნობი მასალა წყალში დილხანს გაჩერებით ჰკარგავს საკეცო ნივთიერებებს.
ყოველივე ეს უარყოფით გავლენას იქონიებს ნამყნის შეხორცებაზე.

ამნირად სამყნობი მასალის დალბობის საკითხი საერთოდ შეუსწავლე-
ლია. მეცნიანეობის ლიტერატურა ამ მხრივ მეტად ლარიბია და ყოველგვარი
მასალა, ექსპერიმენტის ან დაკვირვების საფუძველზე მიღებული, ინტერესს მო-
კლებული არ იქნება.

აქედან გამომდინარე სას.-სამ. ინსტიტუტის მეცნიანეობის კათედრამ განი-
ზრაა იმის გამორკევა, თუ რა დროის განმავლობაში შესძლებს საძირე მასალა
დაკარგული წყლის ოდღენისა და კათედრაზე წინასწარ დამუშავებული მეთოდი-
კით შესრულებული იქნა ეს მუშაობა.

ცდისათვის აღებული იყო მუქუჭნის საბჭოთა მეურნეობიდან მუხრანის
მეურნეობაში გადაგზავნილი საძირე მასალა. ცდის ადგილას საძირე მასალა მი-
ღებულ იქნა გაღმოგზავნიდან 15 დღის შემდეგ. აღნიშნული მასალიდან საცდე-
ლად გამოყვოლი ლერწი ინახებოდა ყოველგვარი წაფარების გარეშე 25 დღის
განმავლობაში. ასეთი შენახვის შედეგად, როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრი-
ლიდან დავინახავთ, საცდელად აღებულმა საძირე მასალამ დაპარგა წონაში
დახლოებით ერთი მესამედი წყალით საბოლოოდ გაეღენთილი რქის წონასთან
შედარებით. აგროტექნიკური შემოწმების დროს რქა გადანაცერზე წყალს არ
გამოჰყოფდა.

ცდისათვის აღებული იყო სამი ჯიში: რიპარია რუპესტრის № 3309, რი-
პარია—რუპესტრის № 101¹⁴ და ბერლანდიერი—რიპარია № 420-ა. თვითეული
ჯიშიდან აღებული იყო 20 რქა სტანდარტული სიგრძისა (120 სანტიმეტრიანი).
დაკვირვება სწარმოებდა როგორც მთლიან რქებზე, ისე დაჭრილზე. უკანასკნელ



შემოთხვევაში თვეოთეული 120 სანტიმეტრიანი რქა დაჭრილი იყო სასტაციის მიერ გამოყენების და დანომრილი. რქები შესრჩეული იყო თანაბარი დამტკიციას, რაც შტანგენ-ცირკულით იზომებოდა. ასეთი რქები თვეოთეულის მიხედვით აწონან დალბობამდე და დალბობის შემდეგ ყოველ 12 საათში საბოლოოდ გაუღენიამდე. თვეოთეული რქის აწონება ჩატარდა ცხრაჯვერ. აწონება შეწყვეტილ იქნა იმ დროს, როდესაც ათხი უკინასყინველი აწონება რქების წონაში გამსხვავდებას არ იძლეოდა. ჩატარებული მუშაობის შედეგები მოცემულია № 1 ცხრილში.

(ცხრილი № 1)

№№ რიცხვები	გარიანტების დასახელება	ცხრილი № 2									
		რქების საშუალო წილა გრძელი დამტკიციაში	რქების საშუალო წილა გრძელი 12 საათის დალბობის შემდეგ	რქების საშუალო წილა გრძელი 24 საათი, დალბობის შემდეგ	რქების საშუალო წილა გრძელი 36 საათი, დალბობის შემდეგ	რქების საშუალო წილა გრძელი 48 საათი, დალბობის შემდეგ	რქების საშუალო წილა გრძელი 60 საათი, დალბობის შემდეგ	რქების საშუალო წილა გრძელი 72 საათი, დალბობის შემდეგ	რქების საშუალო წილა გრძელი 84 საათი, დალბობის შემდეგ		
1	რიპ.-რუპ. № 3309 მთლიანი	42.78	53.94	57.35	58.0	61.3	61.35	61.3	61.3		
2	რიპ.-რუპ. № 3309 დაჭრილი	41.8	54.74	57.57	57.91	61.68	62.38	62.23	62.26		
3	რიპ.-რუპ. № 101 ¹¹ მთლიანი	51.58	60.02	63.87	65.31	67.55	67.29	67.5	68.51		
4	რიპ.-რუპ. № 101 ¹¹ დაჭრილი ბერლანდ-რიპარ.	47.02	59.38	60.98	62.16	64.13	65.63	65.48	65.58		
5	№ 420-ა ბერლანდ-რიპარ.	42.13	54.26	56.45	56.8	57.83	58.66	58.86	58.69		
6	№ 420-ა დაჭრილი	44.44	57.02	59.3	61.2	61.72	62.95	63.8	62.78		

№№ რიცხვები	გარიანტების დასახელება	ცხრილი № 2									
		გამომოწმების შემთხვევაზე რევიზიური / წრინის დასახელება საშუალო დალბობის შემთხვევაზე რევიზიურის შემთხვევაზე რევიზიური	რამდენიმე რევიზიურის შემთხვევაზე გრძელი 24 საათის დალბობის შემდეგ	რამდენიმე რევიზიურის შემთხვევაზე გრძელი 36 საათის დალბობის შემდეგ	რამდენიმე რევიზიურის შემთხვევაზე გრძელი 48 საათის დალბობის შემდეგ	რამდენიმე რევიზიურის შემთხვევაზე გრძელი 60 საათის დალბობის შემდეგ	რამდენიმე რევიზიურის შემთხვევაზე გრძელი 72 საათის დალბობის შემდეგ	რამდენიმე რევიზიურის შემთხვევაზე გრძელი 84 საათის დალბობის შემდეგ			
1	რიპ.-რუპ. № 3309 მთლიანი	30.2	18.52	11.16	3.41	0.8				48	
2	რიპ.-რუპ. № 3309 დაჭრილი	33.0	20.58	12.94	2.83	0.9				60	
3	რიპ.-რუპ. № 101 ¹¹ მთლიანი	23.6	15.97	8.44	3.85	0.7				48	
4	რიპ.-რუპ. № 101 ¹¹ დაჭრილი ბერლანდ-დევირი-რიპ.	28.3	18.61	12.36	1.6	0.9				60	
5	№ 420-ა ბერლანდ-დევირი-რიპ.	28.1	16.53	12.13	2.19	0.5				60	
6	№ 420-ა დაჭრილი	28.1	18.36	12.58	2.28	0.9				72	

* მეცნიერებლების პრატერიკაში საძირკედ ხმარებული რქა ამგვარად მხადაფება.



როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, ლერწი დალბობის დროს ჰავანდაუ თანაბით და თანაბრად კი არ ითვისებს წყალს, არამედ დალბობის პირველ წალი ნებში ხდება წყლის ხარბად ათვისება და შემდეგ მისი შეწოვის უნარიანობა მნიშვნელოვნად მცირდება.

შეორე ცხრილიდან საინტერესოა ის გარემოება, რომ ასათვისებელი წყლის უდიდესი ნაწილი ლერწის დალბობის დროს შეიწოვება პირველი 12 საათის განმავლობაში; მაგალითად, როდესაც რიპ.-რუპ. 3309—მ (დაჭრილმა) დალბობის პირველი 12 საათის განმავლობაში ათვისა 12,94 გრამი წყალი, შეორე 12 საათინი დალბობის დროს საშუალოდ ათვისა 2,8 გრამი. დალბობის ყოველ შემდეგ 12 საათის განმავლობაში საშუალოდ ათვისა 0,9 გრამი წყალი. ასეთივე მდგრამარეობა გვაქვს სხვა ვარიანტების მიმართაც.

ამავე ცხრილიდან ვხედავთ, თუ რამდენი %, წონისა დაქარგა თვითოულმა რქამ გამოშრობის შედეგად საბოლოოდ გაუღენთილი რქის წონასთან შედარებით. მაგალითად:

- 1) 3309-გ მთლიანმა დაჟარგა—30.2%; დაჭრილმა—33.0%;
- 2) 101¹⁴-მა მთლიანმა „—23.6%; დაჟრილმა—28.3%;
- 3) 420-ა-მ მთლიანმა „—28.1%; დაჭრილმაც იგივე.

მოუხედავად ასეთი ძლიერი გამოშრობისა, ასეთ საძირებე გაკეთებულმა ნამყენმა სრულიად ნორმალურად გაიხარა სანერგეზი. სამწუხაროდ ამ ნამყენბის ზუსტი აღრიცხვა წლის ბოლოს ვერ მოხერხდა ჩვენგან დამოუკიდებელი სხვადასხვა მიზეზების გამო.

იგივე ცხრილი ვკიჩენებს, რომ ერთი და იმავე დროის განმავლობაში დაჭრილი რქა მეტ წყალს ჟარგავს და მეტ წყალსაც ითვისებს დალბობის დროს.

შეორე ცხრილში მოცუმული მასალებიდან ვხედავთ, რომ აღებული ვარიანტების და ლერწის გამოშრობის ხარისხის მიხედვით საძირე მასალის საბოლოო გასაუღენთად, დალბობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 48—72 საათით. ამავე დროს № 3309 და № 101¹⁴ უფრო მოკლე დროის განმავლობაში აღილდება დაჟარგულ წყალს, ვიდრე № 420-ა.

თუ მივიღეთ მხედველობაში იმას, რომ საცდელად აღებული საძირე მასალა მეტად გამოშრალი იყო წაფარების გარეულ მისი დიდი ხნით დატოვების გამო (ასეთი გამოშრობა სინამდვილეში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს), ჩვეულებრივად შენახული ლერწის დალბობისათვის საკეთო საქმარისია მაქსიმუმი 48 საათი. ლერწის წესიერ პირბებში შენახვის შემთხვევაში მისი მყნობის წინ დასალბობად უმეტეს შემთხვევაში საქმარისი იქნება 12—24 საათი. ამ მხრივ მუშაობა მოითხოვს დაზუსტებას, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მასალებიც სავაჟბით იძლევა აღნიშნული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

ლერწის დალბობაშე დაკარგება გვიჩენებს, რომ მისი საბოლოო შემოწმება აგროტექნიკური თვალსაზრისით უმეტეს შემთხვევაში უნდა მოხდეს დალბობის შემდეგ. ლერწი დალბობამდე შეიძლება იმდენად გამომშრალ გვიჩენოს, რომ მისი მყნობისათვის გამოყენება საკეთო გახდეს, მაგრამ დალბობის შემდეგ ასეთი საძირე მასალის უმეტესი ნაწილი საკეთო ვარგისი გამოდგეს.



პრაქტიკაში გამომშრალი ლერწის შემოწმების დროს მის ვარგისიანობას უშემდეგ დასაცავებ წყალის „აღებით“ ან „არ აღებით“. წყალის შეწოვა უერთ ადასტურებს ლერწის სასესხით ვარგისიანობას. შეიძლება ლერწმა წყალი აიღოს, მაგრამ ძლიერი გამოშრობის შედევად მას დაზიანებული ჰქონდეს კამბიალური ქსოვილი და მდენად, რომ ლერწი უვარებისათ ჩაითვალოს. ამიტომ წყალის აღებასთან ერთად უნდა დაუკარდეთ კანის ქვეშ გდებარე ქსოვილებს. თუ ამ უკანასკნელმა დალბობის შედევე წევულებრივი მწვანე ფერი მიიღო, ლერწი სავსებით ვარგისია. დაზიანებული კანი დალბობის დროს მუქდება და ძლიერი დაზიანების შემთხვევაში შევდება კიდეც.

ამ ექსპერიმენტიდან დასტურდება, რომ პრაქტიკაში ზედმეტი დროის განმავლობაში ხდება სამყნობი მასალის წყალში დატოვება დასალბობად. ამასთან დაკავშირებით გაურკვეველია მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც მომავალი კვლევის საგანს უნდა შეადგინდეს. სახელდობრ გაურკვეველია:

1. რა გავლენას ახდენს შეხორცებაშე სამყნობი მასალის ზედმეტად დალბობა და აუცილებელია თუ არა მისი მაქსამალურად გაუდენთა მყნობის წინ, თუ უმჯობესია ერთგვარი ზომიერი მდგომარეობის გამონახვა.

2. შეიძლება კარგად შენახულ სამყნობ მასალის დალბობა მყნობის წინ არ იყოს აუცილებელი და შემდევში სათანადო ნესტიანი პირობების შექმნით ნამყნმა უკეთესი შეხორცება მოგვეცეს. ნამყნის გამოსაყლის $\%_0$ -ის გადიდებას მხოლოდ ასეთი, ერთი შეხედვით „წვრილმანი“ საკითხების შესწავლით და დაზისტებით მივაღწევთ.

ჩატარებულ მუშაობიდან და დაკვირვებიდან შეიძლება შემდევი დაკუნების გამოტანა:

1. ლერწი გამოშრობის შედევად აგროტექნიკურ ლირებულებას ჰყარგავს, როდესაც მისი დალბობის დროს კანი სიმწვანეს არ აღიღებს და მუქ ფერს დებულობს.

ასეთ შემთხვევაში კამბიალურ ქსოვილს, მისი დაზიანების ხარისხის მიხედვით, დაკარგული ან შესუსტებული აქვს ფიზიოლოგიური მოქმედების უნარი და ნამყნის შეხორცების იმედი არ არის.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოშრობის გამო ლერწის მყნობისათვის გამოყენება აგროტექნიკური შემოწმების შედევად საეჭვოა, მაგრამ დალბობის დროს კამბიალურმა ქსოვილმა მწვანე ფერი აღიღინა, — მასალა ვარგისად უნდა ჩაითვალოს.

3. ერთი და იმავე დროის განმავლობაში დაკრილი ლერწი უფრო მეტად შრება და უფრო მეტ წყალს ითვისებს დალბობის დროს, ვიდრე დაუკრელი.

4. დალბობის დროს ლერწის მიერ ასათვისებელი წყლის უდიდესი ნაწილი შეიწოვება დალბობის პირველი 12 საათის განმავლობაში. საგრძნობ რაოდნობას ითვისებს მეორე 12 საათიანი დალბობის დროს. დალბობის შედევი დროის განმავლობაში წყლის ათვისება უმნიშვნელოა, ზედმეტად გამომშრალ ლერწის შემთხვევაშიაც კი.

5. ძლიერ გამომშრალი ლერწისათვის საკმარისია დალბობა ორი დღე-ღამის განმავლობაში. წესერ პირობებში შენახული ლერწის დასალბობად მყნობის წინ საკმარისია 12—24 საათი.

Определение длительности пропитывания водой подвойного материала перед прививкой

ВЫВОДЫ

На основе проведенных экспериментальных работ и наблюдений по вопросу пропитывания подвойного материала водой перед прививкой мы пришли к следующим заключениям:

1. Подвойный материал, вследствие потери влаги теряет агротехническую ценность в том случае, если кора после пропитывания чубуков водой, не восстанавливает зеленого цвета и принимает бурую окраску.

В последнем случае по характеру повреждения камбионального слоя, последний полностью или частично теряет способность калюсования, в результате чего не происходит надлежащего сращения прививок.

2. Если целесообразность использования подвойного материала, в результате предварительной агротехнической оценки является сомнительным, но после погружения чубуков в воду, если кора восстанавливает зеленую окраску, то материал нужно считать пригодным для прививки.

3. Нарезанные чубуки скорее теряют влагу и последнюю быстрее восстанавливают, чем ненарезанные.

4. Наибольшее количество потерянной влаги, чубуками усваивается в первые 12 часов погружения их в воду; значительное количество воды усваивается ими в последующие 12 часов погружения. При дальнейшем же пропитывании чубуков, последними вода усваивается в весьма незначительном количестве, если даже потеря влаги была очень велика.

5. Чубуки, потерявшие много влаги, (вследствие плохого хранения или перевозки на далекие расстояния) достаточно погружать их в воду до прививки в продолжении двух суток; для чубуков же, хранившихся в нормальных условиях 12—24 ч.

DÉTERMINATION DE LA DURÉE DE L'ABSORPTION PAR L'EAU DES PORTE-GREFFES, AVANT LA GREFFE.

R é s u m è

En se basant sur notre travail expérimental et nos observations sur l'absorption par l'eau des porte-greffes avant la greffe, nous sommes arrivés aux conclusions suivantes:

1. Les porte-greffes ayant perdu leur humidité perdent leur valeur agrotechnique, si l'écorce, après l'absorption des boutures par l'eau, ne restaure pas la couleur verte, mais prend un ton brun. Dans ce dernier cas, d'après l'espèce d'altération de la couche de cambium, celle-ci perd entièrement, ou en partie, la propriété de former des calus, ce qui empêche l'union nécessaire des greffes.

2. Si l'utilité de se servir des porte-greffes comme résultat d'une estimation agrotechnique nous semble douteuse, il faut pourtant considérer ce matériel comme bon pour la greffe, après que les boutures ont été plongées dans l'eau, si toutefois l'écorce restaure sa couleur verte.

3. Les boutures coupées perdent leur humidité plus vite et la retrouvent plus rapidement que les bouturées non coupées.

4. Les boutures s'approprient la plus grande partie de l'humidité perdue dans les premières douze heures qu'elles sont plongées dans l'eau; elles s'approprient aussi une quantité considérable d'eau dans les douze heures suivant leur immersion.

Les boutures dans leur absorption suivante s'approprient une très petite quantité d'eau, même si la perte d'humidité était très grande.


5. Il suffit que les boutures qui ont perdu beaucoup d'humidité (par suite de mauvaise conservation ou de transport à une grande distance) soient plongées dans l'eau avant la greffe, durant deux fois vingt-quatre heures; pour les boutures conservées dans des conditions normales, il faut de douze à vingt-quatre heures.

საფუვირების ცეცვადასწვევ სახეობის მიერ გამოწვეული ალკოჰოლური ღულილის უძრავის გაღრიცხვი

I. ზროვანი მიზანი და მთავარი

როგორც ექსპერიმენტალურად იქნა დადასტურებული საქ. სახ. სას.-სამ. ინსტიტუტის ენიჭმიის ლაბორატორიაში (ვ. ლვალაძე), ქიმიური რეაქციები (გარეშე რეაქციების ჩათვლით), რომლებსაც ადგილი აქვს ზაქრის ალკოჰოლური ღულილის დროს ტიპიური აგენტების (Sacch. cerevisiae და Sacch. ellipsoideus) ზეგავლენით, ძირითადად შემდეგი ფორმულებით გამოიხატება:

1. $C_6H_{12}O_6 = 2CO_2 + 2C_2H_5OH$ მთავარი პროცესი
2. $C_6H_{12}O_6 = CH_3COH + C_2H_5O_3 + CO_2$
3. $2C_6H_{12}O_6 + H_2O = 2CO_2 + C_2H_5OH + CH_3COOH + 2C_2H_5O_3$
4. $3C_6H_{12}O_6 = 4CO_2 + 2C_2H_5O^3 + 2CH_3COOH + CH_3COOH - CH_3$
5. $C_6H_{12}O_6 = 2CH_3COOH + CH_3COOH$



ამის მიხედვით შეფარდება დაშლილ ზაქარისა და წარმოშობილ პროცესებთა შორის ანაერობული ღულილის დროს გამოიხატება ტოლობით:

ზაქარი = 1,956 (ალკოჰოლ. + გლიც.) + რძის მუვა + 2,36 ბუტ. გლიკოლ. + დედოს წონა — 1,5 ძმრის მუვა.

ეროვნული ღულილის შემთხვევისათვის კი ტოლობა ასეთ სახეს ღებულობს:

ზაქარი = 1,956 (ალკოჰოლ. + გლიც.) + რძის მუვა + 2,3 ბუტ. გლიკოლ. + დედოს წონა — 1,5 (ძმრის მუვა + ქარვის მუვა).

გარდა ამისა ზემოაღნიშნული ტიპიური საფუურების ხმარებისას ჩვენ ვამჩნევთ გარეულ კანონზომიერებას თვით გარეშე პროცესით შეფარდება—შიაც. ეს კანონზომიერება სხვადასხვა სახეს ღებულობს იმისდამიხედვით, ანაერობულ პირობებში მიმდინარეობს ღულილი თუ ეროვნულში. პირველ შემთხვევაში იგი უტოლობით გამოიხატება:

გლიცერინი > 3,07 ძმრ. მუვა + 2,3 ბუტ. გლიკოლ. + 2,09 ძმრ. ალდ. მეორეში კი ტოლობით:

გლიც. = 3,07 (ძმრ. მუვა + ქარვის მუვა) + 2,3 ბუტ. გლიკოლ. + 2,09 ძმრ. ალდ.



ჩვენი შრომის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა ა/დ. ბალანსი საფულტრების კორომა
სხვადასხვა სახეობის ფართო გამოყენებით და ამცვე დროს გამზევერებია,
უცელელად რჩებიან ზემოაღნიშნული კანონიშომიერებანი ყოველ შემთხვევაში,
თუ ზოგჯერ ადგილი აქვს რამე კერძო კანონიშომიერებასც. საკითხის ასე-
თი დასმა მით უფრო მართებულია, რომ გარეშე პროდუქტთა წარმოშობა
მრავალ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომელთა შორის, თავისთავად ცხადია,
უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა ეჭიროს თვით მაღულარ აგენტის თვისებებსაც.

ასეთ აგენტებად ჩვენ კმარიბით: Sacch. Pastorius, S. apiculatus, Sacch. Ludvigii, და Schizosacch. Pombe-ს. შესადარებლად კი მიმართავდით
ამ მხრივ უკვე შესწავლილ სახეობებს: Sacch. cerevisiae-სა და S. ellipsoideus-ს
(კულტურა შრეინბერგი).

როგორც ცდის დაყენებისას, ისე ანალიზის შესრულებისას ჩვენ სავსებით
გამოვიყენეთ ის მეთოდები, რომელიც აღწერილია ვ. ლვალაძის ზემოდასახე-
ლუბულ ნაშროვში.

მხოლოდ დუღილის პროდუქტთა ანალიზის მეთოდებიდან საჭიროთ ჩავ-
თვალეთ ჩაგვეტარებია წინასწარი მუშაობა გლიცერინის განსაზღვრაზე. რო-
გორც ცნობილია, ალკოჰოლური დუღილის გარეშე პროდუქტთა შორის ამ
ელემენტს ყველაზე მნიშვნელოვანი აფილი უკირავს, მისი რკვევისათვის მეტად
ზუსტ მეთოდად ითვლება ცეიზელის და ფანტოს მეთოდი, რომელიც მდგომა-
რეობს იმაში, რომ გლიცერინი იოდოვან წყალბადთან იოდოვნ იზოპროპილს
გვაძლევს. ეს უკანასკნელი კი AgNO_3 -ის სსნარში AgI -ის ნალექს წარმოშობს.
ამ ნალექის განსაზღვრის (წონით) საფუნქციელზე ანგარიშმობნ გლიცერინის რა-
ონდენობას საკულევ სსნარში. მაგრამ ამ მეთოდს ახასიათებს საქმიან ხანგრძლი-
ვობა და შრომიატევადობა. ამისათვის ჩვენ შევეცადეთ გამოგვენახა დასახელე-
ბული ელემენტის კვლევისათვის უფრო იოლი, მაგრამ არა ნაკლებ ზუსტი წესი.

მოელი რიგი სხვა მეთოდების კრიტიკული განხილვის შედეგად, ჩვენ მი-
ვედით იმ დასკვნამდე, რომ სავსებით მიზანშეწონილია იმავ ცეიზელის და
ფანტოს მეთოდის პრინციპზე ავაგოთ გლიცერინის რკვევის მოცულობითი მე-
თოდი. ეს მეთოდი, რომელიც AgI -ს იოდომეტრიულ განსაზღვრაზე დამყარე-
ბული, ჩვენს მიერ დამუშავებული და გამზადებულია დასაბეჭდად („გლიცერინის
განსაზღვრის მოცულობითი მეთოდი ლვინოში“ ა. ლაში).
გლიცერინის განსაზღვრა ჩვენს ცდებში სრულდებოდა სწორედ ამ მოცუ-
ლობითი მეთოდით.

II. საცდელი საცურავების დამოკიდებულება „ბიოსისადგი“

კერძო საბალანსო ცდა განსაზღვრული გვერდა ჩაგვეტარებია სინთეზურ
არეზე, რადგან, გარდა სხვა უპირატესობისა, ამ შემთხვევაში გამოსავალი შა-
ქარი ზუსტად შეგვეძლო აველო. არს კმარიბით შემდეგი შემაღვენლობით:
1 ლიტრ წყალზე 100 გრ. სახაროზი, 2,5 გრ. ასპარაგინი, 1 გრ. KH_2PO_4 და 0,3
 MgSO_4 . სინთეზურ არეებში ცდები არ იყო დაყენებული მხოლოდ S. apiculatus-
ზე, რადგან იგი, ლიტერატურული ცნობების მიხედვით, სახაროზას არ აღულებს.



მაგრამ პირველივე ცდიდან გამოირკვა, რომ მაშინ, როდესაც ჭრია გამოირკვა, კარგად დუღს როგორც *S. cerevisiae*-ს, ისე *S. ellipsoideus*-ის ზეგავლენით, სულ საწინააღმდეგო სურათი იძლევა ჩვენს მიერ შესასწავლად აღმატები საფურის სახეობები. ამ შემთხვევაში დუღილი მეტად სუსტად იწყება, რამდენიმე ხნის განმავლობაში ასეთივე ნელი ტემპით მიმდინარეობს და შემდეგ საბოლოოდ წყდება იმ სტადიაში, როდესაც შაქრის მხოლოდ უნიშვნელო ნაწილი არის დადგლებული. ჩვენ არ შეგვეძლო გვერდი ივეგვებია ამ მოვლენისთვის.

ეს გარემოება არ შეგვეძლო მიგვეწერა ხმარებული ზექრის (სახაროზის) თვისებისათვის, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული საფურის სახეების სარულიადაც არ არიან მოკლებული ინვერტაზას. ვერ მივიჩნევდით ამ მოვლენის მიზნად აზოტურ კვებასაც, რადგან ასპარაგინი ადვილად ასათვისებელ აზოტის წყაროს წარმოადგენს საფურის სახეებისათვის.

ბუნებრივად იბადებოდა კითხვა აქტივატორების შესახებ, მით უმეტეს, რომ ლიტერტურაში აღნიშნულია რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც ამ მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არამც თუ საფურის სხვადასხვა სახეობები, არამედ ერთი და იგივე სახის სხვადასხვა რასებიც (A. M. Coppering², Wallace and Tanner³, R. I. Williams და სხვა).

რომ ეს საკითხი პირველი მიახლოვებით მაინც გადაგვეჭრა, ჩვენ დავამზადეთ ლუდის საფურის (ლუდის ქარხნიდან მიღებული) ავტოლიზატო * და თითო კუბიური სანტიმეტრის რაოდენობით მიუმატეთ საცდელ კულებს (თითო ლიტრ სითხეს). ღულილის შეწყვეტილან ერთი თვის შემდეგ ავტოლიზატოს მიმატების შედეგად ღულილი დაწყო *S. Pastorianus*-მა და თითქმის ბოლომდის მიიყვანა, დანარჩენებმა (*S. Ludvigi* და *Sch. Pombe*) ღულილის პროცესი მართალია განაახლეს, მაგრამ მაღალ ისევ შეწყვიტეს.

ზემოთ განხილული სურათი მოცემულია ტაბულა № 1.

ტაბულა № 1

არეში შეტანილია 100 გრ. სახაროზა = 105,2 გრ. ინვერტ. შაქარის.


ხმარებული კულტურა	ღულილი შეწყვდა, როდესაც არეში დარჩენილი იყო ინვერტისული ზექარი		
	ბიოსის მიმატებამდე დარჩ. ზაქ. რაოდე- ნიბა	ბიოსის მიმატების შემდეგ დარჩ. ზაქ. რაოდ.	ბიოსის მიმატებით დადუღდა
<i>S. Ludvigi</i> . . .	92,2	86,1	6,1
<i>Sch. Pombe</i> . . .	101,2	80,2	21,0
<i>S. Pastorianus</i> . . .	85,2	10,1	78,1

* 2 კილოგრამ საფურას უმატებენ 2 ლიტრ წყალს (60°), აუზევენ კარგად და ათბობენ აბანოზე 45—50%-მდე. დგამენ 72 საათის განმავლობაში თერმოსტატში 50°-ზე, რის შემდეგ აცხლებენ ავტოკლავში ნახევარი საათის განმავლობაში 105°-ზე და რამდენიმეჯერ ფილტრავენ გამჭვირებულ სითბოს მიღებამდე. ნალექს კიდევ უმატებენ 1200 კ. სანტ. წყალს და ისევ ფილტრავენ. ორივე ფილტრატის ნარევი შეიცავს 0,6—0,8 % აზოტს.



აღნიშნული ფაქტებიდან ჩვენ ასეთი წინასწარი დასკვნები შეგვიძლია მოყიდვანთ:

1. დუღილის შეწყვეტა ზემოდასახელებულ ნიმუშებში გამოწეული უნდა იყოს აქტივატორის ("ბიოსის") ნაკლებობით;
2. Sacch. Ludvigii-ს და Sch. Pombe-სათვის საქმარისი არ არის მიმატებული აქტივატორის რაოდენობა (1 კ. ს.),
3. ამავე დროს ეს რაოდენობა სავსებით უზრუნველჰყოფს S. Pastorianus-ის ნორმალურ დუღილს,
4. S. ellipsoideus-ისა და S. cerevisiae-სათვის, რომელნიც კარგად დუღილი სინთეზურ არებში გარედან ყოველვეარი აქტივატორის მიუმატებლად, საქმარისია „ბიოსის“ ის რაოდენობაც, რომელიც საკუებ არეში შეაქვს თვით ლერწმის შაქრის ფხვნილს.



სურ. № 1

ამ საკითხის უფრო დეტალურად გამოკვეთისათვის ჩვენ ჩავატარეთ რაოდენობების სპეციალური ცდებისა. სინთეზური არე იმავე შემადგენლობის იქნა გამოყენებული. როგორც ზემოთ აღნიშნულ, მხოლოდ ლერწმის შაქარი, აქტივატორებიდან განთავსუფლების მიზნით, წინასწარ თოხვერ გადავაკრისტალეთ $80\%_0$ -იან ალკოჰოლის სსნარში. ამ წესით დამტავებული სახაროზა საკუებ არეში შეგვეხნდა $10\%_0$ -ის რაოდენობით.

არეს ვათასებლით ფრეილენრაისის კულებში (იხ. სურათი № 1), რომლებსაც თავზე მორგებული ჰქონდათ გოგირდებებიანი კვიტილები. სითხის რაოდენობა კულაში 75 კ. ს. უდრიდა. ყოველ კულტურაზე (S. ellipsoideus-ისა და S. cerevisiae-ს ჩათვლით) ცდები ჩატარებული იყო 6 სურიალ. კულები საუსრების გადათხვესის შემდეგ (2 კულტის რაოდენობით) იდგმებოდა თერმოსტატში დააბლოებით 25°C . ამ ცდების შედეგები მოცულია ტაბულა № 2-ში.

პირველი ხერია (იხ. ტაბულა № 2, სურათ 1) საექონომიკოლოდ იქნა დატოვებული. ნახშირმებავის დანაკარგი 10 დღის შემდეგ გვიჩვენებს, რომ აქ მხოლოდ თვალით შეუმნიერებელი ნიშნებია დუღილისა. ასეთ პირობებში დუღილი უკვე ვეღარ შესძლო S. ellipsoideus-მა და S. cerevisiae-მაც, რომლებიც დაუკრისტალებელ ლერწმის შაქრის სსნარებში ნორმალურად დუღან. ეპეს გარეშეა, რომ ეს გარემოება გამოწეულია იმით, რომ აქ შაქრის ფხვნილი თითქმის სავსებით არის განთავისუფლებული „ბიოსისაგან“ სპირტში გადაკრისტალების საშუალებით.

ცდების მორჩ (II) ხერიას მიმატებული ჰქონდა აქტივატორი საცუვრის ვეტოლიზატის სახით. ამისათვის S. cerevisiae-ს ჭ. კულტურა აღრევე იყო



გადათესილი 10 ლიტრ ლუდის ტკბილში. დაფულების ჟენდეგ, წარმოშობილია ნალექიდან დამზადებული იყო 100 კ. ს. ავტოლიზატი ზემოთ აღნიშნული წესით. კველა კულას ემატებოდა ასეთი აეტოლიზატის 1 კ. ს.. ცხრილში (სერია II) მოყვანილი დანაკრებები ნახშირმეფებისა გვიჩვენებს, რომ დუღილი კველგან ნორმალურად მიმდინარეობდა. აქედან უნდა დავისკვნათ, რომ მიმატებული „ბიოსი“ საგარისი აღმოჩნდა არა მარტო *S. ellipsoideus*-ისათვის (წმინდა კულტურა შრეინბერგი), არამედ კველა სხვა საცდელი საფუძრისათვისაც.

ପାତ୍ରଗୁଣା № 2

სერია	აქტივატორი	დუღილის ბაზრილ. დღეებში	(შტეინ- ბერგი)	S. cere- visiae	S. Pas- toria- nus	Sch. Pombe	S. Lud- vigii
I	საკონტროლო (უაქტივატოროვ).	10 დღე	0,3	0,37	0,26	0,17	0,17
II	ავტოლიზატორი, მიღებული ლენდას ტემპერატურით შემოშენებით <i>S. cerevisiae</i> -ს ნალექიდან	10 დღე	3,42	2,46	3,25	3,54	3,46
		20 დღე	3,71	2,78	3,85	3,84	3,71
		30 დღე	3,71	2,78	3,85	3,84	3,72
III	ავტოლიზატორი, მიღებული დაუტენისტრალებელი შექრის სნარეში წარმოშენებილი <i>S. cerevisiae</i> -ს ნალექიდან.	10 დღე	3,30	0,93	0,66	0,44	0,14
		20 დღე	3,71	2,97	2,13	0,72	0,20
		30 დღე	3,81	3,25	2,20	0,73	0,21
V	თავთავისი ავტოლიზატორი ლენდას ტემპერატურით შემოშენებილი ნალექიდან	10 დღე	3,41	2,46	2,14	1,09	1,41
		20 დღე	3,78	2,78	2,59	2,29	2,32
		30 დღე	3,78	2,78	2,63	2,33	2,33
VI	თავთავისი შევნის ლენდას ტემპერატურით შემოშენებილი ნალექიდან, დარტენი დამტკიცების შედეგი	10 დღე	3,315	0,55	1,23	1,24	3,01
		20 დღე	3,415	2,40	1,54	2,50	3,68
		30 დღე	3,405	2,50	1,55	2,55	3,68

ტაბულა № 2 სერია IV

යේලුමුරා	මිමිත- මිනිස්	g/l								CO ₂
		1	2	3	4	5	6	7	8	
S. cerevisiae	0.3	2.25	3.94	—	—	3.95	—	—	—	—
S. Pastorianus	0.3	0.55	2.13	—	—	2.40	—	—	—	—
Sch. Pombe	0.3	0.42	1.37	—	—	1.52	—	—	—	—
S. Ludvigii	0.3	0.1	0.2	0.3	0.6	0.25	1.6	0.70	0.8	—
		0.05	0.3	0.3	—	0.35	1	0.4	1.5	—



ცდების მესამე (III) სერია სრული განმეორებაა მეორე სერიისა იმ განმეორებული სხვაგებით, რომ მიმატებული ავტოლიზატი ისე (1 კ. ს.) დამზადებული იქნა S. cerevisiae-ს ნალექიდან, რომელიც მიღებული იყო არა ლუდის ტემპლიდან, არამედ დაუკრისტალებელი შაქრიანი ხსნარებიდან (10 ლიტრი ხსნარი ისე-თივე შემადგენლობის, როგორც წინათ იყო აღნიშნული). რადგან ლუდის ტემპი-ლი „ბიოს“ უფროდ მეტი რაოდენობით შეიცავს შაქრის ფენილთან შედა-რებით, ამისათვის ცხადია, რომ ავტოლიზატიც ამ მეორე შემთხვევაში გაცი-ლებით უფრო ღარიბი უნდა იყოს აქტივატორით, ვიდრე პირველ შემთხვევაში. ცხრილი (III) მეტად დამახასიათებელ სურათს იძლევა. ყველაზე უკეთ დუღს S. ellipsoideus-ი (წ. კ. შრეინბერგი), შემდეგ S. cerevisiae, მას მოსდევს S. pastorianus და Sch. Pombe. S. Ludvigii-ს კი დუღილი თითქმის სრულე-ბით არ ეჩნევა.

აქ უკვე გარკვევით მოჩანს საცუვრების სხვადასხვაგვარი მოთხოვნილება „ბიოსი“-ს მხრივ: ყველაზე მცირე რაოდენობით ქმაყოფილდება S. ellipsoi-деus, ყველაზე მეტს მოითხოვს S. Ludvigii.

ზემოდასახელებულ „სერიებში, „ბიოსი“ ავტოლიზატის სახით ემატებოდა საცდელ საცუვრებს, მაგრამ რადგანაც ავტოლიზატი დიდი რაოდენობით შე-იცავს როგორც ცილას, ისე მისი დაშლის პროცესში ამისათვის ცხადია, რომ ამ შემთხვევაში „ბიოსი“-ს მოქმედებას შეიძლება ეჯამებოდეს აგრეთვე აზოტოვანი კვების დადებითი გავლენაც. უკანასკნელი ფქვტორის გამოსარი-ცხავად ჩვენ დავამზადეთ „ბიოსი“ ისე, რომ იგი თითქმის სავსებით იქნა გან-თავისუფლებული აზოტოვანი ნივთიერებიდან. ამისათვის 5 ლიტრ ლუდის ტემპი-ლიდან მიღებულ S. cerevisiae-ს ნალექს მოტებული 35 კ. ს. წყალი და ერთი საათის განმავლობაში ვალუეტ შებრუნებული მაცირებით. შემდეგ ექსტრაქტი გაეანთავისუფლეტ საცუვრის მასიდან ცენტროფუგის საშუალებით და ხსნარი ავაორთქლეთ ვაკუუმში გაშრობამდე. ნაშთი გაეხსენით მცირეოდენ წყალში და ნელ-ნელა უმატე 95% -იან ალკოჰოლი, სანამ 80% ხსნარი არ მიყიდეთ. წარმოშობილი ნალექი გაფილტრეთ და ფილტრატი ისე ვაკუუმში ავაორთქ-ლეთ ალკოჰოლის მოსაცილებლად. ნაშთი გაეხსენით 18 კ. ს. წყალში და სტე-რილიზაციის შემდეგ მოთხოვნილებისამებრ უმატეთ კულებს.

ჩეგების ჩვენებით, ამ წესით მიღებული „ბიოსი“ ყველა ფაქტორებს შეიცავს (I, II, III), თუმცა მისი გამოსავალი რამდენიმედ შემცირებულია. რად-გან ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ცილების დაშლას ავტოლიზის საშუა-ლებით, ხოლო ექსტრავირებული ცილა სპირტით იქნა გამოლექილი, ამისა-თვის ამგვარად დამზადებული „ბიოსი“ თითქმის თავისუფალი უნდა იყოს აზო-ტოვანი ნივთიერებიდან. მართლაც ანალიზმა გვიჩვენა, რომ მისი 3 კ. ს. მხო-ლოდ 0,8 მილიგრამ აზოტს შეიცავდა.

შეოთხე (IV) სერიაში (ხ. ტაბულა № 2, ვგ. 29) გამოყენებულია ამ წესით დამზადებული „ბიოსი“, რომელიც ყველ კულას მიმატებული ჰქონდა 0,3 კ. ს. რაოდენობით. ამ სერიაშიც ძირითადად ვამჩნევთ იმ ეფექტს, რაც მოგვცა მე-სამე სერიამ. ლუდილს უფრო სწრაფად იწარმოებს „შრეინბერგი“, შემდეგ S. cerevisiae და ბოლოს S. Pastorianus.

დანარჩენმა საფუვრებმა დუღილის ნიშნები არ მოგვცეს 10 დღისამდე დეგაც. ამისათვის მეთერიტეტე დღეს მათ ისევ მიემატა „ბიოსი“ 0,3 კ. ს. რაოდენობით თითოს. მიუხედავად ამისა კულების წონამ მეთხოვთმეტი დღეს გვიჩენა, რომ დუღილი აქ მაინც არ დაწყებულა. მეოუკესმეტე დღეს „ბიოსი“-ს მიმატება კიდევ იქნა განმეორებული უკვე თითო კუბ. სანტ. რაოდენობით. ამის შემდეგ დუღილი პირველად დაიწყო Sch. Pombe-მ (ცდის დაწყებიდან მე-23 დღეზე), ხოლო ორი დღის შემდეგ (მე-25 დღეს ცდის დაწყებიდან) შესამჩნევად აღულდა S. Ludvigii-ც.

ამრიგად, თუმცა ამ სერიაში გამორიცხული იყო საფუვრების აზოტოვანი ნივთიერების მიმატება საკლევი კულტურებისადმი, მაინც თანმიმდევრობა „ბიოსის“ მოთხოვნილებაში აქცა ისეთივეა, როგორც მოცემული იყო მესამე სერიაში. უნდა შევინიშნოთ, რომ ამგვარი ცდის დაზუსტებით ჩენენ შეგვიძლია რაოდენობით ერთეულებში გამოვხატოთ შეფარდება საფუვრების სახეობათა შორის „ბიოსის“ მოთხოვნილების მხრივ.

თუ, ერთი მხრით, მხედველობაში მივღილებთ იმ გარემოებას, რომ „ბიოსი“ ადგილად გადის საფუვრის უჯრედის აპეზი (ო. მედვედევი⁶), ხოლო მეორე მხრით, ანგარიშს გაუწევთ ზემოაღნიშნულ მკაფიო განსხვავებას საფუართა შორის „ბიოსის“ მოთხოვნილების მხრივ, მივალთ იმ დაკვენამდე, რომ საფუარმა დუღილს ნორმალურ შესლელობისათვის არედან უნდა აითვისოს „ბიოსის“ გარკვეული რაოდენობა. ხოლო ეს რაოდენობა მით მეტი უნდა იყოს, რაც მეტ მოთხოვნილებას უყენებს არეს საფუარი. სხვანაირად რომ ვთქვთ, ამ მხრივ დიდი მოთხოვნილების საფუვრებში (მაგ. Sacchi. Ludvigii-ს უჯრედებში) დუღილის ნორმალური მსვლელობის პირობებში „ბიოსის“ კონცენტრაცია გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე ნაკლები მოთხოვნილების საფუვრებში (როგორიც, მაგალითად, არის ჩენენ შემთხვევაში შეტყინებრგი).

ამ მხრივ სანტერესო იყო „ბიოსის“ გავლენის საკითხის შესწავლა კველა საცდელ საფუვრებშე. ამ მიზანს ემსახურება V და VI სერიაში მოყვანილი ცდები.

შეზუთ (V) სერიის (იხ. ტაბულა № 2 გვ. 29) ცდებისათვის „ბიოსი“ (ავტოლიზატი) დამზადებული იყო შემდეგნაირად: მიღებული იქნა ცალცალკე კულტურის ნალექი თითო ლიტრი ლუდის ტკბილიდან. ასეთი ნალექებიდან ცალცალკე დამზადდა ავტოლიზატები დაახლოებით 10—10 კ. ს. რაოდენობით. კველა საცდელ საფუარის (რომლებიც გადათესილი იყვნენ სინთჟურ არეზი—სპირტში გადაკრისტალებული 10%—იან სახარონის სხნარში) გმატებოდა ზემოაღნიშნული წესით დამზადებული თავისი ავტოლიზატი 1 კ. ს. რაოდენობით. მართალია S. ellipsoideus და S. cerevisiae აქცა წინ მიღიან, მაგრამ უფრო საყურადღებოა ამ შემთხვევაში დანარჩენი კულტურების ქცევა. ეს კულტურები საგრძნობი და, რაც საინტერესოა, თანაბარი ტემპით აწარმოებენ დუღილს.

წინათ განხილულ სერიებში (III—IV), სადაც „ბიოსი“ თანაბარი, მაგრამ არა ჭარბი რაოდენობით (როგორც მაგ. II სერიაში) ემატებოდა საფუვრებს, S. Pastorianus-ი მედამ წინ უსწრებდა Sch. Pombe-ს, ხოლო ეს უკანასკნელი კი—Ludvigii-ს.

ამ შემთხვევაში კი (V) დუღილის თანაბარი სელა უთუოდ გამოწვეულია არეებში „ბიოსის“ არათანაბარი კონცენტრაციით. სახელღობრ ეს მოვლენა ადვილი ასახსნელი იქნება, თუ მიეღობთ, რომ S. Ludvigii-ს წევნიდან დამზადებული „ბიოსის“ კონცენტრაცია მეტია, ვიდრე Sch. Pombe-ს წევნიდან დამზადებულისა, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრით უფრო კონცენტრიულ ბიოსს იძლევა, ვიდრე S. Pastorius-ი.

რაღაც ამ სერიაში „ბიოსი“ ავტოლიზატის სახით ემატებოდა არეებს და ამის გამო გამორიცხული არ იყო სურათის დაჩრდილება აზოტოვანი კედების გაელენითაც, ამისათვის ჩვენ საკიროდ ჩათვალეთ ჩაგვეტარებია კიდევ ერთი სერია ცდებისა, სადაც ეს უკანასკნელი ფაქტორი მოხსნილი იქნებოდა.

ამ მიზნით ისევ მიღებული იყო ცალკალკ ყულელა კულტურის ნალექი თითო ლიტრი ლუდის ტებილიდან, ნალექები დამუშავებული იქნა იმავე გზით, როგორც ეს აღწერილი იყო IV სერიის ცდებისათვის. რაღაც ასეთი მცირე ნალექების დამუშავებას თან სდევს დიდი დანაკარგები, ამისათვის აქ ამ წესით დამზადებული ბიოსი თავთავის საფუფრებს მთლიანად ემატებოდა (იხ. ტაბულა № 2, სერია VI, გვ. 29).

ანალიზის მონაცემების მიხედვით „ბიოსს“ არეში შეჰქონდა აზოტი არა უმეტეს 1—2 მილიგრამისა.

ეს სერიაც განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას სწორედ იმ მონაცემების მხრივ, რომლებიც S. Pastorius-ს, Sch. Pombe-სა და S. Ludvigii-ს შეეხება. მის მაგივრ, რომ ამ საფუფრებიდან პირველი უფრო სწრაფად დუღდეს მეორეზე, ხოლო მეორე—მესამეზე (როგორც ამას ადგილი ჰქონდა II და III სერიებში, სადაც „ბიოსი“ თანაბარი რაოდენობით ემატებოდა არეს), აქ ჩვენ შევვ სავსებით შებრუნებულ სურათს ვხედავთ.

ეს სურათი ჩვენის აზრით კიდევ მეტის სიძლიერით უსვამს ხასს იმ გარემოებას, რომ რაც უფრო მეტ მოთხოვნილებას უყენებს საფუარი არეს „ბიოსის“ მხრივ, მით მეტი უნარი აქვს მას არედან „ბიოსის“ ამოწურებისა და თავის უჯრედში დაგროვებისა. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ ლაბორატორიულ პრაქტიკაში უფრო ხელსაყრელია „ბიოსის“ მიღება, მაგალითად, S. Ludvigii-ს წევნიდან, ვიდრე S. cerevisiae-ს და მით უმეტეს S. ellipsoideus-ის წევნიდან.

მომავალი ცდა, რომელიც დღეს უკავე სამშადისის პროცესშია, ექსპერიმენტალურად შეამოწმებს ამ დებულებას.

აქ საჭიროა განმეორებით აღინიშნოს, რომ თუ S. cerevisiae და S. ellipsoideus თავისუფლად ადუღებენ სინთეზურ არეებს, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ დასახელებული საფუფრები თავის შედარებით მცირე მოთხოვნილებას „ბიოსის“ მხრივ იქცევა იქცევილებენ აქტივატორის იმ რაოდენობით, რომელიც მოიპოვება თვით გასასყიდი შაქრის ფხვილში. ამის დამამტკიცებელ საბუთს ვხედავთ იმაში, რომ როგორც მრავალგან, ისე ჩვენს ლაბორატორიულ პრაქტიკაშიც, სინთეზური არეები წარმატებით იხმარება ხოლმე ცდების წარმოებისათვის აღნიშნულ საფუფრებზე (ყოველ შემთხვევაში, თუ საფუფრები წინად არა სინთეზურ არეებში იყვნენ კულტივირებული).

ამ გარემოებითვე უნდა იისნაა ის მოვლენაც, რომ პასტერიც დამკურებულია ლებლივ ახერხებდა ლუდის საფუვრებით სინთეზური არების დაღულების. რადგან მის ცდებში ასეთ არების საფუვრები ხშირად მეტად მცირე რაოდენობით ემატება ხოლმე, ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლია დაკვთანებოთ იმ ვეტო-რებს, რომლებიც ამ მოვლენას იმით ხსნან, რომ მიმატებულ საფუვრებს თან მიჰქონდათ ბიოსის საჭირო მარაგი (გრომაკოსევი").

პასტერი ვერ შესძლებდა სინთეზურ არებში დუღილის წარმატებით ჩატარებას, რომ ხელო ჰქონდა ისეთი ავანტები, როგორიც არიან ჩვენ მიერ შემოწმებული საფუვრები: S. Ludvigii, S. Pombe და S. Pastorius, თუმცა, როგორც შემომყვანილი დაკვირვებებიდან გმირდას, ბუნებრივ საკვებ არებში კულტივირებისას მათ უნდა შეეძლოთ „ბიოსის“ მეტი მარაგის დაგროვება თავის უჯრედებში, ვიდრე S. cerevisiae-სა და S. ellipsoideus-ს.

III. ს ა გ ა ლ ა ნ ს ო ც დ ი ბ ი

ჩვენ მიერ შერჩეული საფუვრების შესწავლას „ბიოსის“ მოთხოვნილების მხრივ მიუვევართ იმ დასკრინდე, რომ ზაქრის ხსნარებში ა/დ. ნორმალური მსელელობის უზრუნველსაყოფად S. Pombe-ს და S. Ludvigii-ს უნდა მიემაროს საფუვრის ავტოლიზატის, ანუ სათანადო დამზადებული წვენის საგრძნობი რაოდენობა, რაც, ცხადია, სასურველად არ შეიძლება ჩაითვალოს ზუსტი საბალანსო ცდების წარმოების დროს.

ამისათვის ზაქრიანი ხსნარები ჩვენ გამოიყენეთ ცდების საწარმოებულად მხოლოდ ორ საფუარზე: S. cerevisiae-ზე (შედარების მიზნით) „ბიოსის“ მიმატებლად და S. Pastorius-ზე „ბიოსის“ მიმატებით (2 კ. ს. ავტოლიზატი 1 ლიტრ ხსნარზე). დანარჩენი ცდები ყველა წარმოებული იყო კურნის ტკბილზე.

ზესტ საბალანსო ცდებში დუღილი მიმდინარეობდა ანაერობულ პირობებში (კულებს დახურული ჰქონდათ გოგირდმევანი ვერტილები). სინთეზური არების შემადგრნლობა ისეთივე იყო, როგორც წინა ცდებში აღნიშნეთ. ლიტრ საცდელ სითხეში, დანარჩენ ელემენტებთან ერთად, შეგვენდა 100 გრ. სახაროზი = 105,25 ინკერტ. ზიქარი.

ყურნის წვენი ამ ცდებში იმარებოდა განზავებული. ზაქრის განსაზღვრამ ბერტრანის წესით გვიჩენა, რომ 1 გრ. ტკბილისა შეცავს 0,0903 გრ. ზაქარს. სითხე აქაც თითო ლიტრის რაოდენობით იყო აღმოჩეული. მაგრამ დასაღულებელი ზაქრის მეტი სისწორით აღსანებსავად ზუსტად ვებულობდით ტკბილის ნიმუშის წონას და აქედან ვანგარიშობდით არსებული ზაქრის რაოდენობას. ასევე ზუსტად ვარკვედთ ცდის დათავების შემცევ დაღულებული სითხის მოცულობას წონისა და ხედრითი წონის განსაზღვრის საშუალებით.

ყველა მონაცემი ამ სერიის ცდების შესახებ წარმოდგენილია № 3, 4, 5, 6 ტაბულა № 3 საბოლოო ჯმში გვაძლევს, ერთი მხრით, გამოსავალი ზაქრის რაოდენობას, ხოლო, მეორე მხრით, დაღულებული სითხის მოცულობას. უკანასკნელის ცოდნა კი საჭიროა დუღილის პროდუქტთა რაოდენობის გადასაანგარიშებლად აბსოლუტურ რაოდენობებზე.



නො	යෙදවා ඇති සැකක්	සේ	ඡෝරු හෝ වූලු	ඉගුණාක් දානීලුම් හින්				ඉගුණාක් දානීලුම් ස්ථිරාක්				ඉගුණාක් දානීලුම් ස්ථිරාක් හින් සඳහා ප්‍රතිඵලිය කිරීමේ ප්‍රතිඵලිය සඳහා K
				ඉගුණාක් හින් සේ	ඉගුණාක් හින් සේ	ඉගුණාක් හින් සේ	ඉගුණාක් හින් සේ	ඉගුණාක් හින් සේ	ඉගුණාක් හින් සේ	ඉගුණාක් හින් සේ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
1	<i>S. Cerevisiae</i> . . .	ඩැජ්නාස	281.245	1312.15	1080.805	105.26	1261.80	980.15	0.965225	984.83	0.98483	
2	<i>S. Pastorianus</i> . . .	*	231.435	1266.25	1084.81	105.26	1228.20	995.35	1.00156	994.75	0.99475	
3	* *	සුජ්‍යාන් විජ්‍යාන්	207.980	1245.98	1088.00	98.735	1198.25	989.87	0.99753	992.31	0.99231	
4	* *	*	285.580	1323.88	1098.30	98.762	1275.42	989.44	0.99752	991.89	0.99189	
5	Seh. Pombe . . .	*	235.300	1273.52	1088.22	98.753	1295.97	990.27	0.99803	992.22	0.99222	
6	* *	*	243.400	1281.52	1088.12	98.744	1296.20	992.40	0.99818	994.20	0.99420	
7	<i>S. Ludvigii</i> . . .	*	229.620	1266.05	1086.43	98.600	1221.32	991.30	0.99791	993.37	0.99337	
8	* *	*	290.550	1334.98	1088.13	98.744	1287.52	991.97	0.99788	995.17	0.99517	
9	<i>S. Apiculatus</i> . . .	*	235.250	638.87	403.62	36.448	1181.85	896.20	0.89922	896.90	0.89690	
10	* *	*	207.620	624.17	416.5	37.616	1097.15	888.60	0.89947	899.07	0.89907	

№	សមាមុជ្រឈានា	អារម្មណ៍	សម្រួល ចំណេះរក	សាស្ត្រិតិសិទ្ធិ ទេស្តូរដែក ពន្លាមិត្តលក្ខណៈ							
				បានិភ័យលេខ	បានិភ័យលេខ	សាន្តរី	បានិភ័យលេខ	បានិភ័យលេខ	សាន្តរី	បានិភ័យលេខ	បានិភ័យលេខ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	S. Cerevisiae .	ឃាត់រាង	105,96	0,2	105,0	50,2	3,58	0,4	0,08	0,7	0,4
2	S. Pastorianus .	"	105,26	10,7	94,57	43,7	4,40	0,2	—	0,7	0,48
3	" "	ឃ្លាកំណើន ធម្មិនិ	93,735	0,4	93,37	45,15	2,8	0,2	—	0,7	0,26
4	" "	"	93,762	0,44	93,32	45,1	2,8	0,2	—	0,8	0,25
5	Sch. Pombe .	"	93,753	0,57	93,20	45,0	3,4	0,2	—	0,6	0,27
6	" "	"	93,744	0,61	93,13	44,5	2,5	0,2	0,09	0,9	0,42
7	S. Ludvigii .	"	93,600	0,66	93,0	45,06	2,84	0,14	—	0,8	0,42
8	" "	"	93,744	0,44	93,3	45,3	2,89	0,2	—	0,7	0,58
9	S. Apiculatus .	"	36,448	0,2	36,3	19,21	1,64	0,1	—	0,5	0,6
10	" "	"	37,616	0,2	37,5	20,15	1,64	0,15	—	0,5	0,55

ଓଡ଼ିଆ № 5

№ №	კულტურა	არე	საშუალო შექმნა	ანალიზის შედეგები და ღმისონის და (გრამეტრი)									
				ლარვინილი ფაქტურა	ლაშალილი ფაქტურა	სისტემი	გლიცერინი	რეას. შექმ.	2—3 ბუროლი გლაციატო	საუკ.	ჭრის	ფასტ. ცირკულაცია	ცირკულაციას მიღწევას მისამართ ფასტ. მიღწევით
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
1	S. Cerevisiae	სინთეზ.	105,26	0,2	105,0	49,5	3,5	0,4	0,08	0,7	0,4		92,2
2	S. Pastorianus	"	105,26	10,7	94,57	43,5	4,4	0,2	—	0,7	0,48		90,0
3	" "	გურაძე, ტებილი	93,735	0,4	93,37	44,8	2,8	0,2	—	0,7	0,26		93,89
4	" "	"	93,762	0,44	93,32	44,8	2,8	0,2	—	0,8	0,25		93,95
5	Sch. Pombe	"	93,753	0,57	93,20	44,64	3,37	0,2	—	0,6	0,27		93,65
6	" "	"	93,744	0,61	93,13	44,26	2,57	0,2	0,09	0,9	0,42		93,04
7	S. Ludvigii	"	93,600	0,66	93,0	44,76	2,84	0,14	—	0,8	0,42		94,19
8	" "	"	93,744	0,44	93,3	45,00	2,86	0,2	—	0,7	0,58		94,29
9	S. Apiculatus	"	36,448	0,2	36,3	17,23	1,64	0,12	—	0,5	0,60		92,9
10	" "	"	37,616	0,2	37,5	17,93	1,64	0,17	—	0,5	0,55		93,42



ტაბულა № 4-ში მოცემულია, როგორც დაშლილი ზაქრის, ისე დულიკტური როგორც პროდუქტების რაოდენობა პრომილებში გამოხატვით.

ტაბულა № 5-ში კი დულილის პროდუქტების გადანანგარიშებულია აბსოლუტურ რაოდენობებზე ($\% \times K$). ამრიგად ჩვენ აქ გვაქვს რეალური შეფარდება დაშლილ ზაქარსა და მისგან წარმოშობილ პროდუქტთა შორის.

ამ ტაბულაში წარმოდგენილ დულილის პროდუქტთა შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ საცდელ კულტურებიდან არც ერთი არ გვაძლევს 2—3 ბუთილენ-გლიკოლს ცირტად თუ ბევრად უშესამჩნევა რაოდენობათ, გარდა Sch. Pombe-ს, რომელიც ამ სპირტს, მართოლია, წარმოქმნის, მაგრამ მაინც მეტად მცირე რაოდენობით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ, როგორც ქვემოთ დავინახვთ, ასეთი სურათი მეორედება იერობული დულილის დროსაც. ამავე დროს ჩვენს ლაბორატორიაში საქმით მასალა მოიპოვება იმის დამადასტურებლად, რომ S. ellipsoideus და S. cerevisiae, განსაკუთრებით ყურქნის ტებილის დაღულებისას, ამ გლიკოლს საგრძნობი რაოდენობით იძლევიან (ზოგჯერ 0,4—0,5%_干-მდე).

საცდელი კულტურები არც 2—3 ბუთილენ-გლიკოლის წინამორბედ — შეთილ-აცეტილ კარბინოლს — წარმოშობენ. წინაალმდევ შემთხვევებაში ამ უკანასკნელიდან მიღებული დიაცეტილი მაინც მოვცეულდ ნალექს ნიკელთან 2—3 ბუთილენ-გლიკოლის განსახლერის მიზნით დამუშავებულ ნიმუშებში (პრიტცეტისა და ონიკეულცის მეთოდის მიხედვით). ეს გარემოება უთუოდ იმით აისხნება, რომ ჩვენს უშესაშავლ მიღებულს შეიძლება S. Pombe-ს გამოკლებით, ან საესტბით არ გააჩნიათ ან და მეტად მცირე რაოდენობით აქვთ სათანადო ფერმენტი — კარბოლიგაზა, რომელიც წარმოქმნის მეთილ-აცეტილ-კარბინოლს მშრის ალდეჰიდის ხარჯზე.

ამდე საინტერესოა განვიხილოთ ამ ტაბულის მონაცემები იმ თვეოსაზრისით, თუ რამდენად გამახატავს კორელაციის პირველი ფორმულა (ინაერობული პირობებისათვის) რეალურ შეფარდებას დაშლილ ზაქარსა და წარმოშობილ პროდუქტთა შორის ჩვენს ცდებში გამოყენებული საუცვრების მიერ წარმოებული ალკოჰოლური დულილის დროს. ამ საკითხშე გარკვეულ პასუხს გვაძლევს ტაბულა № 6-ში წარმოდგენილი ციფრები. აქ დასახელებული ფორმულის მიხედვით არის გამოანგარიშებული დაშლილი შექრისა და წარმოშობილი ალკოჰოლის რაოდენობანი და დაპირისპირებულია ისინი ფაქტურად მიღებულ რიცხვებთან. ტაბულა გვიჩვენებს, რომ სხვაობა ფაქტურსა და გამოანგარიშებულ მონაცემთა შორის არ სკალდება შეცდომათა ფარგალს.

როგორც ჩანს, კორელაციის პირველი ფორმულით გამოხატული კანონზომიერება ფართო გაერცელებას პოულობს საერთოდ ბუნებრივი ალკოჰოლური დულილის დროს.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გაყვრით მაინც შევეხოთ Guillemet ⁸-ის ფართო შრომას ალკოჰოლური დულილის ბალანსის შესახებ. დასახელებულ ავტორს ჩატარებული აქვს მრავალი ცდა სხვადასხვა შექრების დაღულებაზე მირითადად დუღისა და ტებილის საფუერების ჩასების გამოყენებით.

№ №	კულტურა	ა რ ე	დაშორითი შაქტის რაოდ.			წარმოშ. სირიტის რაოდ.		
			გამოკვებული	შემოკვებული	სხვა	გამოკვებული	შემოკვებული	სხვა
1	2	3	4	2	6	7	8	9
1	S. Cerevisiae.	შაქტი	104,02	105,0	-0,98	50,0	49,5	+0,5
2	S. Pastorius.	"	99,86	94,56	-0,7	43,80	43,45	+0,25
3	" "	ყურძნის ტებილი	93,67	93,37	+0,3	44,65	44,8	-0,15
4	" "	"	93,35	93,32	+0,3	44,65	44,8	-0,15
5	Seh. Pombe	"	94,30	93,20	+1,1	44,09	44,64	-0,55
6	" "	"	92,03	93,13	+1,1	44,80	44,25	+0,55
7	S. Ludvigii.	"	93,35	93,0	+0,35	44,39	44,56	-0,17
8	" "	"	93,4	93,30	+0,1	44,89	44,94	-0,05
9	S. Apiculatus.	"	33,2	36,3	-0,1	17,28	17,23	+0,05
10	" "	"	38,0	37,5	+0,5	17,68	17,93	-0,25

დაშლილი შაქტის გარდა იყი საზოგადის ალკოჰოლური დუღილის მხოლოდ მთავარ პროდუქტებს (CO_2 -სა და ალკოჰოლს) და გამოკვეუს შეფარდება როგორც შაქტასა და ამ პროდუქტთა, ისე თვით უკანასკნელთა შორის. ალსანიშნავია, რომ თუ მის მონაცემებს ალკოჰოლის რაოდენობის შესახებ შევადრებოთ გელუსაკის ფორმულით მისალადნელ რაოდენობას, შევმჩნევთ, რომ 66 შემთხვევიდან ფატეტიურად მიღებული გამოსავალი მხოლოდ ერთხელ უდრიდა თეორიულის $9\frac{1}{2}\%$ -ს. დანარჩენ შემთხვევებშა კი ალკოჰოლის რაოდენობა გაცილებით უფრო მცირე იყო და კერძოდ მაღტოზის დადუღებისას, მაგალითად, ზოგჯერ $4\text{--}5\%$ -მდე ეცემოდა.

ეგტორის აზრით ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი უნდა იყოს არა საფუტურის მასის ზრდა შაქტის ხარჯზე, არამედ დუღილის გარეშე და შუალედი (?) პროდუქტების ჭარბობით. სამწუხაროდ აქ გამოსალვორული არ არიან გარეშე პროდუქტები, რისთვისაც აეტორი იძულებული ხდება მხოლოდ წინადაღების წამოყენებით დაკმაყოფილდეს. ამ წინადაღებას კი ჩენ ვერ დავეთანხმებით.

ჩენი აზრით გარეშე პროდუქტები ამ შემთხვევაში არ ჭარმოადგენენ ალნიშნული მოვლენის (ალკოჰოლის გამოსავალის უმაგალითო შემცირების) არც ერთადერთს და არც უმთავრეს მიზეზს.

შართალია, ჩენს ლაბორატორიაში მრავალგზის ჩატარებული საბალანსო ცდები, ისე როგორც ტაბულა № 5-ში წარმოდგენილი მონაცემები, აშეარად გვიჩვენებენ, რომ დუღილის დროს ალკოჰოლის დანაკლისი ძირითადად გამო-

წვეულია გარეშე პროდუქტთა წარმოშობით, მხოლოდ საფუვრის წონას კი გამოიყენებოდა უფრო ნაკლები ადგილი უჭირავს, მაგრამ Guillemet-ის ცდების პირობებში (მიუხედავად ცდების ხანმოკლეობისა) საფუვრის მასის ნამატ გადამზევები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რადგან აქ შაქრის მეტად გამავალული ხსნარები იხმარებოდა ($0,1\%$ და 1%). გასაგებია, რომ რაც უფრო ნაკლებია არეში შაქრის კონცენტრაცია, მით მეტი უნდა აკლდებოდეს მას პროპორციულად საფუვრის ზრდა-განვითარების ხარჯში. რა თქმა უნდა, გარეშე პროდუქტთა წარმოშობაც საგრძნობი იქნება ამ შემთხვევებში. ჩვენ აქ უკვე აღარ ვლაპარაკობთ შეალებ პროდუქტებზე, რომელთა დაგროვებას არეში ბუნებრივი ალკოჰოლური დუღილის დროს ჩვეულებრივ არ აქვს ადგილი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შერმომაში აღწერილი პროცესი, სპეციალური პირობების გამო, ვერ იქნება გამომხატველი იმ შეფარდებისა დაშელილ შექარსა და წარმოქმნილ პროდუქტთა შორის, რომელსაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს ბუნებრივი ალკოჰოლური დუღილის დროს.

VI. დღები ასახობულ დუღილზე

ამ ცდებში ჩვენ გვაინტერესებდა ჯერ ერთი ქარვის მეავის წარმოშობის უნარი შესასწავლა საფუვრების მიერ და შემდეგ თვით გარეშე პროდუქტთა ურთიერთ დამოკიდებულება ამავ საფუვრებით დადუღებულ არებში.

პირველი საკითხის შესახებ მასალას გვაძლევს ტაბულა № 7, სადაც შეკრებილია ციფრები ქარვის მეავის რაოდენობის შესახებ აერობული და ანაერობული დუღილის დროს.

ტაბულა № 7

ა. ნ.	კულტურა	ა. რ. ე.	საწყისი რაოდენობა % -ში	ქარვის მეავის რაოდენობა პრომილებში	
				აერობული დუღილი	ანაერობული დუღილი
1	შტეინბერგი	შაქარი	10,52	0,4	0,08
2	S. Cerevisiae	"	10,52	0,22	0,2
3	S. Pastorius	ყურძ. წევნე	9,3% ^o	1,14	0,54
4	" "	"	9,3% ^o	1,13	—
5	Sch. Pombe	"	9,3% ^o	0,9	0,66
6	S. Ludvigii	"	9,3% ^o	0,95	0,33
7	" "	"	9,3% ^o	0,5	—
8	S. Apiculatus	"	3,6% ^o	0,75	—
9	" "	"	3,6% ^o	0,60	—

აქ მოყვანილი ციფრები ლაპარაკობენ, რომ აერაციის დადებითი გავლენა ქარვის მეავის წარმოშობაზე ერცილდება ჩვენ საცდელ საფუვრებშედაც და საერთოდ იგი ზოგად მოვლენას უნდა წარმოადგენდეს. ამ ტაბულაში ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ შესწავლილი საფუვრები ქარვის მეავის სა-



ქმაო რაოდენობით აგროვებენ ანაერობულ პირობებშიაც. მისიათვის მუტენის საკუთრივი მიზანი მათ მიერ მრის მეცაის დეპილირება უკანგბადო გარემოში. უკანასკნელი საკითხის დაწვრილებითი შესწავლა ჩვენი უახლოესი მუშაობის საგანს შეაღებს.

რაც შეეხება შეფარდებას თუთ გარეშე პროლუქტია შორის აერობული დულილის დროს, ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ ჩივატარეთ სპეციალური ცდები ჭარბი აერაციის პირობებში, სადაც კულებზი უწყვეტად ტარლებოდა პარი 10 დღის განმავლობაში. აერაციის შეწყვეტისას დულილი უკვ დამთავ- რებული აღმიჩნდა ყველგან.

ამ ნიმუშების ანალიზის შედეგები მოკერძოდა ტაბულა № 8-ზე.

ପାଠ୍ୟଲା № 8

№ №	კულტურა	ა რ ე	დალილის პრცენტები 0-ში					გლობურინი გლობურინი მეზო	გლობურინი გლობურინი ალფილი	
			გლობურინი	მეზო	ჭავა	ჭავას მეზო	2-3 ბურ. გლობურინი			
1	S. Cerevisiae.	.	შავ. ბან.	2,36	0,52	0,21	0,05	0,054	2,39	0,08
2	S. Pastorianus	.	ყურძ.ტკბ.	2,62	0,91	1,14	0,06	0,490	7,42	+4,80
3	" "	"	" "	1,96	0,124	1,18	—	0,430	4,74	+2,78
4	Sch. Pombe	.	" "	3,14	0,80	0,89	0,045	0,118	5,46	+2,32
5	S. Ludvigii	.	" "	0,60	0,66	0,95	—	0,035	5,00	+4,40
6	S. Ludvigii	.	" "	0,51	0,55	0,50	—	0,036	3,29	+2,78
7	S. Apiculatus	.	" "	2,16	1,00	0,75	—	0,337	6,06	+3,90
8	" "	"	" "	1,57	1,00	0,60	—	0,370	5,67	+4,10

ამ მონაცემებიდან პირველად ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ძმრის ოლდეპიდის დიდი რაოდენობა S. Pastorianus, S. Apiculatus-ის და Sch. Pombe-ს ნიმუშებში; განსაკუთრებით კი პირველში, სადაც სითხეს ალდეპიდის მეტად მკაფიო სცნი ჰქონდა.

უთუოდ ამ ალდეპიდის დიდი რაოდენობით უნდა აიხსნებოდეს ის შეარე სუნი და გვერ, რომელიც ახასიათებს *S. Pastorius*-ზე დალულებულ ნიმუშებს და რომელიც აღწერილია ლიტერატურაში (*Klökker*⁹). ამ საფუარზე ანარობულ პირობებში დალულებული ნიმუში იმავ ტებილისა მჩქის ალდეპიდს მაინც შეიკავდა 200 მილიგრამის რაოდენობით. ასე, რომ ეს ოვისება მარტო აერა-ციასთან არ არის დაკავშირებული. ალდეპიდის დაგროვება ასეთი დიდი რაოდენობით, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ამ საფუარის უჯრედში ან სულ არ სებობს, ან და მეტად სუსტად არის წარმოიდგენილი ფერმენტი კარბოლიგაზა. ამ წინადადების სასარგებლოდ ლაპარაკობს ზემოთ უკკე ალნიშნული ფაქტი იმის შესახებ, რომ ეს საფუარი სავსებით არ იძლევა 2—3 ბუთილენ გლიკოლს.

მაგრამ თუ ძმრის პლატინის რაოდენობის მხრივ შევადარებთ ერთმანეთს აერობულსა და ანაერობულ პირობებში დაფულებულ ნიმუშებს — ისკვ S.

Pastorianus-ის შემთხვევაში—დაეინახავთ, რომ პირველი გაცილებით მეტი პირი არის დენობით შეიცავს ალდევიდს. ამ გარემოებას მიუვაკართ დასკვნამდე, რომ ერობულ ნიმუშში ალდევიდის მთელი რაოდენობა არ წარმოადგენს ალკოჰოლური ლულილის სტაბილიზებულ შუალედ პროცესს, არამედ უდიდესი ნაწილი ამ ალდევიდისა აქ წარმოშობილია დაუანგვის გზით და უპირველეს ყოვლისა სპირტის დაეანგვის გზით.

თითქმის ასევე შეიძლება ითქვას S. Apiculatus-სა და Sch. Pombe-ზეც. შეელაფერი ეს ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ დასახელებულ საფუვრებს ჯაცილებით უფრო ძლიერი დაუანგვით სისტემა გააჩნიათ, ვიდრე ლუდისა და ლინის საფუვრებს.

თუ ტაბულაში მოცემული დულილის პროცესტების საფუძველზე გამოვიანგარიშებთ გლიცერინის კორელაციის შეორე ფორმულის მიხედვით (აერობული დულილისათვის), მივიღებთ ციფრებს, რომელებიც მოთავსებულნი არიან მარჯვნიდან შეორე სკერტი (იხ. ტაბულა № 8).

გამოანგარიშებული და ფაქტურად მიღებული გლიცერინების შედარება გვიჩვენებს, რომ ეს მონაცემები ერთმანეთს ხვდება მთლიოდ S. Cerevisiae-ს შემთხვევაში. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გარეშე პროცესტთა შეფარდება საესპით ემორჩილება კორელაციის შეორე ფორმულით გამოხატულ კანონზომიერებას (აერობული დულილისათვის).

ყველა დანარჩენ ნიმუშებში გლიცერინის გამოანგარიშებული რაოდენობა გაცილებით მეტია ფაქტურად აღმოჩენილთან შედარებით. სხვაობა შორს სცილდება შეცდომის ფარგლებს. ეს მოვლენა იმით უნდა აისხნას, რომ ტკბილში მოცემული ზოგიერთი ელემენტი ალკოჰოლის დაუანგვის შედეგად უნდა იყოს წარმოშობილი (ალკოჰოლი —→ მმრის ალდევიდი —→ მმრის შევა —→ ქარვის მევა). ამის გამო კორელაციის შეორე ფორმულა (აერობული დულილისათვის), რომელიც ჩეცულებრივ ტოლობით გამოიხატება, იცვლება ისე, რომ ფაქტურად მიღებული გლიცერინის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია გამოანგარიშებულთან შედარებით.

სხვანაირად რომ ვთქვათ, გარეშე პროცესტთა შეფარდება აღნიშნული საფუვრებით დადულებულ ნიმუშებში არ ემორჩილება იმ კანონზომიერებას, რასაც ადგილი აქვს ალკოჰოლური დულილის ტიპიური აგნტების გამოყენების შემთხვევაში.

ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ საფუვრების (უკვე S. Liedvigii-ს ჩათვლით) დაუანგვითი სისტემის უფრო მეტ სიძლიერეს S. ellipsoideus-ისა და S. cerevisiae-თან შედარებით.

უახლოეს დროში ჩენ მიერ ჩატარებული იქნება ცდები ამავ საფუვრებშე მაგრამ არა ისეთ ძლიერი აერაციის პირობებში, როგორც ამ შრომაში იყო აღწერილი, არამედ ჰაერის თავისუფალი კონტაქტის პირობებში, რაც უფრო შეეფერება ბუნებრივი ა/დ. მსვლელობას. რადგან ამ შემთხვევაში დაუანგვის პროცესის შორს წასელა შეზღუდული იქნება თეთი დულილის დროს გამოყოფილი ნახშირმეტაოთიც, ამისათვის საბუთი გვეკლევა აქ ველოდეთ კორელაციის შეორე ფორმულით გამოხატული კანონზომიერების არსებობას.



საერთოდ ამ შრომის შედეგებს მივყევართ იმ დასკენაშდე, რომელიც გამოიყენება, რომელსაც ემორჩილება გარეშე პროდუქტთა შეფარდება ტიპიური ავენტების მიერ გამოწვეული ალკოჰოლური ღულილის დროს, უფრო ნაკლები გაცრცელებით ხასიათდება, ვიდრე ის კანონზომიერება, რასაც ემორჩილება შეფარდება დაშლილ შაქარსა და უველა წარმოშობილ პროდუქტთა შორის.

დ ა ს კ ვ ნ ი ბ ი

1. ოღოვენი იზოპროპილის მიღებაზე დამყარებული გლიცერინის განსაზღვრის წონითი მეთოდი შესაძლებელია შევსცალოთ უფრო ოლი მოცულობითი მეთოდით, რომელიც მდგომარეობს AgI-ის მოცულობითი წესით განსასლერაში ჭინასწარ KCN-ით გახსნის შედეგ.

2. ჩვენ მიერ შესწავლილი საფუვერების: S. Pastorianus, Sch. Pombe და S. Ludvigii-ს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება სინოზური არებისადმი გამწვეულია მათი არათანაბარი მოთხოვნილებით „ბიოსისადმი“.

3. რაც მეტ მოთხოვნილებას უყენებს საფუარი არეს „ბიოსის“ მხრივ, მით მეტ „ბიოს“ ათვისებს იგი არედან და აგროვებს თავის უჯრედში.

4. ჩვენს ცდებში გამოყენებულ საფუართა მორის ყელაზე ნაკლებ მოთხოვნილებას „ბიოსის“ მხრივ არეს უყენებს კულტურა შტეინბერგი (S. ellipsoideus), მეორე ადგილი უკირავს S. cerevisiae-ს, შემდეგ მისდევს; S. Pastorianus-ს, Sch. Pombe და S. Ludvigii.

5. ღასახელებული აგენტების (S. Apiculatus-ის დართვით) მიერ გამოწვეული ალკოჰოლური ღულილს ბალანსი ანაერობულ პირობებში უკლებლივ ამტენიცებს, რომ შეფარდება დაშლილ შაქარსა და მიღებულ პროდუქტთა შორის, გარეშე პროდუქტების ჩათვლით, სავსებით ემორჩილება კორელაციის პირველი ფორმულით გამოხატულ კანონზომიერებას.

6. აერაციის დადგებითი გავლენა ალკოჰოლური დუღილის დროს ქარვის შეავის წარმოშობაზე ზოგად მოვლენას წარმოადგენს.

7. შესწავლილი სახეობები საფუვერებისა (S. Pastorianus, Sch. Pombe, S. Ludvigii, S. apiculatus) ალკ. დუღილის ტიპურ აგენტებთან შედარებით (S. cerevisiae, S. ellipsoideus) განირჩევიან უფრო მკაფიოდ გამოხატული დაგანვითი სისტემით.

8. ქარბი აერაციის პირობებში ჩვენ მიერ შესწავლილი საფუვერებით დაღულებულ არებში კორელაციის მეორე ფორმულით გამოხატული კანონზომიერება (აერობული პირობებისათვის) იცვლება იმგარად, რომ ფაქტურად მიღებული გლიცერინის რაოდნობა გაცილებით ნაკლებია გამოანგარიშებულთან შედარებით.

გასული ოთხი წლის მანძილზე, როგორც წინა სამუშაოების შესრულებაში, ისე ჩემ თეორიულ მომზადებასა და მეცნიერული ჩვეებთა ჩასახვაში ყოველდღიურ, შეუწყეტელ ხელმძღვანელობას მიწევდა პროფ. გ. ჭ. ღვალაძე. ვთელი ჩემ სასიმოვნო მოვალეობად გამოუტარო მას ულრმესი მაღლობა ამ მშობლიურ შზრუნველობისათვის.

Л И Т Е Р А Т У Р А

1. В. З. Гваладзе. Корреляция между продуктами алкогольного брожения.
2. A. M. Copping. Biochemic. J. 23, 1050 (1921).
3. G. Wallace and Tanner T. Zentralbl. f. Bakter. II 76, 1, 1928.
4. R. I. Wililans. S. Amer. Chem. Soc. 53, 783 (1931). 51, 2764 (1929) 49, 227 (1927).
5. F. Kögl und W. van Hasselt. Zeitsch. f. Physiol. Chemie. B. 242. H 1—2. 76. 1936.
6. Ю. В. Медведев. Микробиология. Т. V. вып. 4, 582. 1936.
7. П. И. Грошаковский. Микробиология. Т. V. вып. 6. 747. 1936.
8. M. R. Guillemet. Bulletin de la Société de Chimie biologique. V. XVIII. № 5, 941. 1936.
9. Klökker. Gärungsmikroorganismen. 1926.

Сравнительный баланс алкогольного брожения вызванного различными видами дрожжей

ВЫВОДЫ

1. Весовой метод определения глицерина, основанный на получении иодистого изопропила, можно заменить более легким об'емным методом, который заключается в об'емном определении AgI после предварительного растворения в KCN.

2. Различное отношение изученных нами дрожжей *S. Pastorianus*, *S. Pombe*, *S. Ludvigii* к синтетическим средам вызывается неодинаковой потребностью в „биосе“.

3. Чем большую потребность в „биосе“ проявляют дрожжи, тем больше „биоса“ они усваивают из среды и накапливают в своих клетках.

4. Из всех применяющихся нами дрожжей наименьшие требования в отношении „биоса“ предъявляет к среде культура Штейнберг (*S. Ellipsoideus*); на втором месте стоит *S. Cerevisiae*; затем идут *S. Pastorianus*, *S. Pombe* и *S. Ludvigii*.

5. Баланс алкогольного брожения, вызываемого перечисленными агентами (включая *S. Apiculatus*), в анаэробных условиях безусловно доказывает, что соотношение между разложенным сахаром и полученными продуктами, включая побочные, полностью подчиняется закономерности, выраженной первой формулой корреляции.

6. Положительное влияние аэрации на образование янтарной кислоты при алкогольном брожении представляет собой общее явление.

7. Изученные виды дрожжей (*S. Pastorianus*, *S. Pombe*, *S. Ludvigii*, *S. Apiculatus*) по сравнению с типичными агентами алкогольного брожения (*S. cerevisiae* и *S. ellipsoideus*) отличаются более резко выраженной окислительной системой.

8. В условиях усиленной аэрации в средах, сброженных изученными нами дрожжами, закономерность выраженная второй формулой корреляции (для аэробных условий) меняется таким образом, что фактически полученное количество глицерина гораздо меньше вычисленного.

На протяжении последних четырех лет как в деле выполнения этой работы, так и в отношении моей теоретической подготовки и усвоения научных навыков я пользовался ежедневным, непрерывным руководством профессора В. З. Гваладзе.

Считаю приятным долгом выразить ему глубочайшую благодарность за оказанную помощь и отеческое отношение ко мне.

BALANCE COMPARÉE DE FERMENTATION ALCOOLIQUE, PROVENANT DE DIFFÉRENTES ESPÈCES DE LEVURE

1. La méthode de détermination de la glycérine, par le poids, basée sur l'isopropyle iodique obtenu, peut-être remplacée par une méthode volumétrique plus simple, consistant en une détermination volumétrique AgI, après une solution préalable dans KCN.
2. Les différents rapports des levures, étudiées (S. Postorianus, S. Pombe et S. Ludvigii) avec les milieux synthétiques, proviennent d'un besoin inégal de „bios“.
3. Plus la levure a besoin de „bios“, plus elle en prend du milien et le garde dans ses cellules.
4. De toutes les levures que nous employons, la culture Steinberg (S. Ellipsoideus) exige le moins de „bios“ du milieu; S. Cerevisiae, occupe la deexième place, puis viennent S. Pastorianus, S. Pombe et S. Ludvigii.
5. La balance de la fermentation alcoolique, provenant des agents énumérés (y compris S. Apiculatus), prouve absolument dans les condition anaérobiques, que la corrélation entre le sucre décomposé et les produits obtenus, y compris les produits accessoires, se soumet à la régularité, exprimée par la première formule de la corrélation.
6. L'influence positive de l'aération sur la formation de l'acide succinique, pendant la fermentation alcoolique présente une manifestation ordinaire.
7. Les espèces des levures étudiées (S. Pastorianus, S. Pombe, S. Ludvigii, S. Apiculatus) comparés aux agents typiques de la fermentation alcoolique (S. Cerevisiae et Ellipsoideus) se distinguent par un système d'oxydation plus marqué.
8. Dans les conditions d'aération renforcée — dans les milieux des levures fermentées, que nous avons étudiés, la régularité exprimée par la deuxième formule de la corrélation (pour les conditions aérobiques) change de sorte que la quantité de glycérine obtenue est de fait beaucoup plus petite que la quantité calculée.

Pendant les quatre dernières années, aussi bien dans l'exécution de cet ouvrage que dans la préparation exigée par le système scientifique, j'ai travaillé sous la direction quotidienne et inlassable du professeur V. Z. Gvaladzé. Je considère qu'il m'est un devoir agréable de lui exprimer ma profonde reconnaissance pour son aide et la sollicitude paternelle qu'il m'a témoignée.

აზოტის განსაზღვრა ნიადაგში პროგნოზი მათოდით

აზოტი ეკუთხნის იმ საკვებ ელემენტთა ჯგუფს, რომლის შეტანა ნიადაგში აუცილებელ პირობას წარმოადგენს მილალი მოსაელის მიღებისათვის, როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ.

მისი საერთო რაოდენობა ნიადაგში ზოგად წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რამდენად იქნებიან მცნაარები უზრუნველყოფილი ამ ელემენტით. აქედან ცხადია, რომ აზოტის საერთო რაოდენობის განსაზღვრის განსაჟურებული მიზენელობა ეძლევა ნიადაგბის რაციონალურად ათვისების საქმეში.

ნიადაგში აზოტი უმთავრესად წარმოდგენილია ორგანული ფორმების სახით (კილის, ამინომჟევების, ამიდების და სხ. ნაერთების სახით), ხოლო მინერალური აზოტის რაოდენობა უმნიშვნელოა და საზუალოდ მეათედი პროცენტებიდან 4%-მდე მცირეობს აზოტის საერთო რაოდენობიდან. მინერალური აზოტის ასეთი მცირე რაოდენობა დიდ გავლენას ვრმ მოახდენს აზოტის საერთო რაოდენობის განსაზღვრის შედეგებზე; ამისათვის პრაქტიკულად მას მხედველობაში არ ღებულობენ. ამით აისწება, რომ საერთო აზოტის კვლევის დროს, როგორც წესი, მიმართავენ ხოლმე კიელდალის კლასიურ მეთოდს. თუმცა ცნობილია, რომ ამ მეთოდით არ ხდება მინერალური აზოტის მთლიანი რაოდენობის აღრიცხვა.

მაგრამ მასობრივი ანალიზების თვალსაზრისით კიელდალის მეთოდის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს მისი დიდი შრომატევადობა და ხანგრძლივობა (წვა გრძელდება 6—12 ს.).

ამისათვის ჩვენ მიზნად დავისახეთ ტურინის¹ სწრაფი მიურომეთოდის შემოწმება. სტანდარტიდ აღმული გექონდა კიელდალის² ორიგინალური მეთოდი. საანალიზოდ გამოყენებული იყო საქართველოს ნიადაგების 18 ნიმუში (№№ 1—6 წითელ-მიწა ნიადაგები, №№ 7—12—დამლაშებული ნიადაგები, №№ 13—18—ეწვეროვანი ნიადაგები).

ზემოაღნიშნული მეთოდებით მიღებული ანალიზური მონაცემების შედარება ნაჩვენებია ტაბულა № 1-ში.

როგორც ტაბულიდან ჩანს, ტურინით მიღებული აზოტის რაოდენობა კარგად ემთხვევა კიელდალის მეთოდით მიღებულ მონაცემებს. და თუმცა ეს უკანასკნელი მონაცემები უფრო ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ამას ადგილი აქვს ტურინის წესით მუშაობის შემთხვევაში, მიუხედავად



ამისა ის სიზუსტე, რომელსაც იძლევა ტიურინის მეთოდი სრულიად განვითარებულია
მასობრივი ანალიზებისათვისაც.

ტაბულა № 1

№	აზოტის % კიფლდა- ლით	საშუალო	აზოტის % მაქროტი- ურინით	საშუალო	№№	აზოტის % კიფლდა- ლით	საშუალო	აზოტის % მიკრო- ტიური- ნით	საშუალო
	%	%	%	%		%	%	%	%
1	0,200 0,204 0,201	0,202	0,199 0,197 0,203	0,200	10	0,219 0,217 —	0,218	0,220 0,221 0,219	0,220
2	0,220 0,219 0,219	0,219	0,222 0,227 0,218	0,222	11	0,175 0,175 —	0,175	0,173 0,173 —	0,173
3	0,350 0,349 0,347	0,349	0,353 0,344 0,347	0,348	12	0,123 0,120 0,119	0,121	0,120 0,119 0,116	0,118
4	0,144 0,144 0,146	0,145	0,147 0,142 0,147	0,145	13	0,223 0,225 0,227	0,225	0,229 0,223 0,230	0,227
5	0,270 0,271 0,274	0,272	0,280 0,279 0,285	1,281	14	0,164 0,165 —	0,164	0,158 0,152 0,154	0,155
6	0,218 0,216 0,220	0,218	0,207 0,212 —	0,209	15	0,212 0,212 —	0,212	0,210 0,208 —	0,209
7	0,278 0,276 0,278	0,277	0,275 0,276 0,272	0,274	16	0,245 0,246 0,241	0,244	0,241 0,240 0,245	0,242
8	0,114 0,112 0,110	0,112	0,108 0,101 0,107	0,105	17	0,311 0,313 —	0,312	0,319 0,312 0,311	0,314
9	0,118 0,111 0,115	0,115	0,105 0,108 0,102	0,105	18	0,298 0,296 —	0,297	0,294 0,291 —	0,293

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტიურინის მეთოდსაც სდევს თან ზოგიერთი ისეთი მხარე, რომლებიც საგრძნობლად ამცირებენ ამ მეთოდის ღირებულებას და ზოგჯერ უხერხელს ხდიან მის გამოყენებას, სახელდობრ:

- 1) გაძნელებულია საშუალო ნიმუშის სწორედ აღება;
- 2) როგორც ყოველ მიკრომეთოდში, ისე აქაც უშუალო განსაზნდერის დროს დაშვებულმა შეცდომებმა წრნაკების სიმცირის გამო შესაძლოა საბოლოო ანგარიშში დიდი ცდომილება მოგვცეს.

3) აუცილებელი ხდება შესწორებების შეტანა რეაქტივების სიწარმლეზე
და ჭურჭლის სხნადობაზე.

4) მეთოდის საიმედო გამოყენებისათვის აუცილებელია კვალიფიციური
შეზაյი,

რომ ტიურინის მიერომეთოდისათვის მიგვეცა უფრო მისაღები სახე მასობრივი ანალიზებისათვის, ჩვენ შევეცადეთ გაგვედილებია ნიადაგის წონაյი, მოგვენახა ხელსაყრელი შეფარდებები წყალსა, ბიჯრომატსა და ნიადაგს შორის და მინიმუმმდე შეგვემცირებია წვის დრო,

ჩვენ შევერტათ ნიადაგის ისეთ წონაკებზე, რომლებიც ორგანულ ნივთიერებათა სიმძიდრის მიხედვით 1,5—5 გრამს შორის მერყეობენ. წონაյის შემდგომი გადიდება კიელდალის მეთოდში ნაჩვენებ ნორმებმდე (30 გრამი), გარდა რეაქტივების ზედმეტი ხარჯისა, გამოიწვევდა დიდი მოცულობის ჭურჭლების ხმარებს, რაც გაართულებდა ამ მეთოდის პრაქტიკულ გამოყენებას.

ორგანულ ნივთიერებათა დასაწყვად სხვადასხვა აეტორები სხვადასხვა კონცენტრაციის გოგირდის მეავს მიმართავენ (ფილიპოვა³, მაგალითად, თავის ცდებში სარგებლობდა გოგირდის მეავით 1:1 და შედეგები შემცირებული მიიღო. ტიურინის მიხედვით შეფარდება გოგირდის მეავსა და წყალს შორის უნდა იყოს 2:1. S. M. Shewell-ის⁴ ცნობით უკეთეს შედეგს იძლევა შეფარდება 4:1).

ამასთან დაკავშირებით გოგირდის მეავის ოპტიმალური კონცენტრაციის გამოსანახავად ჩვენ ჩივატარეთ ცდები, რომლის შედეგები მოცულობია ტაბულა № 2-ში.

ტაბულა № 2. ნიადაგ № 3

	სტანდარტული შეთოდი კიელდალის	1:1	1,5:1	2:1	3:1
აზოტი % ე/ე-ით	0,349	0,308	0,337	0,348	0,347
აზოტის პროცენტული რაოდენობა კიელდალის შეთოდთან შედარებით	100 %	86,80	96,5	99,7	99,5

როგორც ჩანს ორგანული აზოტის უფრო სრული გადასვლა ამონიაჟის ხდება მაშინ, როდესაც გემარობთ გოგირდის მეავს შეფარდებით 2:1.

შემდეგი ცდის მიზანი იყო გოგირდის მეავის უკვე დადგენილი კონცენტრაციის (2:1) გამოყენებით გამოგვერკვეთ დუღილის მინიმალური ხანგრძლივობა ორგანულ ნივთიერებათა სრული დაწესიათვის.

სათანადო მონაცემები მოყვანილია ტაბულა № 3-ში.

ტაბულა № 3

აზოტი კიელდალით	3 წ.	6 წ.	10 წ.	20 წ.	30 წ.	60 წ.	90 წ.
0,349	0,310	0,346	0,348	0,338	0,332	0,332	0,302
100 %	88,8	99,3	99,7	96,9	95,1	95,1	86,5



ტაბულაში მოცემული ციფრები ნათლად გვიჩვენებენ, რომ დუღილია $\text{KCl} + \text{NaCl}$ და CaCl_2 და MgCl_2 საშუალობაში სრულიად საქმარისისა წვის დასრულებისათვის. შემდეგი დუღები არამც თუ არ ადიდებს შედეგებს, არამედ, პირიქით, იწვევს აზოტის პროცენტული რაოდენობის შემცირებას, რაც აღმად უნდა აიხსნებოდეს ამონიაკის დაფანგვათ შემდეგი სქემის მიხედვით: $\text{NH}_3 - \text{NO}_2 - \text{NO}_3$.

ვინაიდნ ცნობილია, რომ ქლორიდების თანადასწრებით ბიქრომატს შეუძლია მოლეკულარული აზოტის განთვისუფლება შემდეგი რეაქციის თანამად: $\text{K}_2\text{Cr}_2\text{O}_7 + 2\text{NH}_4\text{Cl} \longrightarrow 2\text{KCl} + \text{Cr}_2\text{O}_3 + 4\text{H}_2\text{O} + \text{N}_2$, მისიათვის ჩვენი ცდების მე-4 ხერიაში ყურადღება სწორედ ამ ფაქტზე იყო მიქცეული. საინტერესო იყო გამოგვერკვია, თუ რა გავლენას ახდენენ ქლორიდები მიღებულ შედეგებზე და საერთოდ არის თუ არა შესაძლებელი ამ მეოთოდის გამოყენება ქლორიდებით დამლაშებული ნიადაგების კვლევისათვის.

ამ ცდებისათვის იღებული იყო წითელმიწა ნიადაგი № 5, რომელიც ხელოვნურად იყო დამლაშებული K, Na Ca Mg-ის ქლორიდებით. მიმატებული კალქლორიდის რაოდენობა 4% -ს უდრიდა. დანარჩენი ქლორიდები იმარტოდენენ ექვივალენტური რაოდენობით. ამ ცდების შედეგები წარმოდგენილია ტაბულა № 4-ში.

ტაბულა № 4

აზოტი კოეფიციენტი	4 გრ. KCl	ექვივ. რაოდ. CaCl_2	ექვ. რაოდ. MgCl_2	ექვ. რაოდ. NaCl	4 გრ. $\text{K}, \text{Na}, \text{Ca}, \text{Mg}$ ქლორიდებისა	4 გრ. არა ექვ. რაოდ. იმავე რაოდენობისა
0,272	0,258	0,256	0,259	0,253	0,260	0,256
100%/ ₀	94,9	94,1	95,2	93,0	95,5	94,1

მოყვანილი შედეგები გვიჩვენებენ, რომ ქლორიონების მოქმედების შედეგად საშუალოდ 5% აზოტი იყარგება და რომ მოლეკულარული აზოტის ასეთი დანაკარგი არ არის დამოკიდებული ქლორიდების თვისიობრივ შემადგენლობაზე.

ამავე დროს Shewon-ის დაკირვების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ეს დანაკლისი ქლორიდების ზეგავლენით ძალიან არის დაკავშირებული თვით აზოტოვან ნიერობებათა თვისებებითან: მაგალითად, იმ დროს, როდესაც აცეტანილი ქლორიდების მოქმედებით 17% აზოტს კარგავდა, ბეთაინში დანაკარგი უკვე $23,3\%$ უდრიდა და სხვა. მისიათვის დასახელებული ავტორის აზრით ამ მეოთოდის გარგისიანობა ნიადაგების ანალიზებისათვის წინასწარ უნდა იქნეს შემოწმებული, ვინაიდან ნიადაგის აზოტური შენაერთების ფორმები საბოლოოდ არ არის შესწავლილი.

ჩვენი მონაცემები (ტაბულა № 4) გვარწმუნებენ, რომ აზოტი ნიადაგში წარმოდგენილია ისეთი ფორმებით, რომელიც მნელად განიცდიან ზემოაღნიშნულ გარდაქმნას.



საბოლოოდ ყველა ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად მეთოქტები ასეთი თი სახე მიღო: წინასწარ მომზადებული და 0,25 მ/მ საცერიში გატარებული ნიადაგის ნიმუშიდან ვიღებთ წონას $1\frac{1}{2}$ —5 გრ. რაოდენობით (1,5 გრამს, თუ ჰუმუსი 12—15%—ს უდრის; 2 გრამს—10%—იანი ჰუმუსის შემთხვევაში და ასე შემდეგ) და ვათავსებთ 200—250 კ. ს. კიელდალის კულაში. დამეანგველებად ქმარობით კრისტალურ ბიქრომატს, ან 30%—იანი ქრომის ანტიდრილის სსნარს. პირველ შემთხვევაში კულაში ვასხამთ 10—13 კუბ. სანტ. წყალს და ფრთხილ შერჩევთ ვალწევთ ნიადაგის თანაბარ შესველებას, რის შემდეგ უმატებთ 4 გრ. ბიქრომატსა და 20—26 კუბ. სანტ. გოგირდის მეავას (1,84). ქრომის მეავას შემთხვევაში კი კულაში მოქცეულ საანალიზ ნიმუშს უშუალოდ (წინასწარ წყლის მიუმატებლად) ვასხამთ დამეანგველის სსნარის 10—13 კუბ. სანტ. და გოგირდის მეავას (1,84) იმ ვარაუდით, რომ მიმატებული მეავა მოცულობით 2-ჯერ მეტი იყოს კულაში მყოფ სითხესთან შედარებით, ე. ი. 20—26 კუბ. სანტ.

მეავის დამიტებისას ენერგიულად იყოფა ნახშირმეავა გაზი, რის გამოც სითხე ქაფდება. ამიტომ გაცხელებას არ ვიწყებთ მანამდე, სანამ ენერგიული რხევით ქაფი კულაში არ დაჯდება. მხოლოდ ამის შემდეგ შესდგებით დაწვას. ამისათვის კულას, რომელსაც ყელში უნდა ჩაუდგათ ძაბრი, ვათავსებთ კიელდალის პარატის ბუდეში დახარის მდგომარეობაში. ასეთ პირობებში კოდნესირებული წყალი წვეთ-წვეთობით ჩამოდის კედლებზე და ნელ-ნელა ერევა კულაში მყოფ სითხეს. ამის გამო დულილი შემიღები მიდის და თავიდან აცილებულია არასასურველი ბიძგები. დულილი გრძელდება 6—10 წუთამდე. დულილის დროს კულა 3—4-ჯერ უნდა იქნეს შერჩეული, რაც ხელს უწყობს ორგანულ ნივთიერებათა წვის პროცესს.

წვის დათავების შემდეგ სსნარს ვაცივებთ და გადავიტანთ წყლის საშუალებით 750—1000 კ. ს. გამოსახდელ კულაში. აქვე უმატებთ 100—120 კ. ს. 40%, ნატროიტის ტუტის სსნარს. სითხის საერთო რაოდენობა 400—550 კ. ს. უნდა უდრიდეს. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სარეცხი წყლის ხარჯვის დროს ნიმუშის გაღმოტანისას სახდელ კულაში. ამის შემდეგ დულილის თანაბარი მსვლელობის უზრუნველყოფის მიზნით სსნარში ვაგდებთ მარცვლოვანი თუთიის სამ-ოთხ ნაკერს და ეხდით, სანამ ნახადი არ დაგროვდება დაახლოებით 200 კუბ. სანტ. რაოდენობით. ამონიაკის დამჭერად ჩვეულებრივ ებარობთ გოგირდის მეავის დეცინორმალურ სსნარს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგი ღარიბია ორგანული ნივთიერებებით,—0,05 ნორმალობის სსნარს.

უმრავლეს შემთხვევაში სრულიად საქმარისია დამჭერი სსნარის 15 კუბ. სანტ. დამჭერის შეუბოჭავა ნაწილს ვტიტრაჟთ სათანადო ნორმალობის (0,1 ან 0,05) ნატროიტის ტუტით. ინდიკატორად იხმარება კონგოროტი. რეაქტივები, როგორც წესი, შემოწმებული უნდა იყვნენ სიშინდეზე, თუმცა ხშირად შესწორება იმდენად მცირება, რომ საბოლოო შედეგებზე გავლენას არ ახდენს. მაგრამ ტიტრინის მიკრომეტოლდისათვის აუცილებელი შესწორება მინის სსნაღობაზე ჩვენი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ისსწება.

- 1) კრისტალური ბიქრომატი, ან ქრომის ანტიდრიდის 30% -იანი ხსნარი;
- 2) 0,1 N, ან 0,50 N გოგირდის მეუკა; -3) 0,1 ან 0,05 ნირმალობის ნატრიუმის ტუტები;
- 4) გოგირდის მეუკა (ხვედრითი წონა 1,84); 5) ნატრიუმის ტუტის 40% -იანი ხსნარი; 6) კონგროროტი—სპირტის ხსნარი.

ჩვენი მოდიფიკაციით მიღებული ციფრები წარმოდგენილი არის ტაბულა № 5-ში.

ტაბულა № 5

ნიადაგის №	% აზო- კელდალი	აზოტის % ქრომ- მეუკა მოდიფიკა- ციით	საშ.	ნიადაგის № №	აზოტის % კიფლდ.	% აზოტის კელდალი მოდიფი- ციით	ნ
3	0,349	0,348—0,345 0,344—0,344 0,348—0,346 0,351	0,347	9	0,115	0,109 0,107 0,106	0,107
5	0,272	0,269 0,273 0,277	0,273	15	0,212	0,212 0,209 0,209	0,210
6	0,218	0,207 0,215 0,212	0,211	16	0,244	0,240 0,241 —	0,240
7	0,277	0,276 0,272 0,278	0,275	17	0,312	0,319 0,313 —	0,316
8	0,112	0,110 0,109 0,106	0,108	18	0,297	0,290 0,292 0,297	0,293

როგორც ვხედავთ, ჩვენი მოდიფიკაცია ისეთსავე შედეგებს იძლევა, როგორსაც კიელდალის მეთოდი და ამავე დროს მასთან შედარებით დიდი უპირატესობით სარგებლობს მასობრივი ანალიზების თვალსაზრისით.

დ ა ს ე ვ ე ბ ი

1. ზუსტი მუშაობის პირობებში ნიადაგის აზოტის განსაზღვრა ტიურინის მიკრომეთოდით ისეთსავე შედეგებს იძლევა, როგორსაც კიელდალის მეთოდი.
2. კიელდალის მეთოდთან შედარებით ტიურინის მიკრომეთოდი გაცილებით სწრაფია და ეკონომიკური.

2. დასახელებულ უპირატესობებთან ერთად ტიურინის მეთოდს თან სდევს ზოგიერთი უწერხული მხარეები, რომლებიც ამცირებენ მის ლირებულებას მა-



სობრივი ანალიზებისათვის (გამნელებული სწორი საშუალო წონაების დამტკიცებული უშუალო განსაზღვრის დროს დაშვებულ მცირე შეცდომას შეუძლია სპერმონიკული ჯამში საგრძნობი ცდომილება მოგვცეს, საჭიროა შესწორება ჭურჭლის ხსნა-დობაზე და სხვ.).

4. ჩეენ მიერ წამოყენებული მოდიფიკაცია თავისუფალია ამ უხერხულებებიდან.

5. ხელოვნურად დამლაშებული ნიადაგის ნიმუშებში (4% , ქლორიდებისა) აზოტის დანაკლისი საშუალოდ $5\%-ს$ უდრიდა. ხოლო ბუნებრივ მლაშე ნიადაგებში დანაკლისი იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ შეგვიძლია მხედველობაში არ მიეიღოთ.

6. თუ მივიღებთ მხედველობაში ლიტერატურულ მონაცემებს იმის შესახებ, რომ აზოტის დანაკარგი ქლორიდების თანდასწრებით დაკავშირებულია თვით აზოტოვანი ნივთიერებების ფორმებზე და ამავე დროს ანგარიშს გაუწევთ ჩეენი ცდების იმ ნაწილს, სადაც ნათლად ჩანს, რომ ამავე ქლორიდების დასწრებით ნიადაგი კარგავს აზოტს, მაშინ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ნიადაგში აზოტოვანი ნივთიერებანი წარმოდგენილი არიან ისეთი ფორმებით, რომლებიც ძნელად ანთავისუფლებენ მოლეკულარულ აზოტს ბიქრომიატისა და ქლორიდების ერთდროული მოქმედებით.

Хромово-кислая модификация определения почвенного азота

ВЫВОДЫ

1. Микро-метод определения общего азота в почве по Тюрину при тщательной работе мало уступает в точности микро-методу Кельдаля; расхождение не выходит за пределы ошибок определения.

2. По сравнению с методом Кельдаля микро-метод Тюрина обладает тем преимуществом, что является более быстрым и экономным.

3. Несмотря на это микро-Тюрин имеет ряд слабых сторон, затрудняющих его применение в массовых анализах (трудность взятия средней пробы, увеличение допущенных ошибок при малых навесках, обязательный учет растворимости стекла и т. д.).

4. Предложенная нами модификация лишена указанных недостатков применительно к массовым анализам.

5. В искусственно засоленных образцах (до 4% хлоридов) уменьшение количества азота в среднем выразилось в 5%, но во взятых нами природно-засоленных хлоридами почвах потеря столь незначительна, что ее вполне можно пренебречь при массовых анализах.

6. Учитывая показания литературы, подтверждающие сильную зависимость потери азота от разных форм азотистых соединений и принимая во внимание данные нашей работы, мы приходим к заключению, что азотистые соединения в почве представлены такими формами, которые трудно поддаются освобождению молекулярного азота при совместном действии бихромата и хлоридов.

ЛИТЕРАТУРА

- 1—Тюри н. Микрохромовый метод определения общего азота в почве. Почвоведение № 2, 1933 года.
- 2—Гедроиц—Химический анализ почв. 71.
- 3—Филиппова—Сравнительное изучение методов определения общего азота в почвах сжиганием по Кельдалю и по Кноппу; Труды Ленинградской лаборатории Института Агропочвоведения ВАСХНИЛ, вып. 14 1931 г.
- 4—S. M. Shevone—Soc. Chem. Ind 1935 г.

CHROMO-ACID MODIFICATION, FOR DETERMINING SOIL NITROGEN

D e d u c t i o n s

1. Turin's micro-method for determining common nitrogen in the soil is nearly as exact when conscientiously worked out as Kjeldahl's micro method; the divergences remain in the limits of the mistakes of determination.
2. Compared to Kjeldahl's, method, Turin's micro-method is superior inasmuch as it is quicker and more economical.
3. Nevertheless, micro Turine has very weak points rendering its use difficult in general analysis (the difficulty of finding the average test, the increase of the mistakes with small weight, the necessity of taking into account the solubility of glass etc...).
4. The modification we present has none of the faults indicated, adapted to a general analysis.
5. In the samples artificially salted, (to 4% chlorids) the decrease of the quantity of nitrogen is expressed in average by 5%, but in the soils naturally salted with chlorids, which we speak of, it is so insignificant, that it can be overlooked in general analysis.
6. Taking into account the indications of literature, confirming the great dependance of the loss of nitrogen from different forms of nitrogen combinations, and taking into consideration the data of our work, we come to the conclusion that nitrogen combinations in the soil are represented in forms, which do not yield easily to the setting free of molecular nitrogen, in the common action of bichromate and chlorides.

მასალები პარბონაშული დაწილული ნიადაგების გენეზისისა და აგრეგაციისათვის

როგორც ცნობილია, მაღალი მოსავლიანობა დამოკიდებულია არა მარტო ნიადაგში არსებულ მცენარის საკედ ნივთიერებათა რაოდენობაზე, არამედ აგრეთვე ნიადაგის ჰაერის, ჭყლისა და სითბოს რეებისზე—საზოგადოდ მის (ნიადაგის) ფიზიკურ თვისებებზე. აღნიშნულ თვისებათა რეგულაცია ნიადაგში, ძირითადად შეპირობებულია მისი სტრუქტურულ - აგრეგატული მდგომარეობისაგან.

ნიადაგების სტრუქტურიზაცია გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური მიწათმოქმედების მოსავლიანობის ზრდის საქმეში. ნიადაგის სტრუქტურულობა ერთერთი მთავარი მაჩვენებელია მისი (ნიადაგის) კულტურული მდგომარეობისა.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ნიადაგში საკედ ნივთიერებათა და წყლისა და ჰაერის რეების შორის ჰარმონიული დამოკიდებულებისათვის ნიადაგის მასა უნდა შესდგებოდეს $0,25-10$ mm სიმსხვის სტრუქტურული აგრეგატებისაგან. ნიადაგები, რომლებიც შესდგებიან უფრო მსხვილი ან უფრო წვრილი აგრეგატებისაგან, უსტრუქტურო ნიადაგებად იწოდებიან. ამ თვალსაზრისით დაწილული ნიადაგები (დაწილების ჰორიზონტული) უსტრუქტურო ნიადაგებს წარმოადგენს.

დაწილული ნიადაგები ეწოდება ისეთ ნიადაგებს, რომლებიც ხასიათდებიან (ან ზედამირიდან ან ქვედა ფენებიდან ქვევითები) შემკრიცებული—მონოლიტური პროფილით შეშარ მდგომარეობაში, დასკელებისას კი მწებავ მდგომარეობაში გადადიან. დაწილული ნიადაგები მორტოლოგიურად თავიანთი უხეში, ტლანქი ბელტოვანი „აგრეგატებით“ რამდენადმე ბიცობიან ნიადაგებს წააგავან.

დაწილების მიზნების გამორკევის საფუძველზე შესაფერი აგროტექნიკური ლონისძიებების დასახვა აღნიშნული ნიადაგების გაუმჯობესებისათვის აგრო-ნიადაგთმულნეობის ერთერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენი სტატია მიზნად ისახავს დაწილული ნიადაგების კომპლექსიდან მხოლოდ ერთი კომპონენტის (კარბონატული, მცირებულებისანი) გენეზისის საკითხების შესახებ ჩვენი ექსპერიმენტალური მონაცემების სისტემაში მოცვანას.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННАЯ
 ИСКУССТВА

აღსანიშნავია, რომ დაწილული ნიადაგების გენეზისის შესახებ სპეციალური ნაჩერევი ჩევნოტეის ხელმისაწვდომ ლიტერატურულ წყაროებში არსად შეგვხედრია. არსებობს მხოლოდ აპრილული მოსაზრებანი ამ საკითხის ირგვლივ.

პროფესორმა ა. ტიულინმა თავის სტატიაში „ერთნახევარი უანგების გავლენა ნიადაგების აგრეგატების სიმტკუზე“ გამოთქვა მოსაზრება, რომ შეიძლება ყუბანის დაწილული შევმიწა ნიადაგების ცუდი ფიზიკური თვისებები გამოწვეული იყოს ამ ნიადაგების კოლოიდების ჰიდროფილურობით.

პროფესორი ვ. გემერლინგი ფიქრობს, რომ არიდული და სუბარილული ზონის ნიადაგებში ა ჰორიზონტის ქვედა ფენის და პ ჰორიზონტის ამა თუ იმ ხარისხით გამკერივება გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ამ ნიადაგების სსნარში იმყოფება ჰიდროქსილის ონები თავისუფალი სახით, რომლებიც ზრდიან ამ ნიადაგების კოლოიდური ნაწილის დისპერგირებას ნესტიან მდგომარეობაში, გამოშრომის შემდეგ კი ცალკეული აგრეგატების შებმა ხდება და ნიადაგი მკერივდება; კელლის, ვ. კოვდას და სხვა ავტორთა აზრით ნიადაგების დაწილვა ხდება უმეტესად ნიადაგის მასის გაკაუჭით (იკრემნენი). ტუტე რეაქციის შექონე ნიადაგებში ნატრიუმიანი სილიკატები იდეილად ისხნებიან და რეაქციაში შედიან კალციუმისა და მაგნეზიუმის კარბონატებთან, რის შედეგადაც წარმოიშვება ტუტემიწა მეტალების სილიკატები—ხდება ნიადაგის მასის გაკაუჭა; ს. სუშკო ფიქრობს, რომ არიდული კლიმატის პირობებში მცირებულებისანი—არაბიცობიანი ნიადაგების ზედაფენების გამკერივების ძირითად მიზეს წარმოადგენს კალციუმის კარბონატების დიდი რაოდენობა ამ ნიადაგებში; ჰეგერი და მატსონი ალნიშნავნ, რომ რეინის კოლოიდებით მდიდარ ნიადაგებში ჩნდება დიდი ზომის აგრეგატები; პროფესორი ლ. როზევის აზრით არაბიცობიანი ნიადაგების გამკერივება ხშირიდ გამოწვეულია ერთი მხრით გამოფიტვის და მეორე მხრით შიკრობილოგიური პროცესებით. ამ პროცესთა წყალობით ნიადაგში მატულობს კოლოიდურ ფრაქციათა რაოდენობა. ამ ფრაქციათა გადაადგილება და დაგროვება ქვედა ფენაში კი იწვევს ამ ფენის გამკერივებას; დაწილვა, აგრეგატული მდგომარეობა და საზოგადო ნიადაგის ფიზიკური თვისებებით დიდად არის დამკიდებული შთანთქმულ ფუძეებზე. როგორც ცნობილია, ნიადაგი, რომლის შთანთქმაზე კომპლექსი მაძლარია ნატრიუმით (ბიცობიანი ნიადაგები), ხასიათდება ძლიერ გამკერივებული და ტლანქი აგრეგატული აგებულებით. ზოგიერთი ავტორი (კ. ჰედროიცი, ა. ვანკოვი, ა. ანტიპოვი—კარატავი, პრასოლოვი, კ. შავრიგინი და სხვა) Mg-საც ასეთსაც თვისებებს აკუთვნებენ; ი. შულოვი და ტომსი ფიქრობენ, რომ ნიადაგის დაწილვა-გამკერივების მიზეზი ხშირად აზოტიანი მინერალური სასუქების, კერძოდ კი NaNO_3 და KNO_3 ჰარბად ხმარება უნდა ყოს; სარწყავ დაწილულ ნიადაგებში ნიადაგის გამკერივებას იყალებიკონი კ. ჰედროიცი შემდეგნაირ ახსნას აძლევს: სარწყავ ნიადაგებში მეონადი



ხსნარი შეიცავს კოლოიდებს უწევრილესი სუსტენზიების სახით; მიღწევს ჭრა და გამოცემა ხსნარი ნიადაგში ელექტროლიტებით მდიდარ ფენას, ხდება კოლოიდების აქრა, რასაც შედგება და მოსდევს ნიადაგის (თავისუფალი ადგილების) ამოგლესვა — ამ ჰირიზონტის დაწიდვა.

გუარი გათოდია

დაწიდული ნიადაგების ბუნების შესასწავლად ჩვენ გამოვიყენეთ ბორჩალოს რაიონში გავრცელებული ყველაზე ძლიერ დაწიდული, სარწყავი, მცირე-ჰუმურიანი კარბონატული ნიადაგები; ჩვენს მუშაობას ჰქონდა ლაბორატორიული და სავეგეტაციო ცდის ხასიათი. ცდა ჩავატარეთ დაუშლელ ნიმუშებზე. სავეგეტაციო ცდით მიზნად გვეკონდა დასახული, ერთი მხრით, იმ აგროტუქნიკური ლონისძიებების გამონაზვა, რომელთა გამოყენების საშუალებითაც შეიძლება აღნიშნული ნიადაგების აგრეგატული მდგომარეობის გაუმჯობესება, და მეორე მხრით, მასვე უნდა მოეცა პასუხი — არაპირდაპირი გზით — დაწიდვის მიზეზებზე.

სავეგეტაციო ცდისათვის ავილეთ დაუშლელი ნიმუშები 45 სანტ. დია-მეტრის და 35 სანტ. სიმაღლის თუნუქის ცილინდრუბზი. სავეგეტაციო ცილინდრუბზი მოვაყოლეთ ნაადაგის მხოლოდ დაწიდული-გამკვრივებული ფენა, ზედა 8—10 სანტ. სილრმის ფენიერი ფენა მთლიანად მოვაყილეთ. ცდა წარმოებული იქნა იონჯის ნათესის, ნაკელის და გოგირდის მოქმედებაზე; თვითეული მათგანი ორ-ორი განმეორებით. გოგორდი და ნაკელი 1 სანტ. სილრმეზე „ჩავხანით“. ძროხის ნაკელი შეტანილი იქნა ჰექტარზე 20 ტონის ანგარიშით ჭურჭელ № 1 და № 2; გოგირდი შეტანილი იქნა ჰექტარზე 500 კილოს (სუფთა გოგირდი) ასგარიშით ჭურჭელ № 3 და 4-ში; იონჯა დათესილი იქნა ჭურჭელ № 5 და 6-ში. ცდის ხანგრძლივობა უდრიდა I/VII—20/XI—1936 წ.

ნიადაგის ინდივიდუალური ნიმუშების მარილებავა გამონაწერის ანალიზის გაკეთების დროს განსაუთოებულ სიძნელეს წავაწყდით; მარილმეაგაზი ხსნადი SiO₂, ჩვეულებრივი (ჰედროცის) მეთოდით — გაფილტრით არ დაცილდა (Schl. ფილტრი) გამონაწერის დანარჩენ კომპონენტებს; მათ დასაცილებლად გაწარმოეთ ულტრაფილტრაცია ჩვენს მიერ 4% კოლოდისაგან დაშალებული ულტრაფილტრით ელექტრომქანიკური მოტორის დაბმარებით. წყალში ხსნად სილიკიუმმედი განვასაზღვრეთ დიბოსკეს კოლორიმეტრით, კ. მ ა ლ ი ა რ თ ვ ა ს და ფეოფარ თვის მიერ მოდიფიცირებული Thayer-ის შეთოდით. აგრეგატული ანალიზი ჩატარებულია სავინოვის შეთოდით.

მ ა ს ა შ ა რ ი მ ე ნ ტ ა ლ უ რ ი ნ ა ზ ი ლ ი

საკვლევი მატირატი

საექსპერიმენტოდ აღებული ნიადაგის მორფოლოგიის, მექანიკური, ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების დასახასიათებლად მოვიყვანოთ ჭრილის აღწერა და სათანადო ანალიზის მონაცემები.

ჭრილი გაყეთებული იქნა სოფილ სარვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

რელიეფი—ვაკე, მცირე ტალღისებრი.

ქვეშფენილი ქანი—ლიოსისებური თიხა.

A—0—10 სანტ., წაბლისფერი, თიხიანი, მარცვლოვან-გოროხოვანი, თხელი ქრეპის შრით, კარბონატული.

B—10—32 სანტ., რუხა-წაბლისფერი, თიხიანი, დაწილული—ძლიერ გამკვრივებული, დაბზარული, ძლიერ კარბონატული.

B/C—32—50 სანტ., წაბლისფერი, თიხიანი, უცხალო ტლანქი სტრუტურის, ძლიერ კარბონატული, აქა-იქ კირის ძარღვები.

C—50—95 სანტ., მოჩალისფრო, თიხიანი, უსტრუქტურო, გამკვრივებული, კირის თვლებით, ძლიერ კარბონატული.

ტაბულა № 1
შეჩანიაზე ანალ. როგორც დამზადებით ($0,05\%$ HCl).

აღებ. ნიმუშის სიღრმე	1—0,25	0,25—0,05	0,05—0,01	0,01—0,005	0,005—0,001	$<0,001$	ჰიგროს. წყლით $\%$ / მl	CaCO ₃ $\%$ / $\%$
0—10	0,24	14,35	2,80	21,60	17,85	43,16	6,67	6,70
12—22	0,21	13,59	12,20	25,70	14,70	33,60	6,97	15,62
35—45	0,21	18,79	21,10	10,80	10,05	39,55	6,29	11,33
70—90	0,21	12,16	6,80	23,90	12,55	50,75	6,46	13,12

ტაბულა № 2
შთაოთხშელ ფურ. ანალიზი ივანოვით. პუშუსის და წყლის გამოწარშეს ანალიზის მონაცემები

ნიმუშის სიღრმე.	შთანთ. CaO მ. ვეზ.	შთანთ. MgO მ. ვეზ.	შთანთ. Na ₂ O მ. ვეზ.	ჰიმუსი წნო- ჰით $\%$ / $\%$	წყლის გამინაწურის მონაცემები					
					Na ₂ CO ₃	NaHCO ₃	HCO ₃	PH	SiO ₂	მცველ. ნართი
0—10	53,21	1,62	6,30	2,1	—	—	0,045	8,6	0,06	0,28
12—22	53,78	1,05	5,8	1,6	—	—	0,033	8,2	0,08	0,25
35—45	50,10	1,05	5,75	1,1	—	—	0,037	8,3	0,04	0,27
70—80	30,41	1,62	4,15	0,3	—	—	0,043	8,6	0,04	0,30

როგორც მორფოლოგიური აღწერილობიდან ჩანს, ამ ნიადაგების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ძლიერ გამკვრივებული-დაწილული ფენა (იხ. სურათი № 1), რომლის სიღრმე და სიმკეროებული დამოკიდებულია დაწიდვის ხარისხზე. ძლიერდაწილულ ნიადაგებში ეს ჰიმონიზონტი უფრო ღრმაა და მკერრად არის გამოხატული, ვიდრე სუსტადდაწილულ ნიადაგებში.

შექანიეური შემაღენლობის მიხედვით საექსპერიმენტოდ აღებული ნიადაგი თიხიან სახესხვაობას წარმოადგენს; კარბონატობის კარბონიტი და ჰიმუსის შე-

დარგბით მცირე, მიგრამ პროფილში თანაბარი განაწილებით, ეს ნიადგენ უკავების პის ტიპის ნიადაგებს მიეკუთვნება, შთანთქმის ტევაღობა, შთანთქმული უუძების ჯამის მიხედვით, 60 მილიერივალენტს აღწევს. ნატრიუმიანი კორბონატები ნიადაგში არა გვაქვს. ნიადაგი დაუმდაშებელია. ხსნარის (აქტუალური) რეაქცია მოხველ პროფილში აწეული ტუტიანობით ხასიათდება.



სურ. № 1. დაწიდული ჰორიზონტის „აგრეგატები“.

ამ ნიადაგის აქტური (კოლოიდური) ნაწილის შემადგენლობაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთმოყვანილი 10% მარილის მეზეას გამონაწურის ანალიზის მონაცემები (ტაბ. № 3).

ტაბულა № 3

10% მარილის გამონაწურის ანალიზის მონაცემები

სილრმე სანტ-ში	SiO_2		Fe_2O_3	Al_2O_3	CaO	Mg	SO_3
	HCl სსნადი	5% KOH სსნადი					
0—10	0,431	21,08	8,07	6,94	5,70	—	3,54
12—22	0,617	21,74	7,75	8,10	6,85	—	1,89
35—45	0,517	21,46	7,51	7,14	4,55	—	3,01
70—80	0,396	20,19	7,07	—	—	—	—

ანალიზის მონაცემებიდან აშეარად ჩანს კოლოიდური SiO_2 და ერთნახვა-რი ქანგების გადიდებული რაოდენობა. SiO_2 და R_2O_3 რაოდენობა განსაკუთრებით მცველია არის აწეული პირველ ნახევარ მეტრში, ე. ი. დაწიდვის არეში. ქვედა ფენებში კი იღნიშვნულ ნივთიერებებს შემცირების ტენდენცია ემჩნევათ.

სტატისტიკული და აზრისათული ანალიზის მონაცემები 0,0%-ში

სიღრმე	ანალიზის სახე	ფ რ ა ქ ც ი ე ბ ი mm-ში								
		>10	10-7	7-5	5-3	3-2	2-1	1-0,5	0,5-0,25	<0,25
0-10	სტრ.	2,25	2,73	8,80	15,97	9,65	37,30	13,87	3,44	5,99
	აგრეგ.	—	—	—	0,4	1,3	44,2	18,6	7,4	28,1
12-22	სტრ.	100	—	—	—	—	—	—	—	—
	აგრეგ.	—	—	2,3	9,5	7,8	39,2	13,3	6,4	21,5
35-45	სტრ.	56,7	10,0	7,7	10,9	3,2	9,3	1,7	0,2	0,1
	აგრეგ.	—	—	—	1,5	4,2	45,5	18,2	7,3	23,1
70-80	სტრ.	83,0	5,8	3,3	3,6	1,2	2,2	0,4	0,09	0,07
	აგრეგ.	—	—	—	1,8	3,6	55,4	10,6	3,1	26,5

აგრეგატული და სტრუქტურული ანალიზის მონაცემებიდან (ტაბ. № 4) ნათლად ჩანს, რომ დაწილული ნიადაგის ჰორიზონტები განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან ძირითადად სტრუქტურული ანალიზების მონაცემებით, აგრეგატული ანალიზის მონაცემების მიხედვით კი მათ შორის განსხვავდა შეიძლება.

დაწილვის პროცესის გეგანიზი

კარბონატული დაწილული ნიადაგები ჩვეულებრივად კონტინენტალური კლიმატის ზონაში გვხვდება, დიდ უმეტეს შემთხვევაში სარწყავ პირობებში— დამლაშებელ ნიადაგების მატლობლად.

როგორც ზემოთმოყვანილი მორფოლოგიური ალტერიდან ჩანს, დაწილული ნიადაგები ძალიან წააგავინ ბიურბინ ნიადაგებს. აკადემიკოსი კ. შედროიცის თეორიის მიხედვით ნიადაგის ბიურბინობის ძირითად მაჩვენებელს შთანთქმული ნატრიუმი წარმოადგენს. საექსპერიმენტო ნიადაგის შთანთქმული ფუძეების ანალიზის მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ ნიადაგის შთანთქმული კომპლექსი ძირითადად კალციუმით არის მატლარი, უმნიშვნელო აღგილი უკავია მაგნიტებს, რაც შეეხება ნატრიუმს, მისი რაოდენობა 6,3 მილიოქვეცალენტს არ აღემატება, ე. ი. ნიადაგი მხოლოდ სუსტი ბიურბინობით ხასიათდება. ამავე დროს აღსანიშვანებია, რომ შთანთქმული ნატრიუმის რაოდენობას ახასიათებს გამკერივებული დაწილული ჰორიზონტისაკენ შემცირების ტენდენცია. ასევე ითქმის წყლის გამონაწურში განსაზღვრულ pH-ის შესახებაც.

ჩვენს მიზანს აქ არ შეაღენს ამ ნიადაგის სუსტი ბიურბინობის გენეზის საკითხის გამორკვევა; ჩვენ გვვინია, რომ მის ძირითად მიხეს წარმოადგენს, ერთი მხრით, სილიკატური ნაერთების დაშლით განთავისუფლებული ნატრიუმიანი მარილები და, მეორე მხრით, სარწყავი წყალი, რომელსაც ნატრიუმიანი მარილების ესა თუ ის რაოდენობა თითქმის ყოველთვის მოაქეს*.

* რომ ამ ნიადაგის გაბიორებება ჩვეულებრივი გზით არ მიდის (ც.ი. გამომრაშებით), ეს თუნდაც ზემოთმოყვანილი წყლის გამონაწურში განსაზღვრული მცერიე ნაშთიდანც ჩანს.

თუ მხედველობაში მივიღებთ შთანთქმული ფუძეების მონაცემებთან ერთად ამ ნიადაგების ჭარბ კარბონატულობას (ჭარბონატულობა ზღუდავს ნიადაგის ბიურიბიანობას), მაშინ შევეიძლოა დავასკვნათ, რომ ჩვენი საკლევი ნიადაგის ძლიერი გამკვრიცვება-დაწილება ძირითად მიზეზად არ შეიძლება გათისუსტი ბიურიბიანობა იქნეს მიჩნეული. მით უფრო, რომ ყველაზე ძლიერ გამკრიცვებულ-გარდამავალ—ჰორიზონტში შთანთქმული ნატრიომის რაოდენობა, როგორც უკვე ვთქვით, უფრო მცირეა, ვიდრე ზედა ფენაში*.

სუსტი ბიურობიანობა თავის დაღს ასევმს ნიადაგის ფიზიკურ მდგომარეობას და დაწილების სხვა დანარჩენ ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობს ნიადაგის დაწილებას და სპეციფიკური თვისებების გამომუშავებას. ნიადაგის დაწილება როლი მოვლენაა, დაწილების პროცესში მონაწილეობს არა რომელიმე ერთი ფაქტორი, არამედ მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც ჩენი აზრით აღნათ სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში თავის მხრივაც ფართო მასშტაბით ცვალებადობენ.

არიდული ზონის ნიადაგებში ატმოსფერული ნალექებისა და სარწყავი წყლის მოქმედებით, განსაკუთრებით მათ ზედა ფერაში, იშლება, მარტივდება ალუმი-და ფეროსილიკატური რთული მარილების შემაღებლობა. ჩნდება ნიადაგში Na_2SiO_3 , Na_2SiO_4 , NaAlO_2 და სხვა კარიონების ნაერთები. სარწყავი წყალი არა მარტო ხელს უწყობს ნიადაგის რთული მარილების დაშლა-გამარტივებას, არამედ იმავე და სხვა სნაიდ (NaCl , Na_2SO_4) მარილთა მომტან აკუ-მულატრონის როლშიც გველინება.

ნიადაგის პოლარული აღსონჩბეჭის თვისების გამო სწარმოებს ნატრიუმითა შთანთქმა, ხდება ნიადაგის სუსტად გაბიურება. შთანთქმული ნატრიუმისა და პილროლიტურად ტურე მარილების გახსნით ნიადაგის სსნარის ტურიანობა მაღლა იწევს, რასაც შედევად მოსალევს კოლოიდური მიცელის დისპერგირება (ანტიპოვ-კარატავი, მარსონი).

კოლონიდები სახერთოდ და კერძოდ კი სილიციუმის მევას ნაერთები მაღალი pH-ის პირობებში პეტრიზინებისადმი დიდ მიღრეკლებას იჩინენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა პროფ. ანტიპო-კარატევის შრომა. სენტებული ავტორი სპეციალურად სწავლობდა სილიკაგელების დასორბციის, კოაგულაციის და დისპერგიზების თვისებებს. მისი მონაცემებიდან ნათლიად ჩანს, რომ სილიკაგელების დისპერგიზების ხარისხი უფრო დიდია NaOH-ით გამოწვეული ტუტიანობის პირობებში, ვიდრე $\text{Ca}(\text{OH})_2$ -ით დატუტიანებულ არეში. Ray და Ganguly-ს გამოკვლევებით კი დადასტურებულია, რომ Na_2SiO_3 მიღებული სილიკაგელი ყავლზე მდგრადია 4–8 pH-ის ფარგლებში, არეს ტუტიანობის შემდგომი ზრდის პროპერტიულად იზრდება სილიცილიუმებავს სნაიდობა-პეტრიზინება**. აქედან ცხადია, რომ სილიკაგელები საზოგადოდ და კერძოდ კი სილიციუმებავს ნაერთები ნიადაგის სნარის 8 pH-ზე მაღლა აწევის შემთხვევაში ადვილად ისნენებიან. როგორუც ვნახეთ პეტრიზინების ხარისხი იზრდება

* ბიცობიან ნიადაგებში პირიქით არის.

****** ციტირებულია ანტიპოვ-კარატავის შრომიდან.

ნიადაგის ხსარში NaOH -ონთა კონცენტრაციის ზრდასთან ერთად. ჩვენ შემოთხვევაში აღნიშვნულ ონთა (NaOH) კონცენტრაცია ზედაორებით მეტია ზედა ფენაში ვიღებ ქვედა ფენაში; ქვედა ფენაში $\text{Ca}(\text{OH})_2$ -ონთა რაოდენობა სკარბოს, ამიტომაც ნიადაგის ზედა ფენაში სილიკაგლების დისტრიბუტორების ზედაორებით მაღალი ხარისხის გამო შეიძლება აღვილო ჰქონდეს ნაწილობრივ მათ ქვედა ფენაში მიგრაციასაც, სადაც, ერთი მხრით, ელექტროლიტი Ca^{2+} დიდი რაოდენობისა და, მეორეს მხრით, ზედაორებით დაწეული pH -ის გამო, სილიკაგლებისა და მიგრაციას გამოილებება, ან სილიკაგლების ან და კალიუმმეტავასილი სილიკატების (CaSiO_3) სახით.


$\text{SiO}_2 \cdot \text{nH}_2\text{O}$ წარმოადგენს ცემენტს; მისი ასეთი ოვისებების გამო, კვარცუანი სილიცი გადაიცევან ქვაქვიშებად და სხვა კლასტური ქანები მიიღებენ შეკუმინტობულ სახეს.

როგორც მარილის შეკვეთის გამონაწერის ანალიზის მონაცემებიდან ჩანს, ამ ნიადაგების დაწილების პროცესში მონაწილეობას უნდა ლებულობდეს იგრეთვე ერთნახევარი ქანგის ჰიდრატები ($R^2O_2nH_2O$ -ის გადიდებული $\text{--} / \text{o}$),

დაშლა—ჰიდროლიზური მოვლენების ზედეგად ნიადაგში გროვდება R_2O_2 , ნაერთების დიდი რაოდენობა. ამ პროცესს განსაკუთრებულ სიმძაფრეს ჰქმანებს ნიადაგის ხსნარის ტუტე რეაქცია. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ნიადაგის ზედა ფენიგრში მარილმეავაში ხსნადი R_2O_2 -ის საერთო რაოდენობა 15%, აღწევს და 0,5 მეტრის ქვემოდ კი მისი რაოდენობა ერთბაშად ეცემა; მარილმეავაში ხსნადი კოლოიდები ნიადაგში ზერთობული არიან ძირითადად კოლოიდურ სილიკიუმთან და ჰუმინის მეცასთან, ზედარებით მცრავ ნაწილი კი ფოსფორთან. მათი კოლოიდური ნაერთების (ალუმი-და ფეროსილიკატები, კოლოიდური ფერ-და ალუმფორუსფატები) იზოლებული წერტილი მდებარეობს მეცავე არეზი. ჩენი საექსპერიმენტო ნიადაგის მაღალი pH-ის გამო კოლოიდური ნივთიერებები დისპერგირებული არიან ნესტიან მდგომარეობაში. დისპერგირებული სილიკიუმის და ერთნახევარი ენგის კოლოიდებით „გაფლენთალი“ ნიადაგის მასა ამოზრობით ჰკარგის წყალს, რასაც ზედეგად მოძევს ნიადაგის დაწიდვა, კარბონატული ბიცობიანი ნიადაგების ზედა ფენის გაკავეის მსგავსად.

მეტად ორიგინალურია დაწილდული პორტიონტის კარბქარბონატულობის როლი ნიადაგის დაწილდვის პროცესში. საფიქრებელია, რომ ამ პროცესში მონაწილეობენ არა მარტო კარბონატები—მარილების სახით, არამედ კარბონატი-კოლონიდები; დაწილდეს პროცესში კარბონატების მონაწილეობა, შეიძლება ი-

რად შეიძლება წარმოვიდგინოთ: დაწიდული ნიადაგის ზედა, შედარებით ფქრული ერი და დაბაზრული ფენა აღილად ატარებს წყალს (სარწყავს და წყომის წყალს). საჩწყავი წყალი უხვად შეიცავს კირს, წყალს თან მიაქვს მასში განსილი CO_2 , გამკვრივებული (დაწიდული) ჰორიზონტი აფერხებს წყალგამტარობას; ამის გამო აჩერებს მასში გახსნილ ნიეთიერებებსაც, რის შედეგადაც ადგილი აქვს სხვა რეაქცითა შორის შემდეგ რეაქციასაც:



ნორმალური კარბონატების გახსნას შედეგად მოსდევს ნიადაგის მასის გარკვეული ნაწილის (მინერალური ნაწილის, რომელსაც კარბონატები ჰქონდა გარმეოყრელი) „გახსნა“—მშებავი ოვასებების შექნა. ნიადაგის გამოშრიობის დროს კი ბიკარბონატები გადადიან ნორმალურ კარბონატებად, რაც იწვევს ოქლუდაციის მსგავს მოვლენებს, „მუნებრივი ცემენტით“ ნიადაგის მასის შეკვრა-დაწილვა ხდება. ეს უკანასკნელი მოვლენა იმდრენად ძლიერდ არის გამოხატული, რამდენადც ძლიერ არის ნიადაგი გამოშრიალი. ამ მიზეზის გამობოლნას რაონბში ბამბის კულტურის ქვეშ აღნიშნულ ნიადაგებს დაწილვის ნიშნები უფრო ნაკლებ ეტყობა (რადგან ხშირად ირწყებიან), ვიდრე ხორბლეული კულტურებით დაკავებულ იმავე ნიადაგებს,

აღსანიშნავია, რომ, როგორც ეს ზემოთმოყავილი მექანიკური ანალიზის მონაცემებიდან ჩანს, ლექის ფრაქციას დაწიდული ფენა უფრო ნაკლები რაოდენობით შეიცავს, ვიდრე მისი მახლობელი ჰორიზონტები, ე. ი. დაწიდული ჰორიზონტი ხასიათდება კულოიდურ ფრაქციათა შედარებითი სიღარიბით. ამის მიზეზი ჩვენის აზრით კარბონატების დიდი რაოდენობით დაგროვებაა.

შეტად თავისებურია დაწიდული ნიადაგის პროფილი სსნარის რეაქციის მხრივ. რეაქცია ტუტეა. ტუტიანობა ყველაზე ღილა ზედა და ქვედა ფენებში, დაწიდული ჰორიზონტი, პირიქით, pH-ის დაწევით ხასიათდება. იბადება კონსა, რა არის მიზეზი დაწილვის ჰორიზონტში pH-ის დაცუმისა? დაწეული pH დაწილების ჰორიზონტისათვის დამახსასიათებელია თუ არა?

როგორც ცნობილია ნიადაგის აწეული ტუტიანობა დაკავშირებულია, ერთი მხრით, ჰიდროლიტურად ტუტე მარილების— Na_2COO_3 , CaCO_3 , Na_2SiO_3 , NaAl_2O —გახსნის პროცესთან და მეორე მხრით, ადსტრიბირებულ ფენებთან, კერძოდ შთანთქმული ნატრიუმის რაოდენობასთან. ჩვენი ნიადაგი, წყლის გამონაწერის ანალიზის მონაცემების მიხედვით, ნატრიუმის კარბონატებს და ბიკარბონატებს არ შეიცავს, ე. ი. ამ ნიადაგების არის დატუტიანების ძირითად წყაროს წარმოადგენს კალციუმის კარბონატები, სილიკატები და შთანთქმული ნატრიუმი; ნიადაგის ზედა ფენა, როგორც ვიცით, შედარებით უფრო მეტ შთანთქმულ ნატრიუმს შეიცავს. ვიდრე დაწიდული ჰორიზონტი; აქედან ცნადია, რომ ამის გამო ტუტიანობა უფრო მაღალი უნდა იყოს ზედა ფენაში, ვიდრე გარდამავალ გამკვრივებულ ჰორიზონტში. ამასთან ერთად ზედა ფენაში კალციუმის კარბონატები უფრო მეტი რაოდენობით იქნება სსნად ფირმაში (ბიკარბონატის სახით), ვიდრე ქვედა ფენაში. ატმოსფერული ნახშირორეანგი, პუმუსის მეავები და წყალში სსნადი სხვა ნიეთიერებანი, რომლებიც ნიადაგის

ზედა ფენის უფრო დიდი რაოდენობით ხვდება, ალიკრებს CaCO_3 , გამანის, ე. ი. ხელს უწყობს ჰიდროლიზის მოვლენას, რასაც შედეგად მოსდევს ნიადაგის სხინარში OH^- -იონთა კონცენტრაციის ზრდა—ტუტიანობის (pH) აწევა. საფიქ-რებელია, რომ ამ ნიადაგის ზედა ფენის ტუტიანობის ზრდაში შეიძლება ნატ-რიუმიანი სილიკატებიც მონაცილეობდნენ.

ზემოთმოყვანილი ანალიზიური მონაცემებიდან ჩანს, რომ არაპირდაპირი დამკიდებულება არსებობს წყალში სხინად SiO_2 -სა, „ცეოლიტურ“ და მარილ-შეავაში სხინად SiO_2 რაოდენობის შორის.

დაწიდულ ჰორიზონტში წყალში სხინადი SiO_2 უფრო მცირება ვიდრე მის მოსაზღვრე ჰორიზონტში. მარილშეავაში სხინადი SiO_2 მიხედვით კი დაწიდული ნიადაგის მოცული პროცესით გადიდებული რაოდენობით ხასიათდება. ეს განსაკუთრებით ითქმის დაწიდვის ჰორიზონტზე. როგორც ცნობილია, მარილშეავაში სხინადი SiO_2 ძირითადად კოლოიდური ფორმისაა, ნაწილი კი CaSiO_3 და Na_2SiO_3 სახით გვხვდება, თუმცა აპრიორულად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ SiO_2 , Na_2SiO_3 -ის სახით ზედა ფენის ზედარებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე დაწიდულ ჰორიზონტში. Na_2SiO_3 ჰიდროლიზის დროს იძლევა NaOH —ტუტეს და $\text{SiO}_2\text{H}_2\text{O}$ —კოლოიდს. ნიადაგის სხინარის pH აწევა ხელს უწყობს კოლოიდების ჰიდროტირებას, რასაც შედეგად მოსდევს, როგორც უკვე ვთქვით, დაწიდვის მოვლენები.

გამკვრივებულ ჰორიზონტში გამოლევილი სილიკატების აცილოდური ბუნებისა და აგრეთვე დაწიდვის შედეგად წარმოშობილი კალციუმის მეორადი სილიკების (CaSiO_3) ძნელად სხინადობის გამო დაწიდვის ჰორიზონტის ტუტიანობა ზედა ფენის ტუტიანობასთან შედარებით ოდნავ დაწეულია. ამის გამო დაწიდვის პროცესი იწყება ნიადაგში მას შემდეგ, როდესაც ნიადაგის ზედა ფენებში pH გარკვეულ საზღვარს ასცდება; დაწიდვის პროცესი დაუმტაშებელ ნიადაგებში (დამლაშებულ ნიადაგებში გამომლაშების შემდეგ ნიადაგი გაბიცობებას განიცდის) გენერიკურად არის დაკავშირებული რთულ მარილთა დაშლა-გამარტივების პროცესთან. რეგორც პროცესი გემერლინგი შენიშვნას, სტეპის ტიპის ნიადაგების ევოლუციაში არის ისეთი მომენტი, როდესაც წარმოშობა ნიადაგში ნატრიუმის მარტივ მარილთა იმდენი რაოდენობა, რომ ნიადაგის სხინარის რეაქციის საქმაოდ დაატუტიანებს. მაგრამ მიუხედავად მათი ტუტე რეაქციისა, გაბიცობების მოვლენებს მაინც ან არა აქვს ადგილი, ან ძალიან სუსტად არის გამოხატული. ამის მიხედვით Ca და Mg კარბონატების სიჭარება ნიადაგში; ამრიგად სტეპის ტიპის კარბონატული დაწიდული ნიადაგები თითქოს ერთერთ თავისებურ რეკლამით გვინდება ნიადაგთშექმნის იმ პროცესის, რომელსაც სახელად ბიცობთწარმოშობის პროცესი ეწოდება, იმ განსხვავებით, რომ აქ ეს პროცესი რამდენადმე სხვა გზით მიღის და მისი შედეგები ისე მკაცრი და ავზნიანი არ არის, როგორც ამას ადგილი აქვს ბიცობინან ნიადაგებში.

უდავოა, რომ ნიადაგის დაწიდულობის ალიკრებს აგრეთვე სარწყავი წყლის მიერ მოტანილი კოლოიდური მასალა, რომელიც შექანიურად ავსებს ნიადაგის თავისუფალ ადგილებს; იწვევს ფორების და ნაპრალების ამოლესებას. სამწუხაროდ ამის შესახებ ჩვენ მასალები არ მოგვეპორება.

ნიადაგების დაწილების ხაჭინალების ღონისძიებანი

დაწილება ნიადაგების შეტაც უარყოფითი მხარეა. როგორც ცნობილია, დაწილებული ნიადაგები ხასიათდებიან აგრონომიულად მიულებელი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით. დაწილებული ნიადაგების დასამუშავებლად გაცილებით მეტი ენერგიაა საჭირო, ვიდრე დაუწიდავი ნიადაგის დასამუშავებლად. დაწილებულ ნიადაგებში შედარებით დაუწიდავ ნიადავებთან თესლის ოღონცენების პროცენტული მნიშვნელოვნად არის შემცირებული.

დაწილებული ნიადაგების გაუმჯობესება გულისხმობების გამკვრივებული ფენის სტრუქტურიზაციას—სტრუქტურის სიმტკიცის მომატებას. დაწილებულ ნიადაგებში ამ ოპერაციის ჩატარების პირველ პირობას წარმოადგენს დამაცემის დაწილები—გამქაცია ნივთიერებების დარღვევა-გასნა იმგვარად, რომ შემდგომი დაწილება აღარ მოხდეს; ამ მიზნის შესასრულებელ აუცილებელ პირობას წარმოადგენს, როგორც ეს ზემომყვანილი მასალებიდან ჩანს, კოლოიდების დისპერგირების ხარისხის შემცირება ნიადაგის ხსნარის pH დაწევით. მეორე ძირითად პირობა გულისხმობების აგრეგატების სიმტკიცის გაზრდას, ე. წ. „აგრონომიული სტრუქტურის“ შექმნას.


სტრუქტურის შექმნა გაუმჯობესების მიზნით ნიადაგში შეაქვთ ე. წ. „ფიზიკური სასუქები“. დაწილებული ნიადაგების გაუმჯობესებისათვის ჩვენ გამოყენებულ ნაკელის, გოგირდის და იონჯის ნათესის მოქმედება. ამ მხრივ ჩვენ მიერ დაყენებულმა სავეგეტაციო ცდებმა დამაქმაყოფილებელი შედეგები მოვცეს; ცდები, ერთი მხრით, ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსახრებას დაწილების პროცესის შესახებ და, შეორე მხრით, დაწილებული ნიადაგების გაუმჯობესების საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა; ჩვენს მიერ ნიადაგში შეტანილმა გოგირდმა, ნაკელმა და იონჯის ნათესმა 4 თვის განმავლობაში გამოიწვია ნიადაგის სტრუქტურული აგებულების მნიშვნელოვნი გაუმჯობესება. ცდის დაყენებამდე დაწილებული ფენა 100% -ით 10 mm და უფრო მსხვილი ფრაქციების „გროვას“ წარმოადგენდა, როგორც ეს ქვემოდ მოყვანილ ფოტოგრაფიული სურათებიდან ჩანს (იხილე სურათი №№ 2, 3, 4, 5). ანაზეულ ნივთიერებათა და იონჯის ნათესის მოქმედების შედეგად ნიადაგის დაწილებული პორიზონტის მასის დაახლოებით 50% უხეშ (სტრუქტურულ) მდგომარეობიდან გოროხოვან სტრუქტურის მდგომარეობაში გადავიდა. აღსანიშვნაია, რომ ამ მხრივ ყველაზე უკუთხს შედეგს იონჯის ნათესი იძლევა გოგირდის და ნაკელის მოქმედებასთან შედარებით. სავეგეტაციო დროის განმავლობაში სტრუქტურიზაციების მიმართულებით მოქმედებას აღიილი ჰქონდა მხოლოდ დაწილებული ფენის ზედა 10 სანტ. სილტოზე, ამის ქვემოთ კი, აღმად დროის სიმკირის გამო, ცვლილება საექსპერიმენტო ნიადაგს სრულებით არ ეტყობა.

ზემომყვანილი აგრეგატული და სტრუქტურული ანალიზის მონაცემებიდან ნათლათ ჩანს, რომ დაწილებულ ნიადაგისა და ცდას დაქვემდებარებულ იმავე პორიზონტის ნიადაგის სტრუქტურული ანალიზის მონაცემებს შორის განხევება შეტაც-დიდია, მათი აგრეგატული ანალიზის მონაცემებს შორის კი



განსხვავება შედარებით მცირეა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომელიც დაწილებული გას ჩვენს შემთხვევაში შეიძლება მეორადი მოვლენის ხასიათი ჰქონდეს.

დაწილვის საშუალებით ნიადაგის აგრეგატული აღნავობის თითქოს „პარაფინირება“ ხდება. ნიადაგის აგრეგატები იკვრება მოზრდილ ბელტებად,




სურ. 2. იონჯის ნათესი დაწილულ ბელტე.




სურ. № 3. დაწილულ ბელტი და იგივე ბელტი იონჯის ნათესით სტუქტურირებული

იონჯის, გოგირდის და ნაკელის მოქმედება კი თითქოს ანთავისუფლებს „პარაფინირებულ“ ბელტიდან აგრეგატებს. აგრეგატული ანალიზის დროს წყლის

საშუალებით ვარღვევთ „პარაფინიტულ“ ბელტებს სტრუქტურულ აგრეგატების ბაზე, ეს უკანასკნელი შემდგომ ისეთსავე სიმუკიცს თვისებას იჩინენ, როგორც გოგირდისა ან და ნაკელის მოქმედების საშუალებით დაწიდული ფენის დაშლით მიღებული აგრეგატები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წყლის სა-



სურ. № 4. დაწიდული ბელტი და იგივე ბელტი გოგირდის მოქმედებით სტრუქტურიზებული





სურ. № 5. დაწიდული ბელტი და იგივე ბელტი ნაკელის მოქმედებით სტრუქტურიზებული



შუალებით დაშლილი დაწილული ტლანქი ბელტები სისველის დაკარგებულების დაგენერაციის დაზღვრული შემდგომი დაწილული პროცესის შემდგომი დაწილვა კი თითქმის აღარ ხდება.

გოგირდის შეტანისას სულფურიზაციის მიკროორგანიზმთა მოქმედებით გოგირდი იქანება გოგირდის მეტამორფული რაც იწვევს, ერთი მხრით, არეს გამჭვებას — pH-ის დაწევას. pH-ის დაწევა კი გამოიწვევს ნიადაგში კოლოიდების ჰიდრატირების მოვლენების შემცირებას. შეორე მხრით, გოგირდის მეტა გასხნის დაწილების პროცესში წარმოშობილ ნიადაგის მასის გამჭველება შეორად სილიკატებს (CaSiO_3). ამ რეაქციის შედეგად გაჩენილი თაბაშირი (CaSO_4) თავის მხრივ მოქმედობს ნიადაგის შთანმთქვავ კომპლექსზე და მის გაუმჯობესებას იწვევს, შთანთქმული ნატრიუმების გამოძევებით. ეს პროცესი სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ამრიგად გოგირდის მოქმედებით ნიადაგში შემდგომი დაწილების პროცესები მნიშვნელოვნად ისლუდება და დაწილული ფენის თანდათანობითი სტრუქტურიზირება ხდება.

ნაკელის, გოგირდის და იონჯის ნათესის მოქმედებით დაწილული ნიადაგის სილიკაგელთა დისპერგირების შესუსტებაზე და სსნარის რეაქციის შეცვლაზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები:

რომელი ნივთიერებაა შეტანილი	აქტუალური pH	3-შუთანანი შემდეგი $\text{SiO}_2 \%$
ნიად. დაწილული ფენა. . .	8,2	0,031
იგივე ნიადაგი გოგირდის მოქმედების შემდეგ . . .	7,8	0,0080
იგივე ნიადაგი ნაკელის მოქმედების შემდეგ . . .	8,0	0,015
იგივე ნიადაგი იონჯის ნათესის ქვეშ	8,0	0,015

მონაცემებიდან აშეარად ჩანს, რომ კარბონატებით მდიდარი დაწილული ნიადაგები გამჭავების მიმართულებით ბუფერობის დიდ უნარს იჩენენ. pH-ის

დასაწევად გოგირდის მოქმედება, ნაკელის და იონჯის მოქმედებასთან შედარებით, უფრო ეფექტურია, რაც გარდა pH-ის დაწევისა, აგრეთვე წყალში ხსნად SiO_2 -ის შემცირებიდანც აშკარად ჩანს.

ნაკელისა და იონჯის ნათესის მოქმედება დაწილულ ნიადაგზე გოგირდის მოქმედებასთან შედარებით უფრო მრავალმხრივია. ნაკელისა და იონჯის ნათესის საშუალებით ნიადაგზე შეგვაქვს ჩენ ისეთი ნიერიერებანი, რომლებიც არა მარტო დაწილული ბერტების დაშლით ანთავისუფლებენ სტრუქტურულ აგრეგატებს, არამედ ამ უკანასკნელთა სიმტკიცესაც მნიშვნელოვნად ზრდან.

ჩვენი ცდების მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ გოგირდის შემოქმედებით დაწილული ნიადაგების აგრეგატების სიმტკიცე არ მატულობს, იონჯისა და ნაკელის მოქმედებით კა მტკიცე აგრეგატების რაოდენობა თითქმის 10—15 %-ით იზრდება.

ტაბულა № 5

დაჭიდული პორტონტის, გოგირდის, ნაკელის და იონჯის სავაგეთაციო ცდის ძველ მყოფი ნიადაგების აგრეგატების აგრეგატული და სტრუქტურული ანალიზის მონაცემები

რომელ ნივთიერ. ანალიზის	სახე	ფრაქციები mm-ში									
		10	10—7	7—5	5—3	3—2	2—1	1—0,50	0,5—0,25	0,25	
დაწ. ნიად.	სტრუქტ-აგრეგ.	100	—	—	2,3	9,5	7,8	29,2	13,3	6,4	31,5
გოგირდის მოქმედების შედეგი	სტრუქტ-აგრეგ.	72,5	8,3	3,4	5,3	3,3	4,2	2,3	0,3	0,4	—
ნაკელის მოქმედების შედეგები	სტრუქტ-აგრეგ.	44,1	16,4	12,6	11,3	4,5	9,1	27,2	15,1	9,4	19,4
იონჯის ნათესის შედეგები	სტრუქტ-აგრეგ.	—	—	2,3	12,2	9,5	35,8	15,9	8,8	10,3	—
კვერცხის ნათესის შედეგები	სტრუქტ-აგრეგ.	25,8	15,3	10,9	17,2	6,0	20,9	2,6	1,1	0,2	—

აღსანიშნავია, რომ, როგორც ეს აგრეგატული ანალიზების მონაცემებიდან ჩანს; დასევლებით თითქოს დაწილული ფენის „სტრუქტურიზაცია“ ხდება. ნიადაგის გამკერილებული ჰორიზონტი შედარებით წერტილი ზომის აგრეგატებად იშლება. ჩვენი აზრით, ეს გარემოება უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ეს ნიადაგები არც თუ ძლიერ ცდით წყალგამტარობის თვისებით ხასიათდებიან.

მართალია, ჩვენ კომბინიური ხასიათის ცდები არ ვვქონია, მაგრამ ზემოთ მოცემულის საფუძველზე აპრიორულად შეგვიძლია დაევასკვნათ, რომ დაწილული კარბონატული ნიადაგების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუმჯობესება უფრო სრულყოფილი და სწრაფი იქნება გოგირდისა და იონჯის ნათესის ერთდროული მოქმედებით, შედარებით თუთუული მათგანის ცალ-ცალკე მოქმედებასთან.

డ १ ६ ४ ३ ५ ० ८ ०

1) კარბონატული დაწილული ნიადაგების მარილმეუვა გამონაწურში SiO_2 , დაცილებისათვის ულტრაფილტრაციაა საჭირო.

2) სტეპის კარბონატული ნიადაგების დაწილება ძირითადად გაეაუვის და ერთიანხევარი უანგების კოლოიდების დისპერგირებული მდგომარეობითაა გამოწვეული.

3) დაწილების მოვლენები ნიადაგის pH-ის აწევასთან არის დაკავშირებული.

4) მეორეხარისხოვანი როლი ნიადაგის დაწილების პროცესში კარბონატების სიჭარეს და მისი მდგომარეობის ცვალებაღრბას (ხსნადი მდგომარეობიდან უხსნადში გადასცლა და პირიქით) ეკუთხის.

5) დაწილების პროცესისა და მისი შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო ნიადაგის ე. წ. გამუავება—ხსნარის pH-ის დაწევა; ამ მხრივ კარგ შედეგებს იძლევა:

ა) გოგირდის შეტანა დაწილულ ნიადაგში,

ბ) ნაკელის ჩახენა,

გ) ონჯის დატესვა.

6) ონჯის ნატესის და ნაკელის შეტანის საშუალებით არა მარტო დაწილული ფენის სტრუქტურიზირება ხდება, არამედ აგრეგატების სიმტკიცის შომატებაც.

დასასრულ სასიამოენო მოვალეობად მიმართია გულწრფელი მაღლობა მოვახსნო პროფ. დ. გედევანიშვილს მტავალგზისი რჩევისათვის და ანალიტიკოსებს ვ. ნაცვლიშვილს და ვ. ლატარიას ანალიზურ სამუშაოს ჩატარებაში დახმარებისათვის (ანალიზების ერთი ნაწილი ჩატარებულია მათ მიერ).

გამოყენებული ლითერატურა

1. Проф. А. Ф. Тюлин—„О методах качественного и количественного определения агрегатов в почве“. Физика почв в СССР. 1936 г.

2. Акад. В. Р. Вильямс—„Травопольная система земледелия на орошаемых землях“. 1935 г.

3. Акад. В. Р. Вильямс—(доклад) „Системы земледелия в засушливых и незасушливых районах“.

4. გ. რ. ტალახაძე—„ნიადაგის სტრუქტურა და მისი სას.-სამურნეო მნიშვნელობა“ (ხელონაწერი).



16105380

5. Н. Саввинов—„Структура почвы и ее производственное значение“. Юбилейный сборник акад. Вильямса. 1935 г.

6. Н. Качинский—„Структура почвы, как один из факторов ее урожайности“.

7. Н. Саввинов—„Структура почвы и ее прочность“.

8. Проф. А. Ф. Тюлин, Т. Зеленина, Н. Пустовойтов.—Влияние полуторных окислов на стойкость почвенных агрегатов. Физико-химия почв“.

9. Проф. Гемерлинг—„О генезисе почв степного типа почвообразования“, *СУРБ. „Почвовед.“*, № 4, 1936 г.

10. В. Ковда—„Новые данные о происхождении солонцов“.—„Почвовед. и агрохимия“.

11. Проф. А. Панков—„Влияние погл. осн. на физич. и мех. свойства почв“, *СУРБ. „Почвовед.“*, № 1, 1936 г.

12. П. Шавригин—„Влияние погл. магн. на физич. свойств. почв“, *СУРБ. „Почвовед.“*, № 2, 1935 г.

13. " " "Физ. свойства почв" (օյօղմօյ. ԸԵՅԻՑԱՅԻՆ-ԸԵՅԻՑՅՈՒՅԹ ՀՐԵՅ. —1936 թ.).

14. Л. И. Прасолов и И. Антипов-Каратаяев—„О солонцах. почвах Ергеней“. Тр. почв. инст., вып. 3—4. 1930 г.

15. Проф. А. Калужский—„Элемент. сера в качестве удобр.“. 1929 г.

16. Антипов-Каратаяев И. П. Рюб—Исслед. явлен. адсорб. коагул. и дисперг. „Проб. сов. почв“. Сборник 2, 1936 г.

17. Д. Талмуд—„Стр. почв и стр. образц. удобрений“. „Почвовед. и Агрох.“.

18. Р. Чухров—„Коллоиды в земной коре“, 1936 г.

19. Антипов-Каратаяев и Робинерсон—„Почв. коллоиды и методы их изучения“. 1930 г.

20. Вигнер—„Ионный обмен и структура“, *СУРБ. „Почвовед.“*, № 3, 1936 г.

21. Р. Гельцер—„Знач. физ. свойств почв. в услов. орош. землед.“ „Физика почв в СССР“, 1936 г.

22. Канивец и Корнеева—„Динамика стр. почвы“.—„Физ. почв в СССР“.



23. Бутовский—„Улучш. тяжелых почв“, *загл. „Почвовед.“* № 4. 1934 г.
24. Акад. Соколовский—„К вопр. о колич. оценке стр. почвы“. „Физ. почв в СССР“.
25. Н. Савинов—„Влияние многолетн. трав и некот. агротехн. прием. на прочность структ“. „Физ. почв в СССР“, 1936 г.
26. Б. Кабанов—„Влияние торфования на физ. и физ.-химич. свойства почвы“. „Физ. почв в СССР“, 1936 г.
27. Акад. В. Р. Вильямс—„Прочность и связность структуры почвы“. *загл. „Почвовед.“*, № 5—6. 1935 г.

Материалы изучения генезиса и агрегатности карбонатных слитых почв

Выводы

В результате лабораторного и вегетационного изучения генезиса и агрегатности карбонатных слитых почв, получены следующие данные:

1. Явления слитости в карбонатных (степных) почвах вызваны в основном окремнением и диспергированным состоянием коллоидов полуторных окисей.
2. Явления слитости связаны с повышением рН почвенного раствора.
3. Второстепенную роль в процессе слитости играют избыток карбонатов Са и изменение их состояния (переход из нерастворимого состояния в растворимое и обратно).
4. Для улучшения физико-механических свойств слитых почв необходимо окисление их—снижение рН почвенного раствора. Удовлетворительные результаты в этом отношении дают:
 - а) Внесение серы,
 - б) Внесение навоза и
 - в) Посев люцерны.
5. Внесение навоза и сев люцерны не только улучшает структуру слитого слоя, но и увеличивает ее прочность.



MATERIAL FOR STUDYING THE GENESIS AND THE AGREGATE CONDITION OF FUSIONED SOILS

D e d u c t i o n s

As a result of the laboratory and vegetative studying of the genesis and the aggregative condition of the carbonate fusioned soils, we have obtained the following data:

1. The manifestation of fusion in carbonate (steppe) soils is brought forth from its basis by turning into flint and in a dispersed condition of colloids of the sesquioxides.
2. The manifestation of fusion is bound with the rise of soil solution.
3. The superfluity of carbonate Ca plays a secondary part in the proceedings of fusion (transition from a not soluble to a soluble condition and vice versa).
4. For the amelioration of the physical—mechanical proprieties of fusion soils it is necessary to oxidate the lowering pH of the soil solution. Satisfactory results are obtained by:
 - a) the bringing in of sulphur,
 - b) the bringing in of manure,
 - c) the sowing of lucerne.
5. The bringing in of manure and sowing of lucerne do not only ameliorate the structure of the fusion layer, but augment also its resistance.

მასალები კასპის რაიონის გავრცელებულ მინდვრის კულტურების მავნეები მღრღნელთა უსწავლისთვის

კასპის რაიონი ყოფილ გორის მაზრასთან ერთად უკვე დიდი ხანია ცნობილია მღრღნელთა მასობრივი გამრავლების კერად, მაგრამ დღემდე ამ რაიონის მღრღნელები არ არის შესწავლილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1915 წ. ბ. ს. კინოგრაფიის მუშაობას¹, რომელსაც კასპის რაიონის ერთი ნაწილი გამოარკვია, ხოლო სოფლები, რომელსაც ამჟამად კასპის რაიონი შეიცავს, სრულიად შეუსწავლელი დარჩა, მაშინ როდესაც ეს რაიონი უძველეს დროიდანვე პერიოდულად ითვლის მასობრივი გამრავლების წლებს. საჩუმუნ წყაროების უქმნლობის გამო, ყოფილ გორის მაზრაში მავნებელთა მასობრივი გამრავლების წლების დასახელებას ვიწყებთ 1908 წლიდან.

1908 წელს თავგები² დიდი რაოდენობით გაჩდნენ ყოფ. ელიზავეტოპოლის და თბილისის გუბერნიაში. თბილისის გუბ. განსაკუთრებით დაზიანდნენ სიღნაღის და ბორჩალოს მაზრები.

1909 წ. ახლანდელ კასპის რაიონში კორესპონდენტ მაჭავარიანის³ ცნობით თავგები დიდი რაოდენობით გამრავლდნენ სოფელ ახალქალაქიდან სოფელ კავთისხევამდე და თარხანოვის ცნობით თავგებმა გაანადგურეს მთლიანად ნათესი; შეშინებულმა გლეხებმა პური არ დათხეს სოფ. ახალქალაქში, ნოსტეში და კავთისხევში.

1910 წელს თავგების მასობრივ გამრავლებას⁴ აღვილი ჰქონდა არა მარტო საქართველოს ცალკეულ რაიონებში, არამედ მთელ აღმოსავლეთ და ნაწილობრივ ცენტრალურ ამიერკავკასიაში. საქართველოდან შევეხებით მხოლოდ ყოფ. გორის მაზრას. აქ თავგების მასობრივი გამრავლება აღნიშნული იყო 30-ზე მეტ სოფელში.

ამათგან მარტო ახლანდელ კასპის რაიონში თავგები გვხვდებოდა შემდეგ სოფელებში: ქვემო-გომში, კავთისხევში, ახალციხეში, შემო-ხანდაქში, მეტებში, ბარნაბანთ-კარში, სასირეთში, ჩოჩეთში, დოესში, ხოვლეში, ნოსტეში, ქვემო-ქალაში, საკორინთლოში და კოდისწყაროში. სოფ. ხოვლეში, კორესპონდენტების მოწმობით, თავგებმა ერთი კვირის განმავლობაში მოსავლის აღებამდე

¹ Виноградов Б. С. К познанию грызуунов Закавказья. 1916 г.

² ამ სახულწოდებით დიტერატურაში აღნიშნულია სსკადასხვა საბის მღრღნელები.

³ Кавказское хозяйство. 1911 г. № 1.

⁴ Сельско-хозяйственный обзор по Закавказью. 1910 г.



შესძლეს ნათესაბის მოლიანად განადგურება ისე, რომ მეურნეობას მოსამელული დღიურზე დათვა 8 ფუთი ხორბალი, დაზიანების შემდეგ ძლიერ აიღო $\frac{1}{2}$, ფუთი. მარტო ქვემო-ჟალაში, კორესპონდენტ საჩელელის ცნობით, თაგვებისაგან დაზიანებულ იქნა 1000 დღუტინა ნათესი.

1910 წელს თაგვებმა დააზიანეს არა მარტო ნათესები, არამედ ახალგაზრდა ნამყენები და ვენახებიც. 1911 წელს შედარებით 1910 წელთან როგორც საქართველოს დანარჩენ რაიონებში, ისე გორის მაზრაში მღრღნელთა მიერ გამოწვეული ზარალი უფრო ნაკლები იყო, რასაც ადასტურებს კორესპ. საჩელელის¹ ცნობა სოფელ ქვემო-ჟალიდან, რომელიც ონიშნაეს, რომ „თაგვები თავიანთ არაფრით არ აღნიშნავენ“ და დასძენს, რომ აღმად ამის მიხეს ყინვებია.

1911—1913 წლების შესახებ არავითარი ცნობა თაგვების გამრავლების შესახებ არ მოგვეპოვა.

1915 წელს ყოფ. გორის მაზრაში თაგვები დიდი რაოდენობით გვხვდებოდა ზემო-ქართლში, ხოლო ქვემო-ქართლის შესახებ ცნობები არ მოიპოვა. კორესპ. გორთამაზე შეკვეთი სწერს: ² „დიდი ხანია ჩივილი ისმოდა ქართლის ყველა მხრიდან და მართლაც ჩივილი ტყუილი არ ყოფილა, თაგვები წელს ძალიან გამრავლებულიან, ორი საათის განმავლობაში სოფელ ვაყის ბაღში ოცამდე მეტი თაგვებისგან გამხმარი ნამყენი ვიძოვეთ“.

1916 წ. თბილისის ყოფილ გუბერნიაში თაგვები დიდი რაოდენობით გვხვდებოდა სილნალის, ახალქალაქის, თვით თბილისის და ნაწილობრივ გორის მაზრაში³.

1921 წელს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სოფლის მეურნეობის მანებლებთან ბრძოლის ბიურო ⁴ ბრძოლას თაგვების წინააღმდეგ აწარმოებდა ყოფ. გორის მაზრაში: ს. ხოვლეში, ნოსტეში და ახალქალაქში. ზემოაღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ ამ რაიონში აღვილი ჰქონია თაგვების მასობრივ გამრავლებას.

1926 წ. მთელ რესპუბლიკაში⁵ ძლიერ გაერცელდა მინდერის თაგვები, რომელიც აზიანებდნენ ნათესებს გორის, სილნალის, დუშეთის, თელავის, ახალქალაქის, თბილისის, ბორჩალოს (აღმ. საქართველო) და რაჭისა და შორაპანის (დას. საქართველო) ყოფ. მაზრებში, თაგვები გვხვდებოდა 80.000 ჰექტარზე. აქედან დაზიანებული ნათესების ფართობი უდრიდა 75.200 ჰექტ. 1927—1928 წელს მინდერის თაგვების მიერ დაზიანებული ფართობის სიერტე შედარებით უფრო ნაკლები იყო. 1927 წ. იმავე მაზრებში თაგვები მოედნენ 130.000 ჰექტ., ხოლო 1928 წ. გორის, სილნალის, თბილისის, ახალქალაქის, ბორჩალოს და ლეჩხუმის მაზრებში თაგვებით დაზიანებული იყო მხოლოდ 35.000 ჰექტ. ფართობი.

¹ Кавказское хозяйство. 1911 г. № 9.

² სამეურნეო უფრნალი „მოსავალი“. 1915 წ. № 4, თებერვალი.

³ „მოსავალი“, სამეურნეო უფრნალი. 1915 წ. № 4, თებერვალი.

⁴ „სოფლის მეურნეობა“ (უფრნალი). 1921 წ. № 1 და Виноградов — К познанию грызунов Закавказья.

⁵ Статистическое бюро 1916 г. Виды на урожай и состояние скотоводства в Зак. 1916 г.

1929—30 წელს თაგვები თითქმის არ გვხდებოდა.

1931 წელს¹ თაგვების რაოდენობამ იმატა საქართველოს სხვადასხვა რაიონში (კასპის რაიონის შესახებ ცნობები არ მოგვეპობა).

1932 წელს კასპის რაიონში თაგვებით დასახლებულ ფართობის რაოდენობა 1.100 ჰექტარს უდრიდა.

1933 წელს თაგვებით დასახლებული ფართობის რაოდენობა უდრიდა (იხ. ტაბულა № 1) კასპის რაიონში 635 ჸექ., მათგან სათესი ფართობი შეადგენდა 428 ჸექტ.; ხოლო ყამირი მიწები 207 ჸექტ. დასახლებულ სორიების საშუალო სიმჭიდროვე ერთ ჸექტ.-ზე უდრიდა 164, ხოლო დასახლებულ ცოცხალ სორიების საშუალო უდრიდა 53,43%.

მიღების თარიღის 1923 წლის გამოკვლევის შედეგები კასპის რაიონი
ტაბულა № 1

რაიონის დასახლება	დასახლებულია მინდვრის თაგვებით							სატესი ფართ. მიწების საშუალო მიწების მატებულებები
	ს უ ლ	სატესი ფართ. მიწები	სორ. საშ. რიცხ. 1 ჸექ.-ზე					
კასპის რაიონი	635	428	207	165,6	69,7	164	—	53,43

1934 წელს (იხ. ტაბულა № 2) კასპის რაიონში თაგვებით დასახლებული ფართობის რაოდენობა უდრიდა 2.213 ჸექტარს, მათგან ნათესის ფართობი უდრიდა 2034,5 ჸექტარს, ხოლო ყამირის ადგილები 178,5 ჸექტარს. ნათესებში სორიების საშუალო სიხშირე 1 ჸექტარზე უდრიდა 563, ყამირზე 732. მათ შორის დასახლებული სორიების საშუალო რიცხი 1 ჸექტ. უდრიდა ნათესზე 202, ყამირზე—37,1.

1935 წელს (ტაბ. № 3) საგაზაფხულო გამორკვევის მიხედვით კასპის რაიონში გამორკვეული იქნა 2802 ჸექტ., მათ შორის მღრღნელებით დაავადებული აღმოჩნდა 1104 ჸექტ. სორიების საშუალო სიმჭიდროვე 1 ჸექტ.-ზე—195, ხოლო დასახლებულ სორიების—127. შემოდგომაზე გამორკვეულ იქნა 2113 ჸექტ.

